საგანგაშო სტატისტიკა A6

რუსეთს საერთაშორისო სკანდალით ემუქრებიან A7

გულახდილად B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 20 მარტი, 2004 წელი. №67 (616) | ფასი 50 თეთრი


## ეკონომიკა

### ცენტრმა ბათუმის პორტსა და სარფის საბაჟოზე წარმომადგენლები დანიშნა

ეკონომიკური ბლოკადა მოხსნილია, შეთანხმებების რეალიზება კი დაწყებული: აბაშიძემ ბათუმისკენ მიმავალი გზა გაათავისუფლა, სააკაშვილმა სარფის საბაჟო აამოქმედა, აბაშიძემ საბაჟოსა და ბათუმის ნავსადგურში ცენტრის წარმომადგენლები "ჩაისვა", ცენტრმა ბათუმის ნავსადგურის მისადგომები გახსნა...

A4

## უცხოეთი

### ბალკანეთის დაუსრულებელი დრამა

უკვე მესამე დღეა, რაც ალბანელებსა და სერბებს შორის შეტაკებები არ ცხრება. ბოლო მონაცემებით, 30-ზე მეტი ადამიანია დაღუპული.

A5

## საზოგადოება

### დსთ, ევროპა, აფხაზეთი და ჩვენი ეკლესია

რომელია ჩვენი ეკლესიის სივრცე - დსთ თუ ევროპა, რატომ წყვეტს რუსული ეკლესია ჩვენს სამოქმედო პოლიტიკას და რა გამოვიჩინეთ აფხაზური ეკლესიის მიმართ - სისუსტე თუ ლმობიერება? ამ კითხვებზე პასუხები მკითხველმა თავად უნდა გასცეს.

A6

## სამართალი

### ავიაციის დეპარტამენტის ყოფილ უფროსს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

ავიაციის ადმინისტრაციის ყოფილი თავმჯდომარე, რომელმაც თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება რამდენიმე დღის წინ დაწერა, გენერალურ პროკურატურაში გუშინწინ მოწმის სახით დასაკითხად დაიბარეს, მაგრამ გამოძიებამ იგი თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტებაში ეჭვმიტანილად ცნო და შემდეგ დააკავა კიდეც.

A7

## თვალსაზრისი

### შეხვედრა წარსულთან

ბოლო დღეები იმდენად გადატვირთული იყო მძაფრი პოლიტიკური მოვლენებით, რომ თითქმის არავის მიუქცევია ყურადღება ერთი "უწყინარი" ინფორმაციისთვის. საქმე ეხება ყოველ ორშაბათს, სახელმწიფო სკოლებში დროშის აღმართვის საზეიმო ცერემონიას.

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 14 | |
| ქუთაისი | 13 | |
| ბათუმი | 14 | |
| სოხუმი | 10 | |
| ფოთი | 13 | |
| თელავი | 13 | |
| ზუგდიდი | 13 | |
| გორი | 9 | |
| ახმეტა | 13 | |
| ჭიათურა | 10 | |
| გაგრა | 8 | |
| სამტრედია | 13 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0000 |
| ევრო | 2.4757 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6630 |
| რუბლი | 0.0702 |

# იდეალურები არ ვართ

## მაგრამ ძირითადი ხაზი სწორია

მაია ჭალაგანიძე

*სწორია ეს ხალხი, ბოლომდე რომ არ სჯერა ხელისუფლების - უნდობლობის რეჟიმში ჩვენ და ჩვენმა ხელისუფლებებმა 12+70 წელი ვიცხოვრეთ. ამის გამოსწორებას არც ერთი ხავერდოვანი რევოლუცია ეყოფა და არც ერთი ჩოლოქი. ხალხს, კოლექტიური მეხსიერების დასაწმენდად, ამ წლების ნახევრის მაინც პოზიტიურად გავლა ესაჭიროება. კოლექტიურ მეხსიერებაში ჯერ კიდევ მკაფიოდ არსებობს რევოლუციის სამეულის ერთობა. დადის ჭორები და სკეპტიკოსები ელიან ამ გაერთიანების დაშლას, მაგრამ, ჯერჯერობით, სამივეს ყოფნის ძალა და ინტელექტი, იდგნენ ერთად და თითოეული თავის ადგილზე. ხალხის მეხსიერების შემდეგი ჩანაწერი უახლოესი მოვლენები იქნება - პრეზიდენტი თბილისში, პრემიერი - ფოთში და პარლამენტის თავმჯდომარე - ბათუმში, მოლაპარაკებებზე. ასე თუ გაგრძელდა, სკეპტიკოსთა (რომელსაც დღეს მოდური სახელი ოპოზიცია ჰქვია) სუსტი ხმა სულ უფრო ნაკლებად გასაგონი გახდება ხალხისთვის.*

გაგრძელება B1 გვერდზე



*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.*

# ინციდენტი ქუთაისის საკრებულოში

ინგა ალავიძე

*ქუთაისის საკრებულოს შენობა გუშინ საღამოს სპეცდანიშნულების რაზმმა ალყაში მოაქცია. თუმცა, მას შემდეგ, რაც საკრებულოში სერიოზული ინციდენტი მოხდა, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ბენიძე სკანდალის მთავარი გმირი უკვე მეორედ გახდა.*

დავით ბენიძის სახელმა არასასურველ კონტექსტში პირველად 31 დეკემბერს გაიჟღერა. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის რწმუნებულმა დათო მუმლაძემ მხარის სამართალდამცველი სტრუქტურების პირველი პირები, ქუთაისის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე თათბირზე დაიბარა და, თათბირის ნაცვლად, მათ ნარკოლოგიურში ამოაყოფინა თავი. ქუთაისში იმავე დღესვე გავრცელდა ხმები, რომ აღნიშნული ღონისძიება ბენიძის გამოსააშკარავებლად ჩატარდა. თუმცა, ბენიძისთვის ჩატარებულმა ექსპერტიზამ ნარკოტიკის კვალს მაშინ ვერ მიაგნო.

გაგრძელება A3 გვერდზე



*აურზაური ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტთან.*

# ბინ ლადენის მოადგილე ალყაშია

ლევან ღირსიაშვილი

უკვე მესამე დღეა, რაც ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე, მიუვალ მთიან რაიონებში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. პაკისტანის ელიტარული ქვედანაყოფები "ალ-ქაიდას" და "თალიბანის" ასევე ელიტარული რაზმების განადგურებას ცდილობენ. პაკისტანის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ალყაშემორტყმულ რაიონში "ალ-ქაიდას" ლიდერის მოადგილე და ტერორისტული მოძრაობის "ტვინად" აღიარებული აიმან ალ ზავაჰირი იმყოფება. ბრძოლები პატარა ქალაქ ვანაში, სამხრეთ ვაზირისტანის რეგიონში წარმოებს.

თავდაპირველად, პაკისტანის შეიარაღებულმა ძალებმა მეგაფონებით ადგილობრივი მოსახლეობა შეტევის დაწყების თაობაზე გააფრთხილეს და ევაკუაცია ურჩიეს. რამდენიმე ათასმა ადამიანმა მართლაც დატოვა თავისი საცხოვრებელი სახლები. ამის შემდეგ, პაკისტანის შეიარაღებულმა ძალებმა, არტილერიითა და ვერტმფრენების გამოყენებით, ქალაქზე მასირებული იერიში მიიტანეს. სარაკეტო დარტყმები განხორციელდა ერთ-ერთ სოფელზეც, სადაც, მათი ვარაუდით, "ალ-ქაიდას" სიმაგრეებია აგებული.

თუმცა, მას შემდეგ, რაც პაკისტანის ელიტარულმა დანაყოფებმა სახმელეთო ოპერაცია დაიწყეს, ისინი მოულოდნელად გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ ქალაქის სიღრმეში. ამის შემდეგ ისინი იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ, რათა თავიდან აერიდებინათ დიდი დანაკარგები. პაკისტანის სპეცოპერაციის სარდლობამ ქალაქში გამაგრებულ "ალ-ქაიდას" რაზმებს ულტიმატუმი წაუყენა და დანებება მოსთხოვა. ულტიმატუმის ვადა გუშინ შუადღისას ამოიწურა.

პაკისტანის პრეზიდენტის ფერვეზ მუშარაფის განცხადებით, ვაზირისტანის რაიონში მომხდარი შეტაკებების დროს "ალ-ქაიდას" მებრძოლთა გააფთრებული წინააღმდეგობა აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ამ არეალში ტერორისტული ქსელის ერთ-ერთი ლიდერი იმყოფება. პაკისტანის ხელისუფლების ვარაუდით, ეს პიროვნება სწორედ ბინ ლადენის მოადგილე და მისი პირადი ექიმი აიმან ალ ზავაჰირი უნდა იყოს. **"იქ მყოფი მებრძოლების მიერ გაწეული დიდი წინააღმდეგობის გამო, ჩვენ ვფიქრობთ, რომ იქ ძვირადღირებული სამიზნე უნდა იმყოფებოდეს. ისინი არ ნებდებიან და ჩვენც არტილერიით ვაწარმოებთ არეალის გასუფთავებას.**

გაგრძელება A3 გვერდზე




# მშვიდობით, იმუნიტეტო!

ეკა კიკიანი

ბოლო კვირა ძალიან სერიოზული მიღწევებით აღინიშნა. აღმოაჩინეს მეათე, ნაბოლარა პლანეტა, რომელიც აქამდე ისე იმალებოდა, როგორც წყალი მარსის მეწამული მტვრით დაფარულ უდაბნოში. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ორსამ დღეში შეიძლება "კავკასიონის" გადამცემი ხაზი შეაკეთონ და თბილისში დენის მოწოდება გაიზარდოს. თუმცა, ამ მიღწევებს ნამდვილად დაჩრდილავს მოვლენა, რომლის მოწმენიც შეიძლება დღეს გავხდეთ მოსწავლეთა სასახლეში, სადაც უნდა გაირკვეს, არის თუ არა პარლამენტის წევრი ჩვეულებრივი ადამიანი. სახელისუფლებო ბლოკის წევრები დღეს 14 საათზე იკრიბებიან, რათა ხელის მოწერით დაადასტურონ, რომ ახალ პარლამენტში ხმას მისცემენ იმუნიტეტის მოხსნას. როგორც ამბობენ, ამ ღირსშესანიშნავი ღონისძიების ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტია, რომელსაც წასვლის წინ დაუბარებია, ვინც ხელს არ მოაწერს, ჩემთან და ოქრუაშვილთან ექნება საქმეო.

გაგრძელება A8 გვერდზე

# საბოტაჟი "კავკასიონზე"

მაია ურუშაძე

გუშინ დილით "კავკასიონზე" დივერსია მოხდა. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა სასწრაფოდ მოიწვია პრესკონფერენცია და მომხდარი ფაქტი საბოტაჟად შეაფასა. როგორც მინისტრმა განაცხადა, წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში ვიღაცამ რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელი მაგისტრალური 500-კილოვოლტიანი ხაზის ერთ-ერთი ანძის დამჭერი ლითონის ბაგირი ხერხით, ე.წ. "ნაჟოვკით" გადახერხა და 15-ტონიანი ანძა წააქცია. ეს მაშინ, როცა შექმნილი ენერგოდეფიციტის შესამსუბუქებლად რუსეთიდან დენის იმპორტის განახლება გუშინვე, საღამოს 19 საათისთვის, სწორედ "კავკასიონით" იგეგმებოდა. ძველი დაზიანება, რომელიც ენერგეტიკოსებს იმპორტის განახლების საშუალებას არ აძლევდა, "კავკასიონის" ოპერატორმა "საქრუსენერგომ" მთაში ამინდის გაუმჯობესებისთანავე, ამ ორი დღის წინ აღმოაჩინა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# საზღვრის დამრღვევი ქართველები

### რომლებიც მოგონილი პოლიტიკური მოტივით იმართლებენ თავს

*დაახლოებით, ერთი თვის წინათ "24 საათი" წერდა მურმანსკის ოლქის სამართალდამცველი ორგანოების მიერ საქართველოს მოქალაქეების ჩრდილოეთ ევროპაში უკანონოდ გამგზავრების მცდელობის აღკვეთის შესახებ.*
*საქმე ისაა, რომ ორ-სამ ჯგუფად გაყოფილმა, დაახლოებით, საქართველოს 30-მა მოქალაქემ სკანდინავიაში არალეგარულად მოხვედრა სცადა, თუმცა არალეგალებისთვის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა – ისინი დააკავეს. დაკავებულთა განმარტებით, ისინი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მომხრეები არიან და ევროპაში მათი გაქცევის მიზეზია საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტისა და ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მათ მიმართ განხორციელებული პოლიტიკური დევნა.*

გაგრძელება A7 გვერდზე


A2 ამბები | A3 რეკლამა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## აჭარაში წინასწარი რეგისტრაციის ვადამ, შესაძლოა, გადაიწიოს



*ცესკო-ს სხდომა.*

გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აჭარაში წინასწარი რეგისტრაციის თაობაზე იმსჯელა. როგორც ცესკო-ს თავმჯდომარე აცხადებს, ავტონომიურ რესპუბლიკაში უკვე დაწყებულია ეს პროცესი და კომისიაში შემოსულია პირველი მონაცემები რეგისტრაციის მიმდინარეობის შესახებ. მისივე თქმით, გამორიცხული არ არის, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგიონში წინასწარი რეგისტრაციის ვადის გადაწევის თაობაზე სპეციალურად იმსჯელოს. ამის მიზეზად კი აჭარაში განვითარებულ მოვლენებს სახელდება. როგორც ცესკო-ში აცხადებენ, რეგიონში შექმნილმა დაძაბულმა პოლიტიკურმა ფონმა რეგისტრაციის პროცესი შეაფერხა და სწორედ ამიტომაც, საჭიროა ვადების გადაწევა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კვლავ კატეგორიულად აფრთხილებს აჭარის საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს და აცხადებს: თუ ახლანდელი საოლქო კომისიები რეგისტრაციას თავს ვერ გაართმევენ, შემცვლელები მოიძებნებიან.

რაც შეეხება მთლიანად არჩევნებისთვის მზადების პროცესს, ცესკო-ში აცხადებენ, რომ ორგანიზაციული თვალსაზრისით, კენჭისყრის დღისათვის ყველაფერი წესრიგში იქნება.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომეხი მოქალაქეებისთვის ბიულეტენები ქართულ-სომხური იქნება, ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის კი - ქართულ-აზერბაიჯანული. რაც შეეხება შემაჯამებელ ოქმს, ამ რეგიონებში ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს უფლება აქვთ, იგი, ქართულის გარდა, რუსულადაც შეავსონ.

და კიდევ: გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის განსაზღვრის წესი დაადგინა. კომისიის მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, არჩევნების შედეგების შეჯამებისას ამომრჩეველთა საერთო რაოდენობად ჩაითვლება კენჭისყრაში დღემდე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობას დამატებული ამომრჩეველთა ის რაოდენობა, რომელიც საარჩევნო უბნებზე მივა და რეგისტრაციას კენჭისყრის დღეს გაივლის.

*24 საათი*

## აკაკი ასათიანს სიტყვების არ სჯერა



*ირაკლი ქადაგიშვილი და აკაკი ასათიანი*

*საარჩევნო ბლოკ "ედპ-ტრადიციონალისტების" ერთ-ერთი ლიდერი აკაკი ასათიანი დარწმუნებულია, რომ აჭარაში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟი შელახა და ხელისუფლების წარმომადგენელთა "ყმაწვილურმა ნაბიჯებმა" სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის სურვილი გაუჩინა, პირველ რიგში, რუსეთს და თურქეთს. მისივე თქმით, მხარეებმა სერიოზული შეთანხმების მიღწევა ვერ შეძლეს და ზავი მხოლოდ დროებითია. იგი პრობლემის მოგვარების გასაღებს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნაში ხედავს.*

აკაკი ასათიანი კიდევ ერთხელ გვახსენებს, თუ რაოდენ დიდი საფრთხის წინაშე იდგა საქართველო. ამავე დროს, იგი მიხეილ სააკაშვილის დამსახურებებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ პრეზიდენტს ეყო გონიერება და კომპრომისზე წასვლა შეძლო. ეს კი მაშინ მოხდა, როდესაც, ერთი კვირის წინ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრიდან უკან გაბრუნდა.

აკაკი ასათიანის შეფასებით, მთელს ამ მოვლენებში სწორედ ეს იყო ერთადერთი დადებითი და გონივრული ნაბიჯი. მისთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ შეიქმნა ფოთში ანტიკრიზისული ცენტრი და რატომ კეთდებოდა ხელისუფლების მხრიდან მოუფიქრებელი განცხადებები.

ასათიანი აცხადებს, რომ ორი დღის წინ სააკაშვილსა და აბაშიძეს შორის სიტყვიერი შეთანხმება არაფერს ნიშნავს და ცენტრსა და ავტონომიას შორის ურთიერთობები ჯერაც მოუგვარებელია. მისი თქმით, ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროს თბილისმა და ბათუმმა ვითომ მიაღწიეს შეთანხმებას, როდესაც, ასევე სიტყვიერი მოლაპარაკებების თანახმად, აჭარაში შესული თანხების სამოცი პროცენტი თბილისში უნდა გადმოგზავნილიყო, ხოლო ორმოცი პროცენტი ბათუმში დარჩენილიყო. "თუმცა, როგორ შესრულდა ეს პირობა, თავადაც ხედავთ", – ამბობს ქართველ "ტრადიციონალისტთა" ლიდერი.

ერთი სიტყვით, აკაკი ასათიანს არც აბაშიძის სიტყვების სჯერა და არც პრეზიდენტ სააკაშვილის. მისი თქმით, "ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული პრობლემა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და ამჟამად მხოლოდ დროებითი შეთანხმება მოქმედებს. მეტიც – მისი თქმით, **"ბათუმის პორტსა და საბაჟოში პრეზიდენტის რწმუნებულების დანიშვნა რეალურად არაფერს შეცვლის და ვითარება გარკვეულ ეტაპებზე დაიძაბება. ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული პრობლემა მხოლოდ მაშინ გადაწყდება, როცა საქართველოს კონსტიტუციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება და უფლებამოსილებები კანონმდებლობით გაიმიჯნება".**

სხვათა შორის, ამ ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის, "ეროვნულ-დემოკრატ" ირაკლი ქადაგიშვილის თქმით, არ არის გამორიცხული, თბილისსა და ბათუმს შორის ურთიერთობები საპარლამენტო არჩევნების დროს კვლავ დაიძაბოს. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი თბილისი არჩევნებს აჭარაში გააყალბებს.

დაბოლოს: გუშინ ცნობილი გახდა, რომ დაუდგენელმა პირება "ედპ-ტრადიციონალისტების" საარჩევნო ბლოკის ფოთის ადგილობრივი ორგანიზაციის საარჩევნო შტაბი დაარბიეს.

საარჩევნო ბლოკი ამ ფაქტს აფასებს, როგორც ხელისუფლების მიერ განხორციელებულ, ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართულ შეგნებულ ქმედებას და მოუწოდებს სამართალდამცველებს, მიიღონ შესაბამისი ზომები და მსგავსი მოვლენები მომავალშიც აღკვეთონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, "ედპ-ტრადიციონალისტები" პოლიტიკური პროტესტის უკიდურესი ფორმების გამოყენებით იმუქრებიან.

*თამარ მჭედლიშვილი*

## თურქეთი ჯარსის ხელშეკრულების ამოქმედების შესაძლებლობას გამორიცხავს

ბაქოში თურქეთის საელჩო უარყოფს მასმედიით გავრცელებულ ინფორმაციას, რომლითაც, თითქოს, თურქეთის რესპუბლიკა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საქმეებში სამხედრო საშუალებით ჩაერევა და ამის უფლებას მას ყარსის ხელშეკრულება აძლევს. როგორც ბაქოში თურქეთის საელჩოს განცხადებაშია ნათქვამი, "თურქეთი არ აპირებს კონფლიქტის რეგიონის ან მხარეების მიმართ ორმაგი სტანდარტებით მიდგომას, ვინაიდან თურქეთი ყოველთვის იცავდა და ბოლომდე დაიცავს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პრინციპს." "თურქეთი, როგორც მეგობარი ქვეყანა, პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობასა და ქართველი ხალხის კეთილდღეობას, და ყოველივე ამას მხარს უჭერს თავისი მოქმედებებით," – ნათქვამია თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

*პრაიმ-ნიუსი*

## შვიმერი კმაყოფილია

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალტერ შვიმერი ერთ-ერთი იმათგანი გახლდათ, ვინც აქტიურად იღვწოდა ცენტრსა და რეგიონს შორის წარმოქმნილი უთანხმოების ოპერატიულად და უმტკივნეულოდ გადასაწყვეტად. გუშინ შვიმერმა უკვე ოფიციალურად გამოთქვა კმაყოფილება "საქართველოში სულ ცოტა ხნის წინათ შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავლის მოძებნის გამო".

**"ძალზე მოხარული ვიყავი, 18 მარტს პირადად პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასაგან შემეტყო, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და აჭარის ავტონომიის მეთაურს შორის ბათუმში შემდგარი შეხვედრისას შეთანხმება გამოიძებნა. გასულ კვირას დიალოგისაკენ ჩვენი მოწოდებისას, როდესაც დაძაბულობამ თავის პიკს მიაღწია, ხშირი სატელეფონო კონტაქტი მქონდა ჩემს მეგობრებთან მიხეილ სააკაშვილსა და ასლან აბაშიძესთან, იმის თაობაზე, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის მაქსიმალურად მშვიდობიანი გადაწყვეტილება მოძებნილიყო. მე კიდევ ერთხელ შევთავაზე ევროპის საბჭოს დახმარება, კონკრეტულად, ვენეციის კომისიის მხრიდან, ქმედუნარიანი სამართლებრივი ბაზის შექმნის თვალსაზრისით, ქვეყნის ავტონომიური რეგიონებისათვის. ევროპის საბჭო მოხარულია, ამ მხრივ, დაეხმაროს თავის ერთ-ერთ წევრ ქვეყანას. მეორე მხრივ, ევროპის საბჭო მომავალშიც სრულ მზადყოფნაში იქნება საიმისოდ, რათა გაგრძელდეს საუბარი საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით,"** - აცხადებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი. შვიმერის პოზიცია საზოგადოებას საქართველოში ევროპის საბჭოს წარმომადგენელმა პლამენ ნიკოლოვმა გააცნო. აჭარაში მყოფი ნიკოლოვის თქმით, ევროპის საბჭო მზად არის აჭარის რეგიონში თავისი, სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებისათვის ოფისები გახსნას.

გარდა ამისა, ამ დღეებში საქართველოს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ალვარო ჟილ რობელსიც ეწვევა. კომისარს თბილისში მიხეილ სააკაშვილის, ბათუმში კი - ასლან აბაშიძის ნახვა აქვს დაგეგმილი. მთავარი საკითხი, რომელიც კომისრის მიერ როგორც ქვეყნის მეთაურთან, ისე რეგიონის ხელმძღვანელთან განიხილება, ბუნებრივია, ადამიანის უფლებები იქნება, ოღონდ, ძირითადად, აჭარის რეგიონში მაცხოვრებელთა პატივისცემის თვალსაზრისით.

*ლელა მჭედლიძე*

## გამსახურდიამ საარჩევნო კამპანია კახეთიდან დაიწყო

*კახეთში წინასაარჩევნო კამპანია უკვე აქტიურ ფაზაშია შესული. სხვა პარტიებისგან განსხვავებით ყველაზე გულთბილი და განსხვავებული შეხვედრა კახელებმა გუშინ კონსტანტინე(კოკო) გამსახურდიას მოუწყვეს.*

შესაძლოა, სახელისუფლებო პარტიას თელავის რაიონში, პოლიტიკურ მოძრაობა "თავისუფლების" სახით, კონკურენტი გაუჩნდეს. ამის მაგალითი გუშინდელი დღე იყო. თელაველებმა, რომლებსაც ქვეყნის პირველი პრეზიდენტის სიყვარული ჯერ კიდევ არ განელებიათ, მის შვილს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. "ჩემთვის ეს შეხვედრა მუდამ დასამახსოვრებელი იქნება. დღევანდელმა დღემ კიდევ ერთხელ დამარწმუნა კახელი კაცის ერთგულებაში. სწორედ ეს იყო, რომ ჩემი საარჩევნო კამპანია კახეთიდან დავიწყე," - განგვიცხადა ჟურნალისტებს კონსტანტინე გამსახურდიამ.

მანამდე კი პარტიის ლიდერი თელაველ საზოგადოებას მათი მოძრაობის სამოქმედო გეგმებზე ესაუბრა. პროგრამა, რომლითაც "თავისუფლება" 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში აპირებს მიღებას, როგორც გამსახურდიამ განაცხადა, ლიტონ სიტყვებად არ დარჩება: "ჩვენ ვიბრძვით ქართული კულტურის ასაღორძინებლად და იმ ღირსების შესანარჩუნებლად, რომელიც ქართველ ერს გააჩნია. ჩვენი მოძრაობა არ არის ის პარტია, რომელიც მხოლოდ დაპირებას იძლევა." სხვა პარტიებისგან განსხვავებით, პარტიის ლიდერს ახალი ხელისუფლება არ გაუკრიტიკებია, თუმცა აღნიშნა, რომ იგი ამ მთავრობას ნაკლებად ენდობა: "ჯერ იმიტომ არ ვენდობი ამ მთავრობას, რომ არ ვიცი, შიგნით რა სახეები არიან. მეორე კი ის არის, რომ ხელისუფლებაში ულირსი სახეებიც ჰყავთ და მათი გაწმენდა უნდა მოხდეს," -აცხადებს გამსახურდია. მიუხედავად ამისა მას დემოკრატიის გზით მოსული ხელისუფლების იმედი მაინც აქვს: "არავის ეგონოს, რომ საქართველოში ჩემი ჩამოსვლა შურისძიებას უკავშირდებოდეს. მე შევარდნაძის დროს ვერ ვხედავდი რეალურ ოპოზიციას, რადგან იმ დროს ყველანაირი კანონის უგულვებელყოფა ხდებოდა," - აცხადებს გამსახურდია.

კონსტანტინე გამსახურდიამ გვერდი ვერ აუარა იმ ავადსახსენებელ წლებს, რომლის გულისთვისაც მისმა ოჯახმა თორმეტი წელი ემიგრაციაში გაატარა: "ჩემთვის ეს წლები მძიმე გასახსენებელია. იმედი მაქვს, რომ ამჯერად ეს აღარ მოხდება, რადგან ერი საბოლოოდ გამთლიანდება. ჩვენს პროგრამაში ერთ-ერთი მთავარი პრობლემის მოგვარება სწორედ ეს არის." იგი იქვე იმასაც აცხადებს, რომ რუსეთთან საბოლოოდ ერთიანი ენა უნდა გამოინახოს: "ჩვენ მთლად ამერიკაზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული." კონსტანტინე გამსახურდია თელავის მსგავსად გუშინ გურჯაანელ ამომრჩეველსაც შეხვდა და კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი აზრი 28 მარტის არჩევნებთან დაკავშირებით: "ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის მანქანა, რომელიც არჩევნებს ყოველთვის აყალბებდა, აღარ ამოქმედდება და რეალურ ოპოზიციას დემოკრატიულად მოგვიწევს ამ არჩევნებში მონაწილეობა." ბოლოს კი იგი ამომრჩეველს ასე დაემშვიდობა: "არ გეგონოთ, რომ მე კახეთს დავივიწყებ, ყოველთვის თქვენ გვერდით ვიქნები." კონსატანტინე გამსახურდიამ და მისმა თანამხლებმა პირებმა ვოიაჟი კახეთში ალავერდის მონასტრის და ერეკლე II-ის სახლ-მუზეუმის მონახულებით დაასრულეს.

***ზვიად რუაძე,*** *კახეთი*

## საქართველო-თურქეთის საზღვარზე ერთობლივი წვრთნა გაიმართა

საქართველო-თურქეთის საზღვარზე, "წყალთბილისა" და "თურქგიუზოს" საგუშაგოს ტერიტორიაზე, საზღვრის დაცვის ახალციხის სამმართველოს ჯარისკაცებმა და თურქეთის რესპუბლიკის ჩილბირის N9 საბრძოლო ბატალიონმა და ფოლსოფის ბატალიონმა ერთობლივი წვრთნა გაიარა.

სწავლება საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში კონტრაბანდული გზით საქონლის გადატანის აღკვეთას და თურქეთიდან საქართველოსკენ მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ საზღვრის არაკანონიერ გადმოკვეთაზე რეაგირებას ითვალისწინებდა. სწავლებას ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი, თურქეთის რესპუბლიკის არტაანის მხარის გუბერნატორი აიდინ გიუჩლუ, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ბრიგადის გენერალი თენგიზ აბულაძე, საქართველოში თურქეთის ძალების ატაშე მუზაფერ ჩარფანი და კიდევ სხვა ბევრი პირი. წვრთნაში მონაწილეობას ორივე მხარის 80 ჯარისკაცი და ოფიცერი იღებდა. სწავლებამ საათნახევარი გასტანა და როგორც ქართული, ასევე თურქული მხარის მოწონება დაიმსახურა.

*ინტერ-პრესი*

## სააკაშვილი "გაფართოებულ ევროპელებს" დემოკრატიული ნორმების დაცვას დაჰპირდა

ბრატისლავაში გამართული საერთაშორისო კონფერენციის - "გაფართოებული ევროპის" - მონაწილეებს საქართველოს პრეზიდენტი დემოკრატიული ნორმების განუხრელ დაცვასა და კორუფციის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის გაგრძელებას დაჰპირდა. თავისი 10-წუთიანი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიხეილ სააკაშვილმა აჭარაში შექმნილი სიტუაციის მიმოხილვას დაუთმო და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობა ყველა რანგის ხელმძღვანელისთვის პრიორიტეტად უნდა იქცეს. სააკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ შექმნილ რთულ ვითარებაში ევროპა საქართველოს სრულ თანადგომასა და მხარდაჭერას აღმოუჩენს. პრეზიდენტმა პირველი შეხვედრა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან გამართა. პრეზიდენტებმა, ძირითადად, აჭარაში შექმნილ ვითარებაზე ისაუბრეს. ილჰამ ალიევმა კმაყოფილება გამოთქვა სიტუაციის მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით დარეგულირების გამო.სააკაშვილს შეხვედრები ჰქონდა, აგრეთვე, სლოვაკეთის პრეზიდენტთან, ლიტვის პრემიერსა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრთან.

*ინტერ-პრესი, მედია-ნიუსი*

## ბათუმში ჩასული პროკურორები ძველ საქმეებს გადახედავენ

საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი პაატა ჯახუტაშვილი და სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორი როლანდ ახალაია ჯერ არ აკეთებენ კომენტარს, კონკრეტულად ვის უკავშირდება სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა გასაცნობადაც ბათუმში ჩავიდნენ. ჯახუტაშვილმა მხოლოდ ის განაცხადა, რომ ბათუმში ორი საათის წინათ ჩავიდნენ და შეხვედრა ჰქონდათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორ რესან კონცელიძესთან. მან არც ის დააკონკრეტა, დარჩებიან თუ არა ისინი ბათუმში, ან ვის შეხვდებიან კონცელიძის გარდა.

როგორც ცნობილია, მთავარი სამხედრო და სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის დავალებით ჩავიდნენ. მათ ადგილზე უნდა შეისწავლონ იმ პირთა საქმეები, რომლებიც ავტონომიის სამართალდამცველებმა პოლიტიკური მოტივით დააპატიმრეს.

*მედია-ნიუსი*

## "ახლებისა" და "მრეწველების" ახალი, ერთობლივი კურსი



*"მრეწველებისა" და "ახალ მემარჯვენეების" წინასაარჩევნო პროგრამის პრეზენტაციაზე.*

*ვარდების რევოლუციის დროს დაკავებულმა პროშევარდნაძისტულმა პოზიციამ "მრეწველებსა" და "ახალ მემარჯვენეებს" პოლიტიკური რეპუტაცია შეულახა. შეცდომის გამოსწორებას ორივე პარტია ერთიანი ძალისხმევით ცდილობს. გოგი თოფაძისა და დავით გამყრელიძის თანამებრძოლები საკმაოდ დაძაბულ რეჟიმში წარმართავენ წინასაარჩევნო კამპანიას. გუშინ "მრეწველებისა" და "ახლების" ერთი ჯგუფი სააგიტაციოდ დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა, დედაქალაქში დარჩენილებმა კი "არჩევნების მედია-ცენტრში" საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციაზე მასმედიის წარმომადგენლები მიიპატიჟეს.*

2 ნოემბრის არჩევნების წინ "ახლების" მიერ საზოგადოებისთვის შეთავაზებული 900-დღიანი პროგრამა გააშარჟეს. "მემარჯვენეების" ოპონენტები ოხუნჯობდნენ, რომ 900 დღის განმავლობაში ან ვირი მოკვდებოდა, ან ვირის პატრონი. ამასთან დაკავშირებით, "ახლების" ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი იაშვილი დღეს დაბეჯითებით აცხადებს, რომ მათი პროგრამა საკმაოდ რეალისტური იყო და იქვე ნიშნისმოგებით იმასაც შენიშნავს, რომ დღევანდელი ხელისუფლების სამოქმედო პროგრამა არათუ ცხრაასდღიანი, არამედ კიდევ უფრო გრძელვადიანი - ხუთწლიანია.

ასეა თუ ისე, დაცინვის ობიექტად ქცეულ ძველ პროგრამაზე "ახლებმა" უარი თქვეს და, "მრეწველებთან" ერთად, ახალ საარჩევნო პლატფორმაზე მუშაობენ. იაშვილის თქმით, ეს სულაც არ არის ძნელი პროცესი, რადგან ორივე პარტიაში ბევრ საკითხში თითქმის იდენტური შეხედულებები გააჩნიათ. მეტიც, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებიდან ორი-სამი კვირის შემდეგ გაიმართება ყრილობა, რომელზეც "ახლები" და "მრეწველები" ერთიან პოლიტიკურ ორგანიზაციად შეიკვრებიან.

ეს - ახლო მომავალში. დღეს კი მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლები იმ პრიორიტეტებზე საუბრობენ, რომელთა რეალიზებისთვისაც აპირებენ ბრძოლას. ირაკლი იაშვილის განცხადებით, აქცენტი, უფრო მეტად, ადამიანთა უფლებებისა და მეწარმეთა ინტერესების დაცვაზე გაკეთდება.

**"ლამის ყოველ მესამე დღეს პარლამენტს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შეაქვს. მეწარმემ ასეთ პირობებში როგორ უნდა იმუშაოს? კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები მათი მიღებიდან სამი წლის შემდეგ უნდა ამოქმედდეს,"** - მოითხოვს იაშვილი. იგი იხსენებს, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი პარლამენტს პირველი მოსმენით უკვე მიღებული აქვს და საჭიროდ მიიჩნევს მისთვის საბოლოო სახის მიცემას.

ბიზნესის, კერძო საკუთრების და დემოკრატიული ღირებულებების დაცვის აუცილებლობაზე საუბრობს "მრეწველთა" წარმომადგენელი რეზო ცაგარეიშვილიც.

იგი ირწმუნება, რომ მომავალ პარლამენტში "მრეწველებისა" და "ახლების" საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ეროვნული წარმოების დაცვა იქნება. ასეთი მიდგომის სასარგებლოდ, ცაგარეიშვილს მალტის მაგალითი მოჰყავს, სადაც ხელისუფლებამ ადგილობრივი წარმოება წაახალისა და, ამის წყალობით, ეს ქვეყანა აღმავლობის გზას დაადგა.

გუშინდელ პრეზენტაციაზე ცაგარეიშვილმა ერთი საკმაოდ საინტერესო განცხადებაც გააკეთა. მისი თქმით, ახალ პარლამენტში მემარჯვენე ოპოზიციის **"მთავარი ამოცანა ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა იქნება".**

ახლახან მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს ჯერ მელანი არ შეშრობია. გარდა ამისა, ახალი ხელისუფლება თავად აცხადებს, რომ ამ ცვლილებების აუცილებლობა გარდამავალმა პერიოდმა წარმოშვა და რამდენიმე წლის შემდეგ, ახალი კონსტიტუციის მიღებით, საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლის პროცესი დასრულდება. ასეთ ვითარებაში გაუგებარია, რატომ გაუჩნდა ოპოზიციას ქვეყნის ძირითადი კანონის რევიზიის სურვილი.

რაც შეეხება კარსმომდგარ საპარლამენტო არჩევნებს, "მრეწველები" და "ახლები" მასზე მაინცადამაინც დიდ იმედებს არ ამყარებენ. არადა, რეგიონებში მათ საკმაოდ კარგი პოზიციები გააჩნიათ: 2002 წლის მუნიციპალური არჩევნების დროს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში "ახლებმა" 800, ხოლო "მრეწველებმა", - 530 მანდატი მიიღეს. თუმცა, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

**"იმის ილუზია არა გვაქვს, რომ საპარლამენტო არჩევნებში ხმების უმრავლესობას მივიღებთ,"** - აღიარებს ირაკლი იაშვილი. მემარჯვენე ოპოზიციისთვის ოცნების მწვერვალს შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა წარმოადგენს.

*გიორგი ასანიშვილი*

## ადმინისტრაციები პარალიზებულია

არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელთა მონაცემებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო, აჭარის საარჩევნო ადმინისტრაციები, ფაქტობრივად, პარალიზებულია. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ზაზა დარასელიამ განაცხადა, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ არც საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სიების შედგენა და არც გადასატანი საარჩევნო ყუთისთვის სიების ფორმირება არ მომხდარა. დარასელიას თქმით, ერთადერთი, რაც აჭარაში შეუფერხებლად მიმდინარეობს, ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის პროცესია და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ამომრჩევლებს წინასწარი რეგისტრაციის გავლისკენ აქტიურად მოუწოდებენ. "სამართლიანი არჩევნების" მონაცემებით, აჭარაში წინასწარი რეგისტრაცია ამ დროისთვის 44 982-მა ამომრჩეველმა გაიარა.

*ინტერ-პრესი*

## პატიაშვილი წინასაარჩევნო კამპანიას მართავს

"ერთობის" ლიდერმა ჯუმბერ პატიაშვილმა, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, რუსთავში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებთან შეხვედრა გამართა. როგორც პატიაშვილმა განაცხადა, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება ბევრად იქნება დამოკიდებული საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაზე. "ერთობის" ლიდერმა იმედი გამოთქვა, რომ 28 მარტს არჩეული ახალი პარლამენტი და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ახლად არჩეული ხელმძღვანელობა რეალურ ნაბიჯებს გადადგამენ ამ პრობლემების მოსაგვარებლად. პატიაშვილი რუსთავში შეხვდა საწარმო "ცენტროლიტის" თანამშრომლებს, ე.წ. "სტამბულის ბაზრობაზე" მოსახლეობას და თეატრის დარბაზში - საზოგადოების წარმომადგენლებს.

*პრაიმ-ნიუსი*

## იმუნიტეტი ვერ დაიცავს

"საფოსტო ბანკის" ყოფილ დირექტორს, ძებნილ სერგო იაკობიძეს დეპუტატობის კანდიდატობის იმუნიტეტი ველარ დაიცავს. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ დააკმაყოფილა გენერალური პროკურატურის მოთხოვნა და "საფოსტო ბანკის" ყოფილ დირექტორს, ჭიათურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს იმუნიტეტი მოუხსნა. სერგო იაკობიძისთვის იმუნიტეტის მოხსნას ცესკო-ს რვა წევრმა დაუჭირა მხარი. ამ გადაწყვეტილების შემდეგ გენპროკურატურას იაკობიძის დაუყონებლივ დაპატიმრებისა და გაჩხრეკის უფლება ეძლევა. საფოსტო ბანკის ყოფილ დირექტორს ბრალი ედება სასამართლო გადაწყვეტილების ხელის შეშლასა და შეუსრულებლობაში, სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისება-გაფლანგვასა და უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში. ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის გენერალური პროკურორის მიერ გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ სერგო იაკობიძე სამართალდამცველების მიერ იძებნება და მასზე ძებნა ჯერ კიდევ მაშინ გამოცხადდა, როცა იგი ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიამ დეპუტატობის კანდიდატად დაარეგისტრირა. "საქართველოს საფოსტო ბანკის" ყოფილ გენერალურ დირექტორს 2002 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 13 იანვრამდე მოღვაწეობის პერიოდში ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში განსახლებულ დევნილთა შემწეობების თანხის – 758.160 ლარის მითვისება ედება ბრალად. პროკურატურამ იაკობიძე ძებნილად ჯერ კიდევ იანვარში გამოაცხადა, თუმცა, მისი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.

*24 საათი*

## მკვლელობა თბილისში

გუშინ, საღამოს თბილისში მკვლელობა მოხდა. დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლში ფირმა "კიამოტორსის" ერთ-ერთ დამფუძნებელს ავთანდილ შანიძეს დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ და ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სასიკვდილოდ დაჭრეს. ავთანდილ შანიძე, რომელსაც თავისა და გულ-მკერდის არეში ხუთი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ველარ მოხერხდა – იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. პოლიციას ახსნა-განმარტება უკვე მისცეს შანიძის მეზობლებმა, რომელთა განცხადებითაც, მათ, მართალია, სროლის ხმა არ გაუგიათ, მაგრამ გაიგონეს, როგორ ჩაირბინა კიბეზე რამდენიმე ადამიანმა. მოკლული ბიზნესმენის ცხედარს გუშინვე ჩაუტარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნაც რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. ავთანდილ შანიძის მკვლელობის საქმეს ვაკე-საბურთალოს პროკურატურა იძიებს. სამართალდამცველები ორ ძირითად ვერსიაზე მუშაობენ. გამოძიების ვერსიით, მკვლელობის მოტივი, შესაძლოა, ყაჩაღობა იყოს. თუმცა, სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ მკვლელობა, შესაძლოა, დაქირავებული ქილერების მიერ იყოს ჩადენილი და ის ბიზნესთან იყოს დაკავშირებული.

*24 საათი*

### ოფიციოზი

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 98

*2004 წლის 18 მარტი ქ. თბილისი*

საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების გაუქმებისა და საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 მაისის №344 და 2004 წლის 15 მარტის №96 ბრძანებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრის ფარგლებისა და მისი მიმდებარე შავი ზღვის აკვატორიის ზემოთ არსებულ საჰაერო სივრცეში ფრენის დროებითი აკრძალვის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 15 მარტის №95, "სუფსის საზღვაო ნავსადგურის შექმნისა და საქართველოში უცხოეთის გემებისათვის ღია ნავსადგურების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" 2004 წლის 16 მარტის №97 და "ბათუმის ნავსადგურში უცხო ქვეყნის გემებისა და სამხედრო ხომალდების შესვლისა და ყოფნის დროებითი შეზღუდვის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 15 მარტის №94 ბრძანებულებები.

2. "სუფსის საზღვაო ნავსადგურის შექმნისა და საქართველოში უცხოეთის გემებისათვის ღია ნავსადგურების ნუსხის დამტკიცების შესახებ" 1999 წლის 31 მაისის №344 ბრძანებულებით დამტკიცებული დანართის (საქართველოში უცხოეთის გემებისათვის ღია ნავსადგურების ნუსხა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ბათუმის საზღვაო ნავსადგური"

3. "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 15 მარტის №96 ბრძანებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანებულებიდან ამოღებულ იქნეს პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-7 პუნქტები და მე-6 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტები;

ბ) ბრძანებულების მე-6 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"დ) შეაჩეროს ქ. ბათუმში საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობის მიერ საქართველოს მოქალაქის ყველა ტიპის პასპორტების გაგრძელება-გაცემა; უცხოეთის მოქალაქეთათვის საქართველოს ვიზების გაგრძელება და გაცემა; წარმომადგენლობის თანამშრომელთა დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტებით სარგებლობის უფლება".

*მიხეილ სააკაშვილი*

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 99

*2004 წლის 18 მარტი ქ. თბილისი*

საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლობის შექმნის შესახებ.

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ერთიანი საბაჟო პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიქმნას საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლობა.

2. საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლად ქ. ბათუმის ნავსადგურში დაინიშნოს ვასილ სანოძე.

3. საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლად სარფის სასაზღვრო გამტარ და საბაჟო გამშვებ პუნქტებში დაინიშნოს დავით ახალაია.

4. ამ ბრძანებულების მე-2 და მე-3 პუნქტით განსაზღვრულმა პირებმა ერთ კვირაში დასამტკიცებლად წარმოადგინონ წარმომადგენლობის დებულება და სტრუქტურა.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) და ეკონომიკის სამინისტრომ (ი. რეხვიაშვილი) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყონ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლობის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

*მიხეილ სააკაშვილი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.




## ნაკლებად ცნობილი მხარეები ბათუმის ნავთობის ტერმინალის შესახებ

ბათუმის ნავთობის ტერმინალის 95 %-ის მფლობელი უცხოელებია. შესაკუთრეებმა შეიტანეს შეერთებული შტატების კომბინირებული კერძო კაპიტალი (თავიდანვე OPIC-ის - აშშ-ს სახელმწიფო ორგანიზაცია - მიერ დაფინანსებული), ისევე როგორც შვეიცარიელმა და დანიელმა ინვესტორებმა.

ბათუმის ნავთობის ტერმინალი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს ნავთობტერმინალს საქართველოში. ამ უკანასკნელის შემდეგ ადგილს იკავებენ სუფსისა და ფოთის ტერმინალები.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება ნავთობპროდუქტების თითქმის 60 %-ი, რომელიც საქართველოს ნავთობის სატრანზიტო კორიდორით გადის მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება მხოლოდ სარკინიგზო ხაზით შემოსული 17 სხვადსხვა სპეციფიკაციის ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტი. ის არც არსებულ და არც სამომავლოდ დაგეგმილ რეგიონალურ მილსადენებს არ უწევს კონკურენციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელებმა 1999 წლიდან საქართველოში 75 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია დააბანდეს. აქედან 52 მილიონი აშშ დოლარი დაეთმო ტერმინალის რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში დასაქმებულია 2000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და ის აფინანსებს არაერთ სოციალურ და საქველმოქმედო პროგრამას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელები 2004 წლის ბოლოსათვის დაასრულებენ 5 წლიან საინვესტიციო პროგრამას საქართველოში. მათ 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია აქვთ დაბანდებული ამ ქვეყანაში.



### გადატვირთვის მოცულობები




### გადატვირთვის ტარიფები




## ბათუმი ოილ ტერმინალ ლიმიტედი

**ბათუმი**
მაიაკოვსკის ქ. 4
ბათუმი, საქართველო
ტელ.: + 995 222 760 06
ფაქსი: + 75 01 940 45 07

**ლონდონი**
გროსვენორის ქ. 18
ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
ტელ.: + 44 20 76 29 18 18
ფაქსი: + 44 20 74 99 84 35

**თბილისი**
თავისუფლების მოედანი, 4
თბილისი, საქართველო
ტელ.: + 995 32 922 567
ფაქსი: + 995 32 922 569

# საბოტაჟი "კავკასიონზე"

პირველი გვერდიდან

სპეციალისტების ვარაუდით, ახლა ხაზის აღდგენას 3-4 დღე მაინც დასჭირდება. ალტერნატიული გზით – 110-კილოვოლტიანი "სალხინოთი" კი დენის იმპორტი სამშაბათამდე გამორიცხულია: ამ ხაზზე, ჯერჯერობით, მრიცხველი არ არის დამონტაჟებული. **"სალხინოზე", რომელიც რუსეთ-საქართველოს აფხაზეთის ტერიტორიის გავლით აკავშირებს, მრიცხველს მომავალ კვირაში დავაყენებთ,** - განაცხადა გილაურმა, - **ეს საკითხი რუსულ მხარესთან ერთობლივად მოგვარდება. ჩვენი მხრიდან კი, მრიცხველის დაყენების საკითხში საბითუმო ბაზრისა და "სახელმწიფო ელექტროსისტემის" წარმომადგენლები მონაწილეობენ."**

საბოტაჟის ფაქტთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრა. ხაზის აღდგენითი სამუშაოებიც დაწყებულია.

შესაბამისად, დენი არ იქნება. ანუ, დედაქალაქში ისევ მოსალოდნელია მკაცრი შეზღუდვები და დენის პერიოდული გამორთვები. რაც შეეხება რეგიონებს, იქ დენი არც ყოფილა, ასე რომ, მწვავე, 400-მეგავატიანი დეფიციტი დიდად შესამჩნევი არ იქნება. ერთადერთი, შედარებით განათებული იქნება ახალქალაქის, ნინოწმინდის, ასპინძის და ადიგენის რაიონები. გსეკ-ს ამ რაიონებისთვის დენი სომხეთიდან შემოაქვს. როგორც გსეკ-ში აცხადებენ, მალე მათ ბაკურიანიც მიუერთდება - **"იმ შემთხვევაში, თუ ეს რაიონიც, ზემოთ დასახელებული ოთხი რაიონივით, დენის საფასურს პირნათლად გადაიხდის."** იგეგმება სომხური დენის შემოტანა მარნეულის, თეთრიწყაროსა და ბოლნისის რაიონებისთვისაც. როგორც გუშინ, საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე გსეკ-ის გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა დააკონკრეტა, **"ზემოთ აღნიშნული სამი ფილიალი ელექტროენერგიის საფასურის საუკეთესო გადამხდელია და ენერგოკომპანიისთვის მათი მომარაგება პრიორიტეტს წარმოადგენს."**





*ნიკა გილაური და დინ უაითი მოსალოდნელი ენერგოდეფიციტის თაობაზე საზოგადოებას რიგრიგობით აფთხილებენ.*

"კავკასიონის" აღდგენისთანავე, კომპანია რუსეთიდან იმპორტის გაგრძელებას გეგმავს. გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტიდან დარჩენილი თანხა გსეკ-ს რუსული დენის იმპორტისათვის კიდევ 25 დღე ეყოფა.

ამასობაში კი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობა ელექტროენერგიის მიწოდების მოთხოვნით გამოდის. გუშინ გაიფიცა წყალტუბოს რაიონის 5 სოფლის მოსახლეობა. თუ დენს არ მიაწვდიან, გაფიცულები 110-მეგავატიანი "ვარციხეჰესის" დარბევით იმუქრებიან. მოსახლეობა ჰესიდან დენის პირდაპირ მიწოდებას ითხოვს. **"ჩვენ გვინდა, "ვარციხეჰესიდან" დენი პირდაპირ მოგვაწოდონ და უფლება მოგვცენ, რომ დენის საფასურიც პირდაპირ ჰესს გადავუხადოთ,"** – აცხადებენ ისინი.

როგორც საბითუმო ბაზარში განმარტავენ, შუა წელიწადში მსგავსი გადაწყვეტილების მიღება ბაზრის ანგარიშსწორების სისტემაში სრულ ქაოსს გამოიწვევს. ამასთან, პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმების საკითხი უშუალოდ ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის – სემეკ-ის გადასაწყვეტია. სემეკი კი, მისი წევრების გადადგომის დღიდან, დაშლილია. ამდენად, ამ გადაწყვეტილებას ამ ეტაპზე ვერავინ მიიღებს.

პარალელურად, უკმაყოფილების ტალღა აგორდა ქუთაისშიც. შეგახსენებთ, რომ რუსთავსა და ქუთაისში გსეკ-მა უკვე დაიწყო იმ ელექტროსადენების ჩაჭრის პროცესი, რომელთა მეშვეობითაც ე.წ. "მცირე ლიცენზიანტები" თავის აბონენტებს ემსახურებიან. როგორც გსეკ-ში აცხადებენ, ქუთაისში ერთ-ერთი ასეთი მცირე კომპანია წერილობითაც კი მიმართავს საკუთარ აბონენტებს და მოუწოდებს, არ შეეგუონ ელექტროსადენების ჩაჭრას.

სათბობ-ენერგეტიკული სექტორის კურატორები არ გამორიცხავენ, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აგორებული ენერგეტიკული არეულობების ტალღა ხელისუფლების მიერ ქვეყანაში გატარებული ენერგეტიკული პოლიტიკის წინააღმდეგაა მიმართული. არჩევნები ახლოა, უშუქობა კი საზოგადოებრივი მღელვარების პროვოცირებისთვის ყოველთვის შესაფერისი ნიადაგი იყო...

დაბოლოს: როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, არ არის გამორიცხული, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ იმერეთის 5 ჰესის ("შაორჰესის", "გუმათჰესის", "რიონჰესის", "ლაჯანურჰესის" და "ძევრულაჰესის") რეაბილიტაციის 15-მილიონ დოლარიანი პროექტი ისევ აღადგინოს.

ასე რომ, ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მოლოდინში ეს არეულობები, შესაძლოა, დარგისთვის საბედისწერო აღმოჩნდეს: შეგახსენებთ, რომ გასულ წელს იმერეთის ჰესების სარეაბილიტაციო პროექტის დაფინანსება USAID-ს სწორედ იმერეთის ქვესადგურებში შეჭრის ფაქტებმა და ელექტროენერგეტიკულ სექტორში განვითარებულმა უკონტროლო პროცესებმა გადააფიქრებინა.

## ცენტრმა ბათუმის პორტსა და სარფის საბაჟოზე წარმომადგენლები დანიშნა

*ეკონომიკური ბლოკადა მოხსნილია, შეთანხმებების რეალიზება კი დაწყებული: აბაშიძემ ბათუმისკენ მიმავალი გზა გაათავისუფლა, სააკაშვილმა სარფის საბაჟო აამოქმედა, აბაშიძემ საბაჟოსა და ბათუმის ნავსადგურში ცენტრის წარმომადგენლები "ჩაისვა", ცენტრმა ბათუმის ნავსადგურის მისადგომები გახსნა...*

გუშინ სარფის საბაჟოზე დაწესებული ყველა შეზღუდვა გაუქმდა და თურქეთსა და საქართველოს შორის მიმოსვლა აღდგა. საბაჟოს უფროსის მოადგილის გენადი ცინციბაძის განცხადებით, განახლდა როგორც მსუბუქი, ისე სატვირთო ავტომანქანების მოძრაობა.

გუშინვე ფოთში სპეციალურად ამ საკითხთან დაკავშირებით შეკრებილი თათბირის შემდეგ უშიშროების საბჭოს მდივანმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილსა და ასლან აბაშიძეს შორის მიღწეული შეთანხმება ბათუმის პორტსა და საბაჟოზე პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნის შესახებ უკვე რეალიზებულია.

მან წარადგინა უშიშროების საბჭოს თანამშრომლები - დავით ახალაია და ვასილ სანოძე. ისინი იურისტები და "ნაციონალთა" პარტიული აქტივისტები არიან. ვასილ სანოძე, ალბათ, კარგად ახსოვთ აჭარასა და საქართველოში გამართული საპროტესტო მიტინგებიდან, სადაც მას ყოველთვის პირველ რიგებში იხილავდით. ახალაია პრეზიდენტის სპეციალური წამომადგენლის ფუნქციებს - საბაჟოზე, სანოძე კი პორტში შეასრულებს. მერაბიშვილის განცხადებით, მათ ეყოლებათ თანაშემწეებიც, რომელთა ვინაობა, ჯერჯერობით, უცნობია.

გუშინვე მერაბიშვილი ახალ წარმომადგენლებთან ერთად ბათუმს ეწვია და ავტონომიის ლიდერთან გამართა შეხვედრა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისი-ბათუმის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლა სრულად აღდგა. შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციის ცნობით, ამჟამად ჩვეულებრივი გრაფიკით მიმდინარეობს როგორც სატვირთო გადაზიდვები, ისე სამგზავრო რეისები. ყველა დაზიანებული ლიანდაგი შეკეთებულია, მათ შორის აღდგენილია რამდენიმე დღის წინათ აჭარაში, ჩაქვთან დაშლილი ლიანდაგი. ზარალი, რომელიც რკინიგზამ ამ მიმოსვლის დროებითი შეწყვეტით მიიღო, ჯერჯერობით, დაანგარიშებული არ არის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა მიმდინარე წლის 18 მარტს, ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით, ცენტრალური ბიუჯეტიდან 6,743 მილიონი ლარის ოდენობის ხარჯი დააფინანსა. ეს თანხა მთლიანად მარტის თვის ტრანსფერების გაცემას მოხმარდა. კერძოდ, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებმა ხაზინიდან 6,159 მილიონი ლარის ტრანსფერი მიიღეს, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტმა ტრანსფერის სახით ხაზინიდან 584 ათასი ლარი მიიღო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო კოლეჯებს დიდ ჯიხაიშში, ლაითურში, წნორში, სენაკში, ზედა ეწერში, ბათუმსა და წინამძღვრიანთკარში უახლოეს დღეებში 45 ათასი ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა გადაეცემა. კომპიუტერების გადაცემა "სოფლის მეურნეობის განათლების განვითარება საქართველოში" პროექტის ინიციატივით ხდება, რომელსაც გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება GTZ 1998 წლიდან ახორციელებს. ერთი თვის განმავლობაში კი გათვალისწინებულია დამატებით 185 ათასი ლარის ღირებულების ტექნიკური აღჭურვილობის გადაცემა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით შერვაშიძემ ამერიკის მთავრობას 50 ათასი ტონა ხორბლის გადმოცემა და ტრანსპორტირების დაჩქარება სთხოვა, რაზეც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის დახმარების კოორდინატორის კარლოს პასკუალესგან თანხმობა მიიღო. **ინტერ-პრესი**


### "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ**

**23 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ვაჟა-ფშაველას II და IV კვარტლების, გამრეკელის, გელოვანის, გურიელის, ნუცუბიძის(ნაწილობრივ) ქუჩების მაცხოვრებლებს.

**23 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ასურეთის, ჭიჭიკო ბენდელიანის, ბუგეულის, დარკვეთის, გეგუთის, ჯავის, კიშინიოვის, კოკინაკის, ლისაშვილის, ლუბოვსკის, მაჩხაანის, მირზაანის, მოლოკოვის, სანავარდოს, სვირის, თოდრიას, წერონისის, ზეკარის ქუჩების მაცხოვრებლებს.


## "გაზპრომს" ევროპა ავიწროებს

*"გაზპრომის" ევროპელი პარტნიორები ევროპაში კონსორციუმს ქმნიან, რომელიც რუსული გაზის გიგანტის ტრადიციულ სამომხმარებლო ბაზრებს აითვისებს. თავად "გაზპრომში" კი ამის თაობაზე არაფერი იციან. გუშინ ასეთი სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა რუსულმა ინტერნეტ-გამოცემა "გაზეტა.რუ"-მ.*

მაია ურუშაძე

რუსი ჟურნალისტების შეშფოთებას 2002 წლის ოქტომბერში შექმნილი კონსორციუმი "ნაბუკო" იწვევს. ამ კონსორციუმის დამფუძნებლებმა "ნაბუკო" ავსტრია-თურქეთის მაკავშირებელი გაზსადენის მშენებლობის მიზნით შექმნეს. თურქეთის ბაზრამდე კი ცენტრალური აზიის გაზის მარაგებს სამხრეთ-კავკასიის გაზსადენის პროექტის ამოქმედებისთანავე გაეხსნება გზა. **"შედეგად, "გაზპრომი" გაზზე მონოპოლიას დაკარგავს,"** – შიშობენ რუსი ჟურნალისტები. თუმცა, ეს "შედეგი" 2009 წლამდე გაზის გიგანტს არ ემუქრება. ამ დროისთვისაა გათვალისწინებული ამ 20-30 მილიარდი კუბური მეტრის გაზგამტარობის მქონე გაზსადენის მშენებლობის დასრულება. სხვათა შორის, "გაზპრომს" იამალო-ნენცეთის ოლქიდან ევროპისაკენ გაზის ნაკადები სწორედ ამ სიმძლავრით მიაქვს. პროექტში, რომელიც 4,4 მილიარდი ევრო ჯდება მონაწილეობენ: თურქული სახელმწიფო გაზის კომპანია "ბოტაში", ბულგარეთის "ბულგარგაზი", რუმინული "ტრანსგაზი", უნგრული "ემ-ოელი" და "გაზპრომის" ყველაზე ძველი ევროპარტნიორი – ავსტრიული "ო-ემ-ვი". ეს უკანასკნელი "გაზპრომთან" ურთიერთობის გაწყვეტას არ გეგმავს, მაგრამ ახალი მარშრუტით დაინტერესებას ევროპისათვის გაზის მოწოდების დივერსიფიკაციის აუცილებლობით ხსნის.

პროექტში "ბოტაშის" მონაწილეობას კი რუსი ენერგოექსპერტები, ჩანს, უკვე სათანადოდ აფასებენ და აცხადებენ, რომ **"თურქეთმა ევროპისაკენ გაზის ტრანსპორტირების დერეფნის ფუნქციის შესრულება განიზრახა."** სხვათა შორის, რუსი ექსპერტები "გაზპრომის" ამ "წარუმატებლობას" შავი ზღვის ფსკერზე აგებული გაზსადენის პროექტის - "ცისფერი ნაკადის" "მოუფიქრებელ დაგეგმვას" აბრალებენ.

მასმედიის მხრიდან ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება შემთხვევითი არ უნდა იყოს. "გაზპრომი" ჩიხშია, თუმცა გაზის რუსულ გიგანტს დანებება, როგორც წესი, არ სჩვევია. ვინაიდან სატრანსპორტო მარშრუტებზე კონტროლი ხელიდან ეცლება, სავარაუდოდ, ის ბაზარზე გავლენის შესანარჩუნებლად ყურადღებას გაზის მომპოვებელ-მომწოდებელთა მიმართ გააააქტიურებს. ამასთან, მისი ინტერესი დსთ-ს სივრცის გაზის ბაზრის მიმართ, სავარაუდოდ, გაცილებით უფრო დიდი იქნება. ამ ვითარებაში არ არის გამორიცხული, რომ "გაზპრომმა" დსთ-ს ქვეყნებს გაზის სადისტრიბუციო სექტორში თანამშრომლობის გაღრმავება შესთავაზოს. ეს შეთავაზება კი, ალბათ, ტრადიციული "რუსული მეთოდებით" მოხდება...

## მარტივი წიგნი რთული გადასახადების შესახებ

*ქვეყანაში, სადაც სკოლებში ბავშვებს გადასახადების შესახებ სპეციალურ კურსს უკითხავენ, როგორც წესი, გადასახადებისა და წლის ბოლოს ბიუჯეტის შევსების პრობლემები ნაკლები ჩნდება. შეიძლება იმიტომაც, რომ ასეთ ქვეყნებში ყოველ პოტენციურ გადამხდელს ბავშვობიდან აქვს გააზრებული, რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს არსებობისა და კეთილდღეობისთვის მათ მიერ გადახდილ თითოეულ ცენტს. მათ ასევე კარგად უწყიან, რატომ და როგორ ისჯება კანონით გადასახადებისგან თავის არიდება.*

დასავლეთის ძალიან ბევრ ქვეყანაში (მათ შორის - განვითარებად სახელმწიფოებში) სასკოლო პროგრამა ითვალისწინებს სპეციალურ კურსს გადასახადების შესახებ. ეს კურსი, ძირითადად, დაწყებით კლასებში იკითხება, სადაც მოსწავლეები ეცნობიან გადასახადების არსს, მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორიას, საგადასახადო კანონმდებლობის ძირითად ცნებებს.

ასეთი სასწავლო კურსის საქართველოს სკოლებში შემოღების მცდელობა, ჯერჯერობით, არ ყოფილა. შეიძლება იმიტომაც, რომ მსგავსი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე დღემდე არ არსებობდა. ცოტა ხნის წინ კი ასეთი სახელმძღვანელო საქართველოშიც გამოჩნდა.

**"რა უნდა ვიცოდეთ გადასახადების შესახებ?"** - ასე ჰქვია ამ სახელმძღვანელოს, რომლის ავტორებსაც იმედი აქვთ, რომ ეს წიგნი მალე სასკოლო ლიტერატურა გახდება. ხსენებული სახელმძღვანელოს ავტორები ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლები - მამუკა ბარათაშვილი და მიხეილ სხიერელი არიან.

რთულია იმის პროგნოზირება, რომ სასკოლო პროგრამაში მსგავსი საგნის შეტანა ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზებას, თუმცა ერთი რამის თქმა გადაჭრით ნამდვილად შეიძლება. ამ კურსის გავლის შემდეგ ყველა სკოლის მოსწავლეს ეცოდინება, თუ რას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, რას ნიშნავს ბიუჯეტის დეფიციტი, რატომ, როდის და როგორ ჩნდება იგი; რა სახის გადასახადები არსებობს დღეს საქართველოში. საგადასახადო ორგანოების ფუნქციებისა და უფლება- მოვალეობების შესახებ. სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია ზოგადად მსოფლიოსა და საქართველოში გადასახადების წარმოშობის მოკლე ისტორია. რაც ყველაზე მთავარია! ხსენებული სახელმძღვანელო ძალიან მარტივი და გასაგები ენითაა დაწერილი.

*24 საათი*

## თურქეთში ქართული ღვინოები გამოიფინა

*უკანასკნელი რამდენიმე წელია, საქართველოს ათ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის, რუსეთის შემდეგ, თურქეთის რესპუბლიკა ლიდერობს. გასულ წელს ამ სახელმწიფოსთან სავაჭრო ბრუნვამ 185 მილიონ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა. ეს მაჩვენებელი მთლიანი ბრუნვის თითქმის ცამეტ პროცენტს აღწევს. აქედან 107 მილიონ დოლარზე მეტი - იმპორტზე, 79 მილიონი კი ექსპორტზე მოდის. წელს მოსალოდნელია ამ ციფრების მნიშვნელოვნად გაზრდა.*

მარიამ ჭაჭკაძე

ასეთ პროგნოზს საქართველოში თურქეთის საელჩოში იმის გათვალისწინებით აკეთებენ, რომ უკვე მეორე წელია თურქეთში, ადგილობრივი საგამოფენო ორგანიზაცია "თუაფის" მოწვევით და საქართველოში თურქეთის საელჩოს ორგანიზებით, ქართველი მეწარმეები თურქ კოლეგებს პირადად ეცნობიან. უფრო ზუსტად, თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში, "თუაფის" საგამოფენო ცენტრებში ეწყობა თურქული წარმოების სხვადასხვა დასახელების პროდუქციის გამოფენები, სადაც უშუალოდ მათი მწარმოებლები იმპორტიორ ფირმებს ხვდებიან. გამოფენებზე, საქართველოს გარდა, მოწვეულნი არიან თურქეთის ყველა მეზობელი სახელმწიფოს მეწარმეები.

წელს თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში დაგეგმილია იმ ათასამდე ორგანიზაციის მიწვევა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობას ეწევა. საქართველოში თურქეთის საელჩოს მრჩეველი სავაჭრო საკითხებში ოქან ოზთურქი ირწმუნება, რომ მსგავსი კონტაქტები ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობების გამყარებას ხელს უწყობს. მისივე ინფორმაციით, შარშან გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა თურქეთიდან საქართველოში და პირიქით, საქართველოდან თურქეთში იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა. ოქან ოზთურქი ფიქრობს, რომ ეს გარკვეულწილად, "თუაფის" დამსახურებაა.

ამ დღეებში "თუაფის" ეგიდით თურქეთის ქალაქ იზმირში ღვინის გამოფენა მოეწყო, სადაც, თურქულის გარდა, წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის ცამეტამდე მწარმოებლისა და იმპორტიორი კომპანიის პროდუქცია.

ცნობისათვის, "თუაფი" თურქეთში ყველაზე მსხვილი საგამოფენო ორგანიზაციაა, რომელსაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გააჩნია საკუთარი საგამოფენო ცენტრი. "თუაფის" ჰოლდინგის პრეზიდენტი ბულან უნალი კავკასიაში საკუთარი წარმომადგენლობის გასახსნელად საქართველოს ირჩევს. დღემდე "თუაფს" მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში საკუთარი წარმომადგენლობა მხოლოდ რუსეთის დედაქალაქში ჰქონდა.

ამ ცოტა ხნის წინათ ექსპო-ჯორჯიას საგამოფენო ცენტრის ერთ-ერთ პავილიონში "თუაფის" წარმომადგენლობა გაიხსნა, რომლის ოფიციალური პრეზენტაცია ამ დღეებში გაიმართება. პირველი გამოფენა, სავარაუდოდ, ივნისის თვეში მოეწყობა, სადაც წარმოდგენილი იქნება საკვები პროდუქტების და სასმელების შესაფუთი მასალა და მათი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები.

## "უინდოუზსა" და "ლინუქსს" შორის სერიოზული ბრძოლა გაიმართება

თორნიკე შარაშენიძე

პერსონალური კომპიუტერების უმსხვილესი მწარმოებელი "ჰიულეტ-პაკარდი" აპირებს, მიმდინარე წელს გაყიდოს კომპიუტერების პარტია, რომელიც "ლინუქსის" საოპერაციო სისტემით იქნება აღჭურვილი. ეს ფაქტი საგანგაშო სიგნალი უნდა იყოს "მაიკროსოფტისათვის," რომელსაც "უინდოუზის" წყალობით უკვე დიდი ხანია, მონოპოლია აქვს დამყარებული საოპერაციო სისტემებზე.

"ლინუქსით" აღჭურვილი კომპიუტერები ჩინეთში, ინდოეთსა და სხვა მსხვილ აზიურ ქვეყნებში გაიყიდება. კომპიუტერები კომპანიებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ ცხადია, კომპანიებში მათი მოხმარებაც "ლინუქსს" საკმაოდ პოპულარულს გახდის კერძო მომხმარებლებში.

"ლინუქსმა" ბოლო დროს გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ეს საოპერაციო სისტემა, "ჰიულეტ-პაკარდის" გარდა, "დელმა" და "აიბიემმაც" შეისყიდეს. ჯერჯერობით, "ლინუქსს" სულ 3 პროცენტი უჭირავს საოპერაციო სისტემების ბაზარზე (მაშინ, როცა "უინდოუზი" 94 პროცენტს აკონტროლებს), მაგრამ ეს საბაზრო წილი თანდათანობით იზრდება. "აი-ბი-ემი" თავის ოფისებში "ლინუქსს" უკვე 100 ათასზე მეტ კომპიუტერში იყენებს. ამ კომპანიის კვლევითი განყოფილების თავკაცის, ბობ გრინბერგის თქმით, "უინდოუზს" უკვე საკმაოდ სერიოზული საფრთხე ემუქრება. "როცა "აი-ბი-ემი" და "ჰიულეტ-პაკარდი" "ლინუქსს" იყენებენ, ეს ნიშნავს, რომ ამ საოპერაციო სისტემას დიდი მომავალი აქვს და ჩვენ "ლინუქსსა" და "უინდოუზს" შორის საინტერესო ბრძოლის მოწმენი გავხდებით."

"ლინუქსი" განსაკუთრებით აზიაშია პოპულარული. ამის ერთ-ერთი მიზეზი მისი შედარებით მისაღები ფასია. "მაიკროსოფტი" "უინდოუზს" აზიაშიც იმავე ფასში ჰყიდის, როგორც აშშ-ში, რაც, ექსპერტთა თქმით, საკმაოდ გაუმართლებელი პოლიტიკაა.

# გასროლა ტაივანში

ნიკა თარაშვილი

გუშინ ტაივანის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტზე თავდასხმა განხორციელდა. პრეზიდენტი ჩენ შუი ბინი მუცელშია დაჭრილი, თუმცა ექიმთა განცხადებით, მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ვიცე-პრეზიდენტ ანეტ ლუს კი თავდამსხმელის მიერ ნასროლი ტყვია მუხლში მოხვდა. თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო, თუმცა შემდეგ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ ეს წინასწარგანზრახული თავდასხმა იყო. **"მათი ჭრილობები სიცოცხლისათვის საშიში არ არის და ისინი მოსახლეობას სიმშვიდის შენარჩუნებას სთხოვენ,"** - განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა. მან დაუმატა, რომ პრეზიდენტს გონება არ დაუკარგავს და ქვეყნის მართვა კვლავინდებურად შეუძლია. ჯერჯერობით გარკვეული არ არის, რამდენჯერ ესროლეს პრეზიდენტის მანქანას.

გასროლა კუნძულის სამხრეთში, ქალაქ ტაინანში მოხდა. პრეზიდენტი წინასაარჩევნო კამპანიას მართავდა და, ვიცე-პრეზიდენტთან ერთად, მხარდამჭერთა ავტოკოლონას გადახდილი ჯიპით მიუძღვებოდა. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება კვირას არის დაგეგმილი. საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის განცხადებით, ეს ინციდენტი არჩევნების თარიღზე გავლენას არ იქონიებს.

ალსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად დაგეგმილია არანაკლებ მნიშვნელოვანი - საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარება. რეფერენდუმს შეშფოთებით აკვირდებიან ტაივანის მეზობლები, პირველ რიგში კი, ჩინეთი. საქმე ის არის, რომ რეფერენდუმმა უნდა გამოავლინოს კუნძულის მოსახლეობის დამოკიდებულება ქვეყნის უსაფრთხოების გაზრდის საკითხისადმი. ჩინეთი შეშფოთებულია ტაიპეის მსგავსი გადაწყვეტილებით და აცხადებს, რომ რეფერენდუმი კუნძულსა და კონტინენტურ ჩინეთს შორის ურთიერთობების დათბობას ხელს შეუშლის.



პრეზიდენტი ჩენ შუი ბინი და ვიცე-პრეზიდენტი ანეტ ლუ.

### პრეზიდენტი ჩენი: პატრიოტი თუ პროვოკატორი

ანალიტიკოსთა აზრით, ჩენ შუი ბინი საკმაოდ არათანმიმდევრული პოლიტიკოსია. მან წინა არჩევნებზე გამარჯვება სწორედ ტაივანის დამოუკიდებლობისაკენ მოწოდებების გამო მოიპოვა. მართალია, შარშან ის ამბობდა, რომ ტაივანი დამოუკიდებლობას არ გამოაცხადებს, მაგრამ ეს შეიძლება დასავლეთისა და ტაივანის მთავარი მოკავშირის, აშშ-ს დასამშვიდებლად იყო გაკეთებული, რომელთაც რეგიონში სამხედრო კონფლიქტის შესაძლებლობა საკმაოდ აშფოთებთ. ბოლო თვეებში ის საარჩევნო კამპანიას ჩინეთთან დაპირისპირების პრინციპზე აგებდა. ამავდროულად, წამყვან ბიზნესმენებთან შეხვედრისას იგი ჩინეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზე საუბრობდა. ალსანიშნავია, რომ ჩენის მომხრეები მის განცხადებებში წინააღმდეგობას ვერ ხედავენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ჩინეთი ფაქტის წინაშე დადგება და, თუ ჩენ შუი ბინი არჩევნებში გაიმარჯვებს, პეკინმა უნდა გააცნობიეროს, რომ ასეთია კუნძულელთა არჩევანი და თანამშრომლობა სწორედ პრეზიდენტ ჩენთან უნდა სცადონ.

მისი მოწინააღმდეგის ლინ ჩენის აზრით, ჩენ შუი ბინის იდეოლოგიას არანაირი რეალური საფუძველი არ აქვს და მხოლოდ ამომრჩევლის განწყობაზეა ფოკუსირებული. მისი აზრით, ჩენი ჩინეთის ნდობის მოპოვებას და ნახევარსაუკუნოვანი დაპირისპირების ჩიხიდან ქვეყნის გამოყვანას ვერასოდეს მოახერხებს.

ოთხი წლის წინ, ჩენ შუი ბინის გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში ისტორიული მოვლენა იყო. იგი პირველი წარმომადგენელია ოპოზიციური პარტიიდან, რომელმაც ტაივანში გაპრეზიდენტება მოახერხა. ეს გასაოცარი წარმატება იყო. მით უმეტეს, რომ ჩენი საკმაოდ ღარიბი ფენებიდანაა გამოსული - მისი მამა შაქრის გადამამუშავებელი ქარხნის მუშა იყო, ხოლო დედამ წერა-კითხვაც კი არ იცოდა.

ჩენმა პრეზიდენტობამდე საკმაოდ რთული გზა განვლო. იგი იყო ადვოკატი, ქალაქის საბჭოს მრჩეველი, პარლამენტის წევრი და დედაქალაქის მერი. 2000 წელს, როდესაც იგი პრეზიდენტად აირჩიეს, ბევრი წინასწარმეტყველებდა, რომ ახალი პრეზიდენტი ჩინეთთან ომის პროვოცირებას მოახდენდა. მისი დემოკრატიული პროგრესის პარტია არასოდეს ეთანხმებოდა ჩინეთის სანუკვარ სურვილს გაერთიანების თაობაზე. პარტია თვლის, რომ ტაივანელებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, კუნძულის მომავალი თავად გადაწყვიტონ. ეს კი, ჩინეთის აზრით, კონფლიქტისკენ მოწოდებაა.

ალსანიშნავია, რომ ჩენის მხრიდან ჩინეთის მიმართ მკაცრი პოლიტიკის მხარდაჭერას, ერთგვარად, პეკინის ქმედებებიც უწყობდა ხელს. ჩინეთი რადიკალური იდეებით ხელისუფლებაში მოსული ჩენის პოლიტიკურ ფიგურას ორი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, იგნორირებას უკეთებდა, რითაც დათმობებისათვის, ალბათ, მზად მყოფი ჩენი უფრო აგრესიული გახადა. როგორც ზოგი ექსპერტი ფიქრობს, ჩენმა პირველი საპრეზიდენტო პერიოდის დროს ისწავლა, რომ დათმობებით ჩინეთთან ვერაფერს მიაღწევს. და თუ იგი ხელმეორედ აირჩიეს, არსებობს შანსი, რომ მისი პოლიტიკა პეკინთან მიმართებაში უფრო კონფლიქტური გახდება.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ვინ დაგეგმა ჩენ შუი ბინზე თავდასხმა. მაგრამ, თუ საკითხს ასე დავსვამთ - ვის აძლევდა ხელს მისი მოშორება, - პასუხი მარტივია. თანაც ალსანიშნავია, რომ ჩინეთის მთავრობა, ტაინენის გასროლიდან რამდენიმე საათის განმავლობაში, კომენტარის გაკეთებისაგან საეჭვოდ იკავებდა თავს.




# ბინ ლადენის მოადგილე ალყაშია

პირველი გვერდიდან

**მე ახლახან ველაპარაკე ოპერაციის ხელმძღვანელობას. იქ ნამდვილი ქსელია. ყველა სახლი, პრაქტიკულად, ციხესიმაგრედ არის ქცეული, საიდანაც ისინი ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევენ,"** - განაცხადა მუშარაფმა.

ზავაჰირის ზუსტი ადგილსამყოფელის შესახებ მიწოდებული ინფორმაციისათვის ვაშინგტონმა ჯილდოდ 25 მილიონი ამერიკული დოლარი დააწესა. რაც შეეხება ოსამა ბინ ლადენს, მისი "თავისათვის" თეთრი სახლი მზადაა, 50 მილიონი ამერიკული დოლარი გაიღოს.

ჯერჯერობით არაფერია ცნობილი ბინ ლადენის ადგილმდებარეობის შესახებ. თუმცა, ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ ის და ზავაჰირი ერთად უნდა იყვნენ, თუ არა და, ზავაჰირმა დანამდვილებით იცის, სად იმალება მისი პაციენტი.

ამერიკული გავლენიანი ჟურნალი "ტაიმი" თავის კორესპონდენტზე დაყრდნობით იუწყება, რომ ოპერაცია პაკისტანის 400-მდე ელიტარულმა სამხედრომ 13 სატვირთო ავტომანქანისა და სამი ჯავშანტრანსპორტიორის გამოყენებით დაიწყო. ისინი მიუვალი ვაზირისტანის გზას დაადგნენ, მაგრამ "ალ-ქაიდას" მჭიდრო ალყაში მოექცნენ. **"ეს ნამდვილი განადგურება იყო. 22 სამხედრო მოსამსახურე ადგილზევე დაიღუპა, ხოლო 16 ტყვედ ჩავარდა. ბევრი ჯარისკაცი გაიქცა და ადგილობრივი მოსახლეობის სახლებს აფარებდა თავს. ისინი მაცხოვრებლებს ეხვეწებოდნენ, რომ თავდამსხმელებისგან გადაერჩინათ. მათ სამოქალაქო ტანსაცმელს აძლევდნენ და ისე გარბოდნენ,"** - წერს "ტაიმი."

ჟურნალის აზრით, პრეზიდენტი მუშარაფი დიდ რისკზე მიდის. ვაზირისტანის კლანები კარგად არიან შეიარაღებულნი და მათ ასევე შეუძლიათ, "თალიბანთან" და ავღანეთში მოქმედი საერთაშორისო კოალიციის სხვა მტრებთან ერთობლივი ბრძოლის თაობაზე წარმატებით მოილაპარაკონ. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ პაკისტანის არმიის დიდი ნაწილი პუშტუნური ტომების წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. ისინი უკმაყოფილონი არიან, რომ საკუთარ თვისტომებთან უწევთ ბრძოლა.

**"ალ-ქაიდას" მხარდაჭერა ქალაქებშიც კი ძლიერია. ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულია გამოკითხვის შედეგები, რომლის თანახმადაც პაკისტანელების 65 პროცენტი ბინ ლადენს უჭერს მხარს. ბინ ლადენი პაკისტანში გაცილებით დიდი პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე პრეზიდენტი ბუში,"** - იუწყება "ტაიმი."

თუმცა, პაკისტანის არმია მაინც დაჟინებით განაგრძობს სპეცოპერაციას. ქალაქ ვანაში ზავაჰირის ყოფნა დადასტურებული არ არის და მხოლოდ ვარაუდის დონეზე რჩება. თუკი მას მოიხელთებენ, ეს უკვე უძლიერესი დარტყმა იქნება ბინ ლადენზე და მთლიანად ტერორისტულ მოძრაობაზე.

# გერმანია უშიშროების საბჭოში მუდმივ ადგილს ითხოვს

გერმანია გაერო-ს რეფორმირებას მოითხოვს და მიაჩნია, რომ ამ გლობალური საერთაშორისო ორგანიზაციის უმთავრეს ორგანოში, უშიშროების საბჭოში მუდმივ ადგილს იმსახურებს. გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა ბერლინში, საერთაშორისო პოლიტიკის შემსწავლელი ერთი წამყვანი გერმანული დაწესებულების - "უსაფრთხოების პოლიტიკის აკადემიის" ახალი შენობის გახსნაზე თქვა, რომ გერმანია, საერთაშორისო სისტემაში მისი როლისა და წონის გამო, უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრის სტატუსით უნდა იყოს წარმოდგენილი. შრიოდერის აზრით, მის მოსაზრებას ემხრობიან მოსკოვში, პარიზსა და ტოკიოში. "**ვითვალისწინებ რა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში გერმანიის წვლილს, იმედი მაქვს, რომ ჩვენს ინიციატივას აშშ-შიც დაუჭერენ მხარს,**" – ამბობს შრიოდერი.

გაერო-ს სისტემა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა და უშიშროების საბჭოში, რომელიც მსოფლიო მშვიდობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს განიხილავს და ძალის გამოყენების პრეროგატივაც აქვს, ხუთი მუდმივი წევრია. მუდმივ წევრებს – სსრკ-ს სამართალმემკვიდრე რუსეთს, აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლება აქვთ. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს - გერმანიასა და იაპონიას უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსი იმიტომ არ ერგოთ, რომ ისინი მეორე მსოფლიო ომში დამარცხდნენ. ცივი ომის დასრულების შემდეგ საუბარია გაერო-ს სისტემის რეფორმის აუცილებლობაზე, რათა ამ ორგანიზაციის სტრუქტურა საერთაშორისო ურთიერთობების ახალ მოთხოვნებს შეესაბამებოდეს. ამ მხრივ, დიდი ხანია, უშიშროების საბჭოში გერმანიისა და იაპონიისათვის მუდმივი წევრის სტატუსის მინიჭებაზეც საუბრობენ.

# ბალკანეთის დაუსრულებელი დრამა

კოსოვოს ქალაქი მიტროვიცა კვლავ საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრში რჩება. ამ ქალაქში უკვე მესამე დღეა, რაც ალბანელებსა და სერბებს შორის შეტაკებები არ ცხრება. ბოლო მონაცემებით, 30-ზე მეტი ადამიანია დაღუპული. ქალაქში ვითარება, ფაქტობრივად, უკონტროლო გახდა, რის გამოც გაერო-მ მიტროვიცადან საკუთარი პერსონალი გაიყვანა. ამ გადაწყვეტილების შესახებ გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა უშიშროების საბჭოზე განაცხადა. გაერო-მ კოსოვოში ვითარების დაძაბვა დაგმო და მხარეებს ძალადობის შეჩერებისაკენ მოუწოდა. "**მთელი მსოფლიო ადევნებს თვალს კოსოვოს მოსახლეობას, თუ როგორ ეპყრობიან ისინი ერთმანეთს მას მერე, რაც ხუთი წლის წინ საერთაშორისო თანამეგობრობამ, დიდი ძალისხმევის შედეგად, ძალადობის შეჩერება შეძლო,**" – თქვა გაერო-ს წარმომადგენელმა კოსოვოში ჰარი ჰოლკერიმ.

კოსოვოს პრობლემა ჯერ კიდევ იუგოსლავიის ერთიანი სახელმწიფოს პირობებში არსებობდა. პროვინციაში, რომელიც დროდადრო ავტონომიის უფლებით სარგებლობდა, მოსახლეობის უმრავლესობას ალბანელები შეადგენენ. სამოქალაქო დაპირისპირება ეთნიკურ ომში 1990-იანი წლების ბოლოს გადაიზარდა, როცა მეზობელი ალბანეთის დახმარებით შეგულიანებულმა კოსოვოს ალბანელებმა რეგიონის დამოუკიდებლობისათვის დაიწყეს ბრძოლა, რასაც მილოშევიჩის რეჟიმმა პროვინციაში სამხედრო დანაყოფების შეყვანით და ალბანელების წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციებით უპასუხა. 1999 წლის მარტში ნატო-მ იუგოსლავიის წინააღმდეგ საჰაერო ომი დაიწყო, რითაც იმავე წლის ივნისში მილოშევიჩი კოსოვოდან სერბული ნაწილების გაყვანაზე დაითანხმა. სანაცვლოდ, კოსოვოში ნატო-ს სამხედრო ნაწილები შევიდნენ. 2003 წელს გაერო-მ დაადგინა, რომ 2005 წლის ზაფხულისათვის კოსოვოს სტატუსი უნდა განისაზღვროს. რეგიონს, ფაქტობრივად, ალბანელები მართავენ, თუმცა რიგ ანკლავებში სერბებიც ცხოვრობენ, ქალაქი მიტროვიცა სწორედ ერთ-ერთი ასეთი ალბანურ-სერბული ქალაქია. ქალაქის ეთნიკურ ნაწილებს ერთმანეთისაგან მდინარე ჰყოფს.

არეულობები მიტროვიცაში 17 მარტს დაიწყო, როცა ქალაქის სერბულ ნაწილში, გაურკვეველ ვითარებაში, სამი ალბანელი ბავშვი დაიღუპა. ალბანელები ირწმუნებიან, რომ სერბებმა მათ ძაღლები მიუსიეს. ბავშვებმა თავის გადარჩენა მდინარის გადაცურვით სცადეს, მაგრამ დაიხრჩვნენ. ალბანური შეიარაღებული რაზმები, რომელთა სრული განიარაღება დღემდე ვერ მოხერხდა, შურისძიების მიზნით თავს ესხმიან სერბულ დასახლებებს და მართლმადიდებლურ ეკლესიებს. გაერო-მ, ევროკავშირმა და ნატო-მ ალბანელებს შურისძიების აქტებზე უარის თქმისაკენ მოუწოდეს. საერთაშორისო ზეწოლის შემდეგ, ალბანურმა პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარ მოსახლეობას ძალადობის შეჩერება ურჩიეს, თუმცა ამან დადებითი შედეგი მაინც არ გამოიღო.

სერბიაში კი ეთნიკური სერბების მხარდასაჭერი აქციები იმართება, სადაც თანამემამულეთა დასაცავად ხელისუფლებისაგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვენ. ბელგრადი ნატო-სა და გაერო-ს ადანაშაულებს, რომ მათ სერბების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ვერ შეძლეს. სერბიის სხვადასხვა ქალაქებში დემონსტრანტებმა მეჩეთები გადაწვეს. საინტერესოა, რომ სერბულ ნაციონალიზმს, რომელმაც 1990-იან წლებში ყოფილი იუგოსლავია ძმათამკვლელ ომში ჩაითრია, პრემიერ კოშტუნიცას მთავრობაც ეფექტურად იყენებს მასების პოლიტიკური მობილიზაციისათვის.

ნატო რეგიონში დამატებითი სამხედრო კონტინგენტის გაგზავნას გეგმავს. კოსოვოში უკვე იმყოფება 17-18 ათასი სამხედრო მოსამსახურე. ამასვე ემატება საერთაშორისო პოლიციელთა კონტინგენტი. საერთაშორისო თანამეგობრობა ვითარების ესკალაციის დაშვებას არ აპირებს. სერბიასთან კოსოვოს საზღვრები ჩაკეტილია, ხოლო კოსოვოს დედაქალაქ პრიშტინასთან საჰაერო მიმოსვლა შეწყდა. სამშვიდობო ძალების მთავარსარდლობა მხარეებს აფრთხილებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ძალის გამოყენებასაც არ მოერიდება.

მიტროვიცას მოვლენების შემდეგ ნათელი გახდა, რომ კოსოვოს სტატუსის განსაზღვრა ახლო მომავალში ვერ მოხერხდება. ისევ დადგა დღის წესრიგში პროვინციის ორ ნაწილად გაყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილი სერბეთს უნდა ერგოს. თუმცა, ამ გეგმას ალბანელები არ ეთანხმებიან და არც კოსოვოში გაერო-ს ადმინისტრაცია იწონებს. გაერო-ს ბოსნია-ჰერცეგოვინის მსგავსი მრავალეთნიკური პოლიტიკური ერთობის შექმნა სურს. ალბანელები კი მხოლოდ კოსოვოს დამოუკიდებლობას თანხმდებიან და მიაჩნიათ, რომ ეს საკითხი ომმა ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა. საერთაშორისო თანამეგობრობა შეშფოთებულია - მთელი ამ დროის განმავლობაში ალბანელებმა ვერ შეიგნეს, რომ კოსოვოში მცხოვრებ სერბებთან სამოქალაქო თანხმობის მიღწევა მოუწევთ.

მიტროვიცას მოვლენებმა საერთაშორისო თანამეგობრობას თვალნათლივ დაანახა, რომ ბალკანეთის საუკუნოვანი პრობლემის მოგვარებას კიდევ დიდი დრო და ენერგია დასჭირდება. სხვადასხვა ნიადაგზე წარმოქმნილი დაპირისპირებები ბალკანეთზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს. 1990-იანი წლების დასაწყისში იუგოსლავიის დაშლა სისხლიანი ომების ფონზე მიმდინარეობდა. ნატო-მ და გაერო-ს ადმინისტრაციამ მხოლოდ კონფლიქტის შეჩერება შეძლეს და ისიც - დროებით. საუკუნოვანი შუღლი ისეა გამჯდარი რეგიონის მოსახლეობაში, რომ მათ მშვიდობიანი თანაცხოვრების ევროპული იდეები, უბრალოდ, არ ესმით: სერბულ ქალაქებში ეკლესიის ზარები ხალხს "მუსლიმების წინააღმდეგ საბრძოლველად" უხმობს, ხოლო ალბანურ მეჩეთებში "ქრისტიანულ სერბიაზე" გამარჯვებას შესთხოვენ ალაჰს. ევროპის შუაგულში მდებარე ბალკანეთზე, როგორც ამბობენ, 21-ე საუკუნე და ევროპულობა დღეს ყველაზე ნაკლებად იგრძნობა.

# საგანგაშო სტატისტიკა

## ქართველი მოზარდების 90 პროცენტს ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა აქვს

*საგულისხმო ცნობა: ბოლო ათი წლის მონაცემებით, საქართველოში ჯანმრთელად სკოლადამთავრებული მოზარდების მხოლოდ ათი პროცენტი შეიძლება ჩაითვალოს. ამას არსებული სამედიცინო სტატისტიკა ადასტურებს. სასუნთქი გზების დაავადებები, იოდის დეფიციტი, მხედველობის, ტანადობის დარღვევები და სქოლიოზი, ჭარბი წონა – ასეთი გახლავთ მოკლე ჩამონათვალი იმ პრობლემებისა, რომელიც მოზარდებს აღენიშნებათ. მათში გახშირდა ჰეპატიტითა და ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევები, გაიზარდა თვითმკვლელობის მცდელობათა რიცხვი; მოზარდთა ორსულობამ 17 პროცენტს მიაღწია, აბორტებმა – ლეგალური აბორტების ხუთ პროცენტს; შესამჩნევად იმატა თამბაქოს წევის, ალკოჰოლიზმის, ალკოჰოლური ინტოქსიკაციის შემთხვევებმა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოკითხულ მოზარდთა 48 პროცენტმა არაფერი იცის შიდსის შესახებ. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებში გაიზარდა არა მარტო ქრონიკულ დაავადებათა რიცხვი, არამედ მკვეთრად დაქვეითდა მეხსიერება, სკოლის პროგრამის ათვისების უნარი, სწავლის სურვილი. ეს ეხება იმ მოსწავლეებსაც, რომელთა უმრავლესობა სკოლამდელ ასაკში ჯანმრთელი იყო. ამ, რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნო შედეგების მიზეზი ორია - ჯანდაცვის მომსახურების ხელმიუწვდომობა და მოზარდთა ჯანმრთელობის შემოწმებისა და ფსიქოლოგიური პროფილაქტიკის სრული იგნორირება ქართულ სკოლებში.*

მაკა ჭაიანი

გაერო-ს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებული მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა და გაერო-ს განვითარების პროგრამის ჰუმანური ანგარიში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოზარდების ოჯახების დიდი უმრავლესობა მეტ-ნაკლებად თუ ახერხებს ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ექიმთან მისვლას რაც შეეხება, ამ "ფუფუნების" უფლებას ადამიანები თავს, ხშირად, მაშინაც ვერ აძლევენ, როცა ავად არიან. საქართველოს მოქალაქეების სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 50 პროცენტისთვის ეს საკითხი, საბოლოოდ, მოუგვარებელია - მათ დახმარებას სახელმწიფო დღეს ვერაფრით ახერხებს. საარსებო მინიმუმზე სამჯერ ნაკლები შემოსავლები კი უკეთესობისკენ ვერაფერს ცვლის.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩვენი მთავრობა ერთი მოსახლის ჯანმრთელობის დაცვაზე წელიწადში 10 დოლარზე ნაკლებს ხარჯავს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში იგივე ციფრი 100-120 დოლარს შორის მერყეობს. აღარაფერს ვამბობ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებზე, სადაც ამ გრაფის გასწვრივ, სულ ცოტა, 3000 დოლარი წერია. ამიტომ არის ქვეყნის მოსახლეობის 50 პროცენტისთვის სამედიცინო მომსახურება შეზღუდული, 30 პროცენტისთვის კი აბსოლუტურად მიუწვდომელი. 1990 წელთან შედარებით, საქართველოში თითქმის სამჯერ შემცირდა ექიმ-პედიატრთან ამბულატორიული მიმართვების რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან მოქმედებს ნულიდან სამ და სამიდან 14 წლამდე ბავშვების ფედერალური და მუნიციპალური სამედიცინო პროგრამები, საზოგადოებრივი აზრის შესწავლამ აჩვენა, რომ ბავშვთა პოლიკლინიკებში აღრიცხვაზე მყოფი ბავშვების ოჯახების 24-მა პროცენტმა არ იცის მათი არსებობის შესახებ, 30 პროცენტს არ სჯერა მათი. 15-დან 19 წლამდე მოზარდებისთვის არანაირი პროგრამა არ არსებობს, რის გამოც მოზარდთა კაბინეტებიც არასრულფასოვნად ფუნქციონირებენ, ბავშვთა პოლიკლინიკებს კი დაკარგული აქვთ მოზარდებზე მეთვალყურეობის შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობა დაკარგული აქვთ სკოლებსაც, სადაც, ფაქტობრივად, არ მუშაობს სამედიცინო კაბინეტები. ბევრ სკოლაში მხოლოდ ექთნის არსებობით შემოიფარგლებიან.



საქართველოში მოზარდი ვაჟების 90 პროცენტი თამბაქოს ეწევა და ალკოჰოლს ეტანება.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გასული წლის სექტემბერ-დეკემბერში ასოციაცია "ჯანსაღმა სკოლამ" დედაქალაქის 12 სპორტული სკოლის მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება ჩაატარა. სამუშაო მასალების მიხედვით, შედეგები მოულოდნელი აღმოჩნდა. შემოწმებულთა შორის მხოლოდ 21 პროცენტი იყო აბსოლუტურად ჯანმრთელი, ექვს პროცენტს სხვადასხვა სახის ცვლილებები, 73 პროცენტს კი ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა აღმოაჩნდა. მათ შორის: ყელ-ყურცხვირის, პირის ღრუს დაავადებები, სქოლიოზი, ენდოკრინოლოგიური, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი სისტემის პათოლოგიები, ფსიქო-ნევროლოგიური დარღვევები, გულმკერდის, კიდურების დეფორმაციები, მხედველობის დარღვევები, ცვლილებები კანის მხრივ. უცნობია, რა ხდება ამ თვალსაზრისით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვეულებრივ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. მათი შემოწმება ასევე აუცილებელია. გარდა ამისა, აუცილებელია, მოზარდები ჯანსაღი ცხოვრების ელემენტარულ წესებს იცნობდნენ.

რა შედეგებს მივიღებთ ჩვეულებრივი სკოლების მოსწავლეთა შემოწმების დროს, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ. გაერო-ს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებული მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მიხედვით, მოზარდების 43,3 პროცენტი საერთოდ არ ვარჯიშობს, სამაგიეროდ, ეწევა სიგარეტს (ვაჟების 90, გოგონების 60 პროცენტი), ეტანება ალკოჰოლს (ვაჟების 90, გოგონების 70 პროცენტი) და "გაგებით" უყურებს ნარკოტიკების მომხმარებლებს. და კიდევ: შეფასებითი მონაცემებით, 2001 წლისთვის საქართველოში მცხოვრები 15 წლის ასაკს მიღწეული ვაჟების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 55,3, გოგონებისა კი 61,6 წლის ტოლი იყო. ამ მაჩვენებლის შედარება განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელთან არც კი შეიძლება.

# დსთ, ევროპა, აფხაზეთი და ჩვენი ეკლესია

*რომელია ჩვენი ეკლესიის სივრცე - დსთ თუ ევროპა, რატომ წყვეტს რუსული ეკლესია ჩვენს სამოქმედო პოლიტიკას და რა გამოვიჩინეთ აფხაზური ეკლესიის მიმართ - სისუსტე თუ ლმობიერება? ამ კითხვებზე პასუხები მკითხველმა თავად უნდა გასცეს.*

ნინო ცინცაძე

ორშაბათს, 22 მარტს მოსკოვში ოფიციალურად გაიხსნება ევროპის რელიგიურ ლიდერთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის გამოჩენილი სულიერი ლიდერები: ბრიუსელის არქიეპისკოპოსი კარდინალი გოდფრიდ დენიელსი (ბელგია), ლუთერანი ეპისკოპოსი ოსლო გუნარი (ნორვეგია), მსოფლიო რელიგიათა კონფერენციის გენერალური მდივანი უილიამ ვენდი (აშშ), საფრანგეთის მთავარი რაბინი რენე სირატი, ბოსნიის მთავარი მუფტი მუსტაფა ცერიჩი და სხვები. სხდომის წევრები სხვა საერთაშორისო რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობების საკითხებზე ისაუბრებენ, ასევე განიხილავენ რელიგიათა, კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგისა და განვითარების პრესპექტივებს. რელიგიურ ლიდერთა ევროპული კავშირი 2002 წელს დაარსდა. ამ კავშირის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი კირილე გუნდიაევი გახლავთ. მიტროპოლიტი კირილე ასევე დსთ-ს ქვეყნების რელიგიათშორისი საბჭოს თავმჯდომარეა.

ჩვენი გაზეთის მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ დსთ-ს ქვეყნების რელიგიათაშორისი ფორუმი მოსკოვში მარტის დასაწყისში გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ბევრი კათოლიკე და პროტესტანტი ცხოვრობს, ფორუმის ორგანიზატორებს მათი წარმომადგენლები ამ ფორუმზე არ მიუწვევიათ. უფრო მეტიც, მიტროპოლიტმა კირილემ პირდაპირ განაცხადა, რომ "იმპორტირებული რელიგიები არ სჭირდებათ". მაგრამ ამას მისთვის ხელი სულაც არ შეუშლია, რელიგიურ ლიდერთა ევროპული კავშირის დაარსების ინიციატორი ყოფილიყო.

ორმაგი სტანდარტებით ოპერირება რუსეთის პოლიტიკური თუ რელიგიური წრეებისათვის უცხო არ არის. შესაძლოა, ამაზე კიდევ ერთხელ ყურადღების გამახვილება არც ყოფილიყო საჭირო, ეს ყოველივე ჩვენ და ჩვენს ეკლესიას სწორედაც ორმაგად რომ არ ეხებოდეს. საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩვენთვის "окно в европу" რუსეთი იყო. ვიზები, განათლების მიღება, ლიტერატურის მოპოვება რუსეთის გზით ხდებოდა. ფორმალურადაც და არაფორმალურადაც ისინი წყვეტდნენ, რა დოზით შემოეშვათ ჩვენთან ევროპა. დაახლოებით იგივე ხდება დღესაც, ოღონდ ახლა რელიგიურ დონეზე. რუსეთის ეკლესიამ გადაწყვიტა, რომ ჩვენი ადგილი დსთ-ს ქვეყნების საერთაშორისო ფორუმშია, ევროპის ქვეყნების სულიერ ლიდერთა შეხვედრაზე კი ჩვენი ქვეყნის პატრიარქისათვის ადგილი არ გამოიძებნა. მასში მხოლოდ ნამდვილი ევროპელები - დანიელები, ბელგიელები, ფრანგები და... რუსები მონაწილეობენ.



რელიგიურ ასპარეზზე გასვლის მონოპოლია ისევ რუსეთის ხელში რჩება.

ასე რომ, ევროპის რელიგიურ ასპარეზზე გასვლის მონოპოლია ისევ და ისევ რუსეთის ხელში რჩება, თანაც მიტროპოლიტ კირილეს ხელში, რომელიც ორივე - დსთ-სა და ევროპის რელიგიურ საბჭოთა თავმჯდომარეა. თუ ნოდარ ლადარიას 8 მარტის წერილს გავიხსენებთ, მიტროპოლიტი კირილე ორი რამითაა ცნობილი: "გენეტიკური მართლმადიდებლობის" თეორიით და ზედწოდებით "თამბაქოს მიტროპოლიტი", რადგან 90-იან წლებში უაქციზო სიგარეტის მაქინაციებში იყო შენიშნული.

სხვათა შორის, კირილე გუნდიაევი ის პიროვნებაა, ვისაც 1992 წელს აფხაზმა სეპარატისტებმა თხოვნით მიმართეს სოხუმში დამოუკიდებელი ეპისკოპოსის დასაყენებლად.

სხვათა შორის, მარტის დასაწყისში, დსთ ფორუმზე რუსეთის მხარის მიერ მღვდელი ბესარიონ ფილიაც იყო მიწვეული, რომელიც ახლა საკუთარ თავს აპლიას უწოდებს და სოხუმის ეპარქიის მმართველად წარმოაჩენს. იმ დღეებში, საეკლესიო კანონების უხეში დარღვევით, მას უფლება მიეცა, მოსკოვის მაცხოვრის ტაძარში ალექსი მეორის მიერ ჩატარებულ მღვდელთმსახურებაში მიეღო მონაწილეობა. შემდეგ კი შედგა ტრაპეზი, სადაც ალექსი მეორემ და აპლიამ აფხაზეთისა და რუსეთის ურთიერთობებზე ისაუბრეს, ამას კი მოსკოვში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის დანიელისა და ბესარიონ აპლიას შეხვედრა მოჰყვა.

როგორც თავად აპლია აცხადებს АБХАЗИЯ-ИНФО-სა და АБХАЗИЯ.org-ის საიტზე გამოქვეყნებულ ინტერვიუებში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და მეუფე დანიელმა ბესარიონ აპლიას უფლება მისცეს, მართოს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. **"ქართველი იერარქები აღიარებენ ჩემს არსებობასა და ლეგიტიმურობას,"** – აცხადებს იგი და დასძენს, რომ შეხვედრისას საუბარი აფხაზეთის ავტოკეფალური ეკლესიის აღდგენაზეც იყო. მანამდე კი, ღვთისმსახურებისას ყველა აფხაზურ ტაძარში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II მოიხსენიება.

# ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა...

*გუშინ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით "საქართველოში მისაღები გამოცდების რეფორმის" კონცეფციის პრეზენტაცია შედგა. სადარბაზო მსჯელობისას რადიკალური მოწინააღმდეგე არ გამოკვეთილა იმდენად, რომ მასმედია ამაოდ ეძებდა განსხვავებული აზრის მქონეს. "ეს ხომ პროექტი არ არის, ეს მხოლოდ წინადადებაა"- თავს იზღვევდა ზოგიერთი კერძო საუბრისას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბევრისთვის ეს მიუღებელია, მაგრამ თავს იკავებს: "მაინც ვერ გააკეთებენ და ტყუილად რას შევეწინააღმდეგო, სხვა დაუპირისპირდეს". მაინც რა არის ახალი კონცეფციის არსი და ვისთვის შეიძლება ის მიუღებელი იყოს?! საპროექტო წინადადება წარმოადგინა "გამოცდებისა და შეფასების ეროვნულმა ცენტრმა.*

დალი კუპრავა

### რა არის მისაღები გამოცდების მიზანი?

მიზანია საუკეთესო აბიტურიენტების შერჩევა, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ კომპეტენციის შეფასებას კონკრეტულ საგანში, არამედ იმ უნარების შეფასებასაც, რომლებიც აუცილებელია უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად.

ამ მიზნის განხორციელებისათვის აუცილებელია შერჩევის საფუძვლიანი და სანდო პროცედურა, რომელიც გულისხმობს: საუნივერსიტეტო მოთხოვნების განსაზღვრას და კლასიფიკაციას; ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაფასებლად უნიფიცირებული და სანდო მეთოდების შექმნას; ადმინისტრირების ობიექტური მოდელის შექმნას (ცენტრალიზებული გამოცდა, ცენტრალიზებული გასწორება, კოდიფიცირებული ნაშრომები და ა. შ).

რითი განსხვავდება ცენტრის მიერ შემოთავაზებული მეთოდი აბიტურიენტთა შერჩევის არსებული მეთოდისაგან?

ცენტრი გვთავაზობს მოსწავლეთა შეფასების უნიფიცირებულ მეთოდს, რომელიც მომზადდა მეცნიერული კვლევისა და ფსიქომეტრული ანალიზის საფუძველზე, რაც გულისხმობს ტესტის სანდოობის განსაზღვრას: ანუ რამდენად კარგად აფასებს ტესტი შესაბამისი საგნის ცოდნასა და უნარჩვევებს, რამდენად თავისუფალია იგი გაზომვის ცდომილებისაგან; ტესტის მაგალითების დისკრიმინაციული ღირებულების შეფასებას, ანუ რამდენად ახერხებს ესა თუ ის დავალება ან მთელი ტესტი აბიტურიენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების დიფერენცირებას, რამდენად განასხვავებს იგი დაბალი, საშუალო და მაღალი მოსწრების აბიტურიენტებს; სირთულის ხარისხის დადგენას, ანუ რამდენად რთულია ესა თუ ის დავალება, რაც საშუალებას გვაძლევს, საუნივერსიტეტო მოთხოვნების შესატყვისად განისაზღვროს ტესტის ფორმატი და სირთულის კოეფიციენტი; სუბიექტივიზმის მინიმუმამდე დაყვანას შეფასებაში - მოსწავლეთა ნამუშევრების გასწორება ხდება ერთიანი სქემით, ანუ გამსწორებლები ხელმძღვანელობენ ერთიანი კრიტერიუმებით; კონკრეტული ტესტის გამსვლელი ქულის დადგენას ფსიქომეტრული ანალიზის საფუძველზე; საგნობრივ ტესტებთან ზოგადი უნარების შესაფასებელი ტესტის მომზადებას, რომელიც შერჩევის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.

ამგვარი ტესტების მომზადება მოიცავს ტესტის მაგალითებისა და მთლიანად ტესტის თვისობრივ კვლევას: მათ მრავალჯერად გამოცდას, შედეგების ფსიქომეტრულ ანალიზს, კონსულტაციებს პრაქტიკოს პედაგოგებთან და სამეცნიერო წრეებთან. საგამოცდო ტესტის სანდოობა და ობიექტურობა მეცნიერული სიზუსტით უნდა დადგინდეს: დავალებები უნდა იყოს აპრობირებული, სტატისტიკური და ფსიქომეტრული მეთოდებით დამუშავებული, რაც იმის გარანტია იქნება, რომ საგამოცდო ტესტი ზუსტად შეაფასებს გამოსაცდელის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს და მოგვცემს მათი მიღწევების დონეთა დიფერენცირების საშუალებას.




### რატომ არის ცენტრალიზებული გამოცდები აუცილებელი?

ცენტრალიზებული გამოცდის დროს: ყველა აბიტურიენტი იმყოფება თანაბარ პირობებში; გამოიყენება შეფასების უნიფიცირებული და ობიექტური მეთოდი;

უზრუნველყოფილია ობიექტური შეფასება; უნიფიცირებული გამოცდების პირობებში შესაძლებელია გამოცდების შედეგების ერთ სკალაზე განთავსება, რაც აბიტურიენტთა კომპეტენციის ურთიერთშედარების საუკეთესო საშუალებაა; აბიტურიენტებს ეძლევათ უფლება, ერთდროულად რამდენიმე ფაკულტეტზე წარადგინონ განაცხადი.

### მაინც რა არის ახალი

შემოთავაზებული მოდელი ითვალისწინებს: სერტიფიცირების (სასკოლო) გამოცდას, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის დამამთავრებელი ატესტატის გაცემას. ამ გამოცდით ფასდება არსებული სასწავლო სტანდარტით განსაზღვრული მინიმუმი. გამოცდა ტარდება სკოლებში. საგამოცდო მასალებს (ტესტებს, შეფასების სქემებს, ინსტრუქციებსა და რეკომენდაციებს მასწავლებელთათვის) ამზადებს ცენტრი და არიგებს განათლების რაიონულ განყოფილებებში, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მასალების დარიგებაზე სკოლებში. გამოცდების ობიექტურად ჩატარებას უზრუნველყოფს თავად სკოლა. ნაწერებს ასწორებენ მასწავლებლები ცენტრის მიერ მომზადებული შეფასების სქემის მიხედვით.

სელექციის (სახელმწიფო) გამოცდას, რომელიც მიზნად ისახავს უმაღლესი სასწავლებლებისთვის კონტინგენტის შერჩევას. ამ გამოცდით ფასდება აბიტურიენტის ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც გათვალისწინებულია სასკოლო პროგრამით, უმაღლესი სასწავლებლების მოთხოვნების შესაბამისად. გამოცდას ცენტრალიზებულად ატარებს "შეფასების ცენტრი" საგანგებოდ შექმნილ რეგიონულ საგამოცდო ცენტრებში. იგი უზრუნველყოფს გამოცდების ჩატარებისთვის საჭირო პირობების შექმნას და პასუხისმგებელია გამოცდების ობიექტურობაზე. ნამუშევრები სწორდება ცენტრალიზებულად. ამ გამოცდის საფუძველზე ხდება აბიტურიენტთა შერჩევა.

გუშინ ითქვა, რომ 2005 წლიდან აბიტურიენტები გამოცდებს უმაღლეს სასწავლებლებში აღარ ჩააბარებენ, ე.ი.გახდება თუ არა სტუდენტი, ამას არანაირად არ განსაზღვრავს ახალგაზრდის სოციალური და მატერიალური მდგომარეობა. რომ არანაირი მნიშვნელობა არ ექნება სკოლის ატესტატის ნიშნებს და განმსაზღვრელი სახელმწიფო გამოცდა იქნება - ე.ი. მოტივაცია სკოლებში კორუფციისთვის აღარ იქნება. უმაღლესი სასწავლებელი დაინტერესებული იქნება საუკეთესო სტუდენტების მიღებითა და ისეთი სწავლებით, რომ ისინი არ დაკარგოს, ე. ი. იქნება ჯანსაღი კონკურენცია. ბევრი და კარგი სტუდენტი უმაღლესისთვის მომგებიანი იქნება, რადგან სახელმწიფოს ცენტრში შეფასებამიღებულ აბიტურიენტზე ფინანსური შენატანი შეაქვს სასწავლებლის ბიუჯეტში, რომლის განკარგვა სასწავლებლის პრეროგატივაა.

მოდელის დანერგვას წინ გაუსწრებს ინსტიტუციური ლიცენზირება, ე. ი. 27 სახელმწიფო და 200-ზე მეტი კერძო უმაღლესი სასწავლებლიდან რამდენი დარჩება აწმყოში, არავინ იცის. ცნობისთვის შეგახსენებთ, რომ მოსკოვში, სადაც ორჯერ მეტი მოსახლეობა მაინც არის, ვიდრე მთელ საქართველოში, 22 სახელმწიფო უმაღლესია და ერთი ათეული -კერძო.

საგამოცდო მოდელის მნიშვნელოვანი სიახლეა, რომ საგნობრივ ტესტებთან ერთად აბიტურიენტთა ზოგადი უნარები შეფასდება. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ აბიტურიენტის ის შესაძლებლობები, რომლებიც აუცილებელია უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. შეფასების ცენტრში კი ვისთვის სამი და ვისთვის ოთხი გამოცდა იქნება "ჩასაბარებელი": ჰუმანიტარული ფაკულტეტებისთვის ტესტირება ქართულ ენაში, უცხო ენაში და უნარებში. საბუნებისმეტყველო და ტექნიკური სპეციალობებისთვის დამატებით მათემატიკაში. ე. ი. თუ აბიტურიენტს ჟურნალისტობა უნდა, მას მათემატიკის ტესტი არ ემუქრება.

ყოველივე ზემოთ მოთხრობილიდან გამომდინარე, კითხვაზე, თუ ვისთვის შეიძლება იყოს მიუღებელი მისაღები გამოცდების ახალი კონცეფცია, პასუხი ერთია - მათთვის, ვისაც ხელს აძლევს კორუფცია განათლების სისტემაში.

# ავიაციის დეპარტამენტის ყოფილ უფროსს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

*მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გუშინ გაძლიერებული დაცვა იცავდა. მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს თავმჯდომარე იხილავდა გენერალური პროკურატურის შუამდგომლობას ავიაციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ზურაბ ჭანკოტაძისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე. სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ზურაბ ჭანკოტაძე ორთაჭალის ციხეში კორუფციული ბრალდებებით დაპატიმრებულ ყოფილ მოხელეთა რიცხვში აღმოჩნდა – სასამართლომ მას სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლოს არგუმენტაციით, არსებობს საშიშროება იმისა, რომ ბრალდებული გამოძიებას დაემალება.*



*ბრალდებული ზურაბ ჭანკოტაძე და მისი ადვოკატი გოჩა სვანიძე.*

ავიაციის ადმინისტრაციის ყოფილი თავმჯდომარე, რომელმაც თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება რამდენიმე დღის წინ დაწერა, გენერალურ პროკურატურაში გუშინწინ მოწმის სახით დასაკითხად დაიბარეს, მაგრამ გამოძიებამ იგი თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტებაში ეჭვმიტანილად ცნო და შემდეგ დააკავა კიდეც.

გენერალური პროკურატურა ჭანკოტაძეს თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებს. გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის განმარტებით, ავიაბიზნესში მოღვაწე კომპანიებისთვის ჭანკოტაძემ უკანონოდ დაადგინა სპეციალური მოსაკრებელი, რითაც მან ცალკეულ კომპანიებს რამდენიმე ასეული ათასი დოლარის ზარალი მიაყენა. ამის გამო გამოძიებამ ჭანკოტაძეს ბრალი წაუყენა სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილით - თანამდებობრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენება. დანაშაული სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

წინასწარი გამოძიების მასალებით, ზურაბ ჭანკოტაძემ სამოქალაქო ავიაციაში თვითნებურად დააწესა ყოველწლიური რეგულირების გადასახადი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ფირმაზე ვრცელდებოდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული გადასახადი 2003 წლის იანვარში ანტიკონსტიტუციურად გამოცხადდა და, აქედან გამომდინარე, გაუქმდა კიდეც. ავიაციის ადმინისტრაციის ყოფილმა თავმჯდომარემ კი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის გვერდის ავლა მაქინაციით მოახერხა. მან აღნიშნულ გადასახადს სახელი შეუცვალა და, ხელშეკრულების საფუძველზე უკანონო გადასახადი დაუწესა შპს "ნავიგაციას", შპს "აეროდრომს" და შპს "ეარ-ბი-ეი-ჯორჯიას". ამ მაქინაციიდან ჭანკოტაძემ 734 ათასი ლარის მოგება მიიღო; სამაგიეროდ, ამ თანხით იზარალეს დასახელებულმა ფირმებმა.

**"გამოძიება გრძელდება და არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ჭანკოტაძის სხვა დანაშაულებსაც აეხადოს ფარდა,"** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა ჭანკოტაძის საქმის გამომძიებელმა ემზარ ღარიბაშვილმა, რომლის თქმითაც, ვინაიდან ჭანკოტაძეს მძიმე დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი, პროკურატურას ჰქონდა იმის საფუძველი, რომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა მოეთხოვა.

ზურაბ ჭანკოტაძის ადვოკატის გოჩა სვანიძის განცხადებით, ჭანკოტაძე უსაფუძვლოდ დააკავეს, რადგან მას უწყება არ მისვლია და გამოძიებას ეჭვმიტანილის იძულებით წარმოდგენის დადგენილებაც კი არ მოეპოვება. გოჩა სვანიძე მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადაწყვეტილებას 48 საათის განმავლობაში საოლქო სასამართლოში გაასაჩივრებს, რადგან ადვოკატი მიიჩნევს, რომ გამოძიებას სამართლებრივი დევნის საფუძველი თავიდანვე არ ჰქონდა. **"უკანონოდ ერთი თეთრიც კი არ ყოფილა მიღებული, გადასახადების გადახდა კომპანიებთან ხელშეკრულების საფუძველზე ხდებოდა,"** – აცხადებს სვანიძე.

იმავეს აცხადებს ბრალდებულიც. საჰაერო ადმინისტრაციის ყოფილმა უფროსმა კომენტარი სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებამდე გააკეთა. მისი თქმით, იგი წაყენებულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს, რადგან **"პროკურატურის მიერ დასახელებულ სტრუქტურებს საქართველოს სამოქალაქო ავიაციისთვის გადასახადების გადახდა ნამდვილად ეკისრებოდათ,"** – განაცხადა ზურაბ ჭანკოტაძემ.

ზურაბ ჭანკოტაძე, რომელიც აქამდე თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებოდა, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ორთაჭალის ციხეში გადაიყვანეს.

*24 საათი*

# საზღვრის დამრღვევი ქართველები

პირველი გვერდიდან

მურმანსკის ოლქის საზღვრის დაცვის რეგიონული სამმართველოს შესაბამისი სამსახურები და უშიშროების ფედერალური სამსახური მაშინ კომენტარებისგან თავს იკავებდნენ, თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მურმანსკელმა სამართალდამცველებმა საქართველოს გენერალურ პროკურატურას მაშინვე გამოუგზავნეს შეტყობინება. ამ ცნობის მიხედვით, არალეგალ ქართველთა ერთი ჯგუფი ფინეთში, ხოლო მეორე – შვედეთში აპირებდა გადასვლას.

გუშინ კი რუსულმა საინფორმაციო სააგენტო "რია-ნოვოსტიმ" მურმანსკის ოლქის ფედერალური უშიშროების სამმართველოს მონაცემებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ გამოვლენილია უკვე კარგად აპრობირებული არხი, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები ნორვეგიის სამეფოში მიგრაციისთვის იყენებენ.

სააგენტოს ცნობით, უკვე დადგენილია, რომ საზღვრის გადასალახავად მურმანსკის ოლქი უკვე 70-ზე მეტმა საქართველოს მოქალაქემ გამოიყენა.

ფედერალური უშიშროების ბიუროს ადგილობრივი სამმართველოდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, პირველი ასეთი ჯგუფი, რომელიც 14 ადამიანისგან შედგებოდა, 2003 წლის დეკემბერში გამოჩნდა. მათ მიზანს ნორვეგიაში გადასვლა და იქ პოლიტიკური თავშესაფრის მიღება წარმოადგენდა.

უშიშროების სამმართველოს ცნობით, საქართველოს მოქალაქეები თავიანთ გადაწყვეტილებას იმით ხსნიან, რომ საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მათ ახალი მთავრობა სასტიკად ავიწროებს და ამიტომ იძულებულნი არიან, სამშობლო დატოვონ.

საქართველოს ხსენებულ მოქალაქეებს არ ჰქონდათ პასპორტში ჩარტყმული შენგენის ქვეყნების ვიზა. ეს რუსეთის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესების თანახმად არ ითვლება დარღვევად, ამიტომ მათ საშუალება მისცეს, დაეტოვებინათ მურმანსკის ტერიტორია.

თუმცა, იმავე უშიშროების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამ ფაქტს ნორვეგიის ხელისუფლების მხრიდან ნეგატიური რეაქცია მოჰყვა. მათ შეშფოთება გამოთქვეს ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეების მასობრივი მიგრაციის საშიშროების შექმნის გამო. მიუხედავად ამისა, ნორვეგიის ხელისუფლებამ მხოლოდ ახლა დაიწყო მათი დეპორტაციის საკითხის განხილვა.

უკვე 2004 წლის იანვარში მურმანსკის ოლქის სპეცსამსახურების ერთობლივი მოქმედებების შედეგად თავიდან იქნა აცილებული სკანდინავიის ქვეყნებში საქართველოს 30 მოქალაქის გადასვლა. თორმეტმა მათგანმა უკანონო გზით მაინც სცადა საზღვრის გადასალახ პუნქტამდე მიღწევა, რის გამოც მათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრათ და, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, გამოძევებულ იქნენ რუსეთის ტერიტორიიდან. ჯგუფის დანარჩენ წევრებს – 18 ადამიანს - საკუთარი ხარჯებით მოუხდა მოსკოვამდე ჩაღწევა. დღეისათვის კი, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, ცნობილია, რომ მურმანსკის ოლქის გავლით სკანდინავიის ქვეყნებში მოხვედრა საქართველოს 70-ზე მეტმა მოქალაქემ სცადა.

დოკუმენტების არმქონე მიგრაციის მსურველთა ნაკადის შესაჩერებლად მურმანსკის ოლქის სამართალდამცველმა ორგანოებმა ოპერატიული სამუშაოები განახორციელეს, რომელთა დახმარებითაც გაიხსნა საქართველოდან მიგრანტთა მოქმედებების მექანიზმი.

ფედერალური უშიშროების ბიუროს მურმანსკის სამმართველოს ცნობით, ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში საქართველოდან რუსეთში გასამგზავრებელი საბუთების გაფორმებითა და მიგრაციის მსურველთა ტურისტული ვიზების უზრუნველყოფით დაკავებულია თბილისში მოღვაწე ორი ტურისტული ფირმა: "ჰელიოს ტური" და "სამება". მიმღებ ორგანიზაციებად საბუთებში მოსკოვის ტურისტული ფირმებია მითითებული.

**"უკვე მოსკოვში ჩასვლის შემდეგ საქართველოს მოქალაქეები დამოუკიდებლად, სარკინიგზო გზით ჩადიან მურმანსკში, საიდანაც ნებისმიერი საშულების, მათ შორის უკანონო გზების გამოყენებითაც ცდილობენ სახელმწიფო საზღვრის გადალახვას,"** - ამბობენ უშიშროების ადგილობრივ სამმართველოში.

ასევე უშიშროების ცნობით, მიგრაციის ამ კონკრეტული არხის ორგანიზატორია საქართველოს მოქალაქე, ვინმე ვალერი ჩინგალაძე. თავად მას შარშან, სექტემბერში, ნორვეგიის ხელისუფლებამ უარი უთხრა პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭებაზე და დეპორტირებულ იქნა. უშიშროების თანამშრომელთა ცნობით, ამჟამად ჩინგალაძე კვლავაც აგრძელებს მოსკოვსა და თბილისს შორის მოძრაობას და სკანდინავიის ქვეყნებში მოხვედრის მსურველი თანამემამულეებისთვის შუამავლის როლის შესრულებას. მას ამ საქმიანობაში მურმანსკის ოლქის ზოგიერთი მცხოვრებიც ეხმარება და არ არის გამორიცხული, მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროთ.

ფედერალური უშიშროების ბიუროს ადგილობრივ სამმართველოში განსაკუთრებით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად დოკუმენტების არმქონე პირებისთვის შეუძლებელი გახდა სკანდინავიის ქვეყნებში გამგზავრება.

*24 საათი*

# რუსეთს საერთაშორისო სკანდალით ემუქრებიან

წელიწადნახევრის წინ ჩეჩნეთში გატაცებული საერთაშორისო ორგანიზაცია "ექიმები საზღვრებს გარეშე" წარმომადგენლის არიან ერკელის სიცოცხლე სერიოზული საფრთხის წინაშეა. ასეთი სკანდალური განცხადება გააკეთა ორგანიზაცია "ექიმები საზღვრის გარეშე" შვეიცარიის მისიის ხელმძღვანელმა ტომას ნირლემ. **"ერკელი ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფება და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია, მეტიც - მისი სიცოცხლე საფრთხის წინაშეა; შესაძლოა, ის გამტაცებლებმა სიკვდილით დასაჯონ,"** – განაცხადა ტომას ნირლემ და საერთაშორისო ორგანიზაციებს თანადგომისა და პრაქტიკული დახმარებისკენ მოუწოდა.

არიან ერკელი 2002 წლის 12 აგვისტოს დაღესტნის პერიფერიიდან სამმა ნიღბიანმა პირმა გაიტაცა. რამდენიმე თვის შემდეგ ერკელის ორგანიზაციამ "ექიმები საზღვრის გარეშე" მიიღო შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ერკელის გატაცებაში მონაწილეობდა ФСБ-ს ორი თანამშრომელი. შეტყობინების მიღებისთანავე ორგანიზაციამ მიმართა ევროსაბჭოსა და რუსეთის ხელისუფლებას და გატაცების საქმეში პასუხისმგებლობა დააკისრა. რამდენიმე დღის წინ კი საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა სკანდალური განცხადება გააკეთა და რუსეთის ხელისუფლება საერთაშორისო ექსპერტის გატაცებაში დაადანაშაულა. **"ვაცხადებ, რომ რუსეთის ხელისუფლების დაინტერესების შემთხვევაში არიანა დაუყოვნებლივ გათავისუფლებული იქნებოდა, ეს ფაქტია!"** - განაცხადა ტომას ნირლემ, რომელიც დასავლეთის ქვეყნების ხელისუფალთა უმოქმედო პოზიციის გამოც გამოთქვამს უკმაყოფილებას. **"არიან ერკელი სახელმწიფოთა პოლიტიკური ინტერესების მსხვერპლი გახდა, ეკონომიკურმა და ანტიტერორისტული ბრძოლის იმპერატივებმა იმაზეც იმოქმედა, რომ ნიდერლანდებმაც კი, რომლის მოქალაქეცაა ერკელი, მოსკოვზე ზეწოლა არ მოახდინა,"** – განაცხადა ტომას ნირლემ.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის წარმომადგენლის წელიწადნახევრიან დატყვევებაში მხოლოდ ადამიანის გამტაცებელთა მაფია ვერ იქნება გარეული; თანაც, ორგანიზაცია "ექიმები საზღვრის გარეშე" მზად იყო, გამტაცებლებისთვის ნებისმიერი რაოდენობის თანხა გადაეხადა. გამოსასყიდის თაობაზე საიდუმლო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა კიდეც, მაგრამ შემდგარი გარიგება ბოლო მომენტში რატომღაც იშლებოდა ხოლმე, შუამავლები კონტაქტზე აღარ გამოდიოდნენ.

ტომას ნირლე აცხადებს, რომ ერკელის გატაცების ძირითადი მოტივი პოლიტიკაა. **"ჩვენი ინფორმაციით, ერკელი მსხვერპლი გახდა ჩრდილოეთ კავკასიაში დაფუძნებული კლანების ომისა, რომელთაც სერიოზული კავშირები აქვთ მოსკოვთან,"** – ამბობს ნირლე. უფრო კატეგორიულ განცხადებებს აკეთებს საერთაშორისო ორგანიზაციის საფრანგეთის ოფისის ხელმძღვანელი. გაზეთ "Le Monde"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ჟან-ერვე ბრადოლმა განაცხადა, რომ **"დაჯგუფებას, რომელსაც გატაცებული ჰყავს არიანი, მფარველობენ რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატები."** "ექიმები საზღვრის გარეშე"-ს საგანგებო სიტუაციათა ჯგუფის უფროსის ჟან კრისტოფ აზის განცხადებით, **"გატაცების კვალი მიდის რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატებამდე. ინფორმაციას ყოველთვის ვღებულობდით დაღესტნის ოფიციალური პირებისგან, ან ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაახლოებული პირებისგან. ფაქტია, რომ მოსკოვსა და დაღესტანში ერკელის ადგილსამყოფელის შესახებ სერიოზულ ინფორმაციას ფლობენ, იციან, სად არის ის, რომელ დაჯგუფებას ჰყავს გატაცებული; შესაბამისად, რუსეთის სპეცსამსახურებისთვის მისი გათავისუფლება პრობლემას არ წარმოადგენს. ეს კი მათ არ გააკეთეს,"** – ამბობს ჟან კრისტოფ აზი, რომელიც უშუალოდ აწარმოებდა მოლაპარაკებებს შუამავლებთან და სწორედ მისი მეშვეობით გადასცა რუსეთის სპეცსამსახურებმა ნიდერლანდების ხელისუფლებას ვიდეოფირი, რომელზეც ცოცხალი არიან ერკელი იყო გადაღებული. გარდა ამის, ჟან კრისტოფ აზს სპეცსამსახურებმა გადასცეს ერკელის ფოტო და მის მობილურ ტელეფონზე დარეკილი სატელეფონო ზარების სია, რომელთა შორისაც ფიგურირებდა ცნობილ დაღესტნელ ჩინოვნიკთა ტელეფონის ნომრები.

ამ გატაცებამ ერთადერთხელ გამოიწვია სამართლებრივი "რეზონანსი": 2003 წლის 9 სექტემბერს დააკავეს დაღესტნელი პოლიციელი, რომელიც ერკელის გატაცების საქმეს იძიებდა. ის, ჯერჯერობით, კვლავ პატიმრობაშია, ოღონდ უცნობია მისთვის წაყენებული ბრალდება. "ექიმები საზღვრის გარეშე" რუსეთის პრეზიდენტს აქტიური ზომების მიღებას ამჯერად კატეგორიულად სთხოვს და უარის მიღების შემთხვევაში საერთაშორისო სკანდალით იმუქრებიან.

## ორი სიტყვით

**თელავი.** გუშინწინ, საღამოს, თელავში მოძრაობა "კმარას" ოფისის დაწვა სცადეს. ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა მოძრაობა "კმარას" ოფისის შესასვლელ კარს ბენზინი მიასხეს და ცეცხლი მოუკიდეს. ბენზინიანი ბოთლის სროლის შედეგად ჩამსხვრეულია ოფისის ფანჯრებიც. ალმოდებული კარის ჩაქრობა იმ ბინის დიასახლისმა მოახერხა, რომელშიც "კმარას" საოფისე ფართი აქვს ნაქირავები. თავად "კმარას" აქტივისტები მომხდარ ფაქტს კონკრეტულად ვერაფერს უკავშირებენ. შემთხვევის ადგილი უკვე დაათვალიერა თელავის რაიონულმა პოლიციამ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა თაღლითობის ფაქტზე ქუთაისელი ადვოკატი დავით მოდებაძე ამხილეს, რომელიც მოქალაქე ავთანდილ ქოციაშვილის დაცვას ახორციელებდა. ადვოკატმა ქოციაშვილი წააქეზა, სასამართლო პროცესზე წარსადგენად საჭირო დოკუმენტის დამზადებისათვის ქრთამი მიეცა ქუთაისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს უფროსის გიორგი კოპალიანისა და მიწის მართვის სამმართველოს ხელმძღვანელებისათვის. ადვოკატმა მოტყუებით 1000 აშშ დოლარი და 450 ლარი მიითვისა. იმერეთის სამხარეო პოლიციამ მასალები დავით მოდებაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ჭიათურა.** სამართალდამცველებმა ამხილეს ჭიათურაში მცხოვრები, 27 წლის მამაკაცი, რომელმაც 2003 წლის მაისში სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაციისა და სპეციალური ნებართვის გარეშე მოიპოვა 810 ტონა მარგანეცის ნედლი მადანი. მისი რეალიზაციით, კაპანაძემ მიიღო დიდი ოდენობით შემოსავალი და სს „ჭიათურმანგანუმს" მიაყენა 2 430 აშშ დოლარის ზარალი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ 2003 წლის დასაწყისში შპს „№23 ბავშვთა პოლიკლინიკის" ხელმძღვანელობამ იმისათვის, რომ მონაწილეობა მიეღო თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის 3-15 წლამდე ბავშვებისთვის ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამაში, დავალება მისცა უბნის ექიმებსა და ექთნებს, ხელოვნურად გაეზარდათ უბნებზე ბავშვთა რაოდენობა, რათა არ დამდგარიყო უბნების გაუქმების საკითხი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა საქმე, რომელიც გამოძიებისთვის გადაეგზავნა საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ინდივიდუალურმა მეწარმემ, თემქის მე-2 კვარტლის მე-2 კორპუსში მცხოვრებმა მზია გვასალიამ განაცხადა, რომ 11 მარტს კეკელიძის ქუჩაზე №12-ში მდებარე სასურსათო მაღაზიიდან სამმა პირმა მოპარა 725 ლარის ღირებულების სხვადასხვა რაოდენობის „მონო", „ასტრა" და „ლაი-ლაი" ბარათები. სამართალდამცველებმა ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს რუსთავში, ცხრა ძმა ხერხეულიძის ქუჩის მე-12 კორპუსში მცხოვრები, 36 წლის მამაკაცი, რომელმაც ორ სხვა პირთან ერთად ჩაიდინა ქურდობა, ხოლო ბარათებს რეალიზაცია გაუკეთა ვაგზლის მოედანზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციის თანამშრომლებმა შანდორ პეტეფის ქუჩაზე დააკავეს ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი არასრულწლოვანი. თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოს ცნობით, დაკავებული სხვა პირებთან ერთად თავს დაესხა კერძო ტაქსის მძღოლს, 28 წლის მამუკა მგალობლიშვილს და დანის მუქარით ავტომანქანიდან მაგნიტოფონი და აუდიოკასეტები გასტაცა. ნივთმტკიცების ნაწილი ამოღებულია. საქმეს იძიებს ისანი-სამგორის პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

# ინციდენტი ქუთაისის საკრებულოში

პირველი გვერდიდან

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე გუშინაც ნარკოტიკების გამო გაება სკანდალში. საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ქუთაისში ჩასულ "ახალ მემარჯვენეებთან" მიმავალი თანაპარტიელი, საკრებულოს თავმჯდომარე დავით ბენიძე ქუთაისის პროკურატურის თანამშრომლებმა გზაში დააკავეს და უკან საკრებულოში მიაბრუნეს. პროკურატურის თანამშრომლები ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის სამუშაო კაბინეტსა და საცხოვრებელ სახლს რამდენიმე საათის მანძილზე ჩხრეკდნენ.

მის სამუშაო კაბინეტში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება იმით დასრულდა, რომ ბენიძის სამუშაო მაგიდის უჯრიდან პოლიციის თანამშრომლებმა ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, რასაც ინციდენტიც მოჰყვა. ოთახში ჩაკეტილ დავით ბენიძესა და პროკურატურის წარმომადგენლებს შორის მიმდინარე ხმამაღალი საუბრის შინაარსი თავმჯდომარის მისაღებში მოგროვილი ჟურნალისტებისა და "ახალი მემარჯვენეების" ლიდერებისთვისაც გახდა ცნობილი. საქმე ისაა, რომ დავით ბენიძე სამართალდამცველებს მისთვის შეთავაზებული ყველა დანაშაულის აღიარებას ჰპირდებოდა, გარდა ნარკოტიკების მოხმარებისა. მოგვიანებით, საკრებულოს თავმჯდომარე დასასვენებელ ოთახში გავიდა, სადაც სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებას ეცადა.

სამართალდამცველებსა და დავით ბენიძეს შორის მიმდინარე დიალოგის მოსმენის შემდეგ, პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა – დავით გამყრელიძემ და დავით საგანელიძემ, რომლებიც თხოვნის მიუხედავად, კაბინეტში არ შეუშვეს, საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტის კარი შეამტვრიეს. მოგვიანებით, აღმოჩნდა, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ მისი დასასვენებელი ოთახის უკანა გასასვლელიდან შენობა ისე დატოვა, რომ "ახალი მემარჯვენეების" ლიდერებთან ჩხუბში გართულმა სამართალდამცველებმა ვერც კი შეამჩნიეს. მეტიც, დაბნეული პილიციელები დარწმუნებული იყვნენ, რომ ბენიძე მათმა კოლეგებმა პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. სხვათა შორის, ქუთაისელი პოლიციელების მისამართით უნდა ითქვას, რომ ბენიძის გაქცევა, მათთვის "პროფესიული ჩავარდნაა".


ბექა სისაურის ფოტო

სპეცდანიშნულების რაზმი ქუთაისის საკრებულოში.

საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტის კარის შემტვრევის დროს ინციდენტი მოხდა პოლიციელებსა და დავით გამყრელიძეს შორისაც, შელაპარაკების დროს ერთ-ერთმა პოლიციელმა გამყრელიძეს ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენა.

წინასწარი ინფორმაციით, პროკურატურა ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს 362 ათასი ლარის გაფლანგვაში ადანაშაულებს. გავრცელებული ინფორმაციით, მომხდარი ინციდენტის გამო, შესაძლოა სამართლებრივი პრობლემები შეექმნათ დავით საგანელიძესა და დავით გამყრელიძესაც. საქმე ისაა, რომ გუშინ, გვიან ღამით, ქუთაისის პროკურატურაში ახალი საქმე აღიძრა - პოლიციისა და საგამოძიებო მუშაობისთვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე და "მემარჯვენეების" ლიდერები დავით გამყრელიძე და დავით საგანელიძე ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით პროკურატურის გამომძიებლებმა დაკითხეს.

დავით გამყრელიძემ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის დავით ბენიძის დაკავებას ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ძალადობა და შიშის დანერგვის სურვილი უწოდა. გამყრელიძის თქმით, ბენიძის სამუშაო ოთახის ჩხრეკა სამართლებრივი პროცედურის დარღვევით მოხდა. ჩხრეკის დროს კაბინეტი რატომღაც ჩააბნელეს და სამართალდამცველები ფანრით მუშაობდნენ. დავით ბენიძის მდივანი აცხადებს, რომ უჯრაში, საიდანაც სამართალდამცველებმა ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, მანამდე არაფერი იყო.

იმერეთის გუბერნატორი დავით მუმლაძე, რომელმაც საკრებულოში მომხდარი ინციდენტის ამსახველი კადრები ტელევიზიით ნახა, მომხდარს "აღმაშფოთებელი ფაქტი" უწოდა. გუბერნატორი აცხადებს, რომ იგი აუცილებლად დაინტერესდება მომხდარით, შეხვდება ორივე მხარის წარმომადგენლებს - როგორც დეპუტატებს, ასევე სამართალდამცველებს, და სიტუაციაში გაერკვევა. თუმცა, დავით მუმლაძემ ბენიძის დასაკავებლად ჩატარებულ ოპერაციას "კრიმინალების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლა უწოდა".

სამართალდამცველებისთვის, ჯერჯერობით, უცნობია დავით ბენიძის ადგილსამყოფელი. უცნობია ისიც, გამოცხადდა თუ არა საკრებულოს გაქცეულ თავმჯდომარეზე ძებნა. არც პროკურატურისა და არც პოლიციის წარმომადგენლები ამ ფაქტის შესახებ არანაირ კომენტარს არ აკეთებენ. ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, დავით ბენიძე კანონდამცველებს გუშინ მეორედ დაუსხლტა ხელიდან და ქუთაისის დატოვებაც მოახერხა.

# მშვიდობით, იმუნიტეტო!

პირველი გვერდიდან

ეს იმდენად სერიოზული არგუმენტია, ალბათ, არავინ ისურვებს გამოაკლდეს კოლექტივს, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ შეიძლება სიიდან დეპუტატობის კანდიდატის ამოღება. ანუ ვინც გაურჩდება, დაკარგავს იმუნიტეტსაც, დეპუტატობასაც და ოქრუაშვილსაც გაუღვიძებს ცნობისმოყვარეობას: ნეტა, რისი ეშინოდა ამ ჯეელსო. მართალია, ეს ძალიან მიწიერი არგუმენტია, მაგრამ იმდენად წონადი, რომ არასახელისუფლებო დეპუტატებზეც საკმაოდ დამაჯერებლად იმოქმედებს და თუ დღეს მოსწავლეთა სასახლის წინ დეპუტატების დიდ რიგს შენიშნავთ, ცუდი არაფერი გეგონოთ, ან არ იფიქროთ, რომ რამეს ურიგებენ, უბრალოდ, მათ ხელისმოწერით უნდა დაადასტურონ, რომ ახალ პარლამენტში იმუნიტეტს მოიხსნიან. აქამდე დეპუტატს თუ გალახავდით, ჩაგაყუდებბდნენ, მაგრამ თუ ის გაგლახავდათ(უარესი რომ არ ვთქვათ), საქმეც კი არ აღიძვრებოდა პარლამენტის თანხმობის გარეშე... თუ თქვენ კორუფციის თბილი აბაზანის მიღებას ისურვებთ, დიდი შანსი გაქვთ, ოქრუაშვილმა აბაზანაშივე ჩაგაციოთ, იმუნიტეტიანი დეპუტატი კი ინებივრებს და ინებივრებს.

მოკლედ, იმუნიტეტის არსი არის ის, რომ პარლამენტი უხვად მიიღებს სადამსჯელო კანონებს, მაგრამ ისინი იმოქმედებენ ყველაზე, გარდა პარლამენტარებისა. იმუნიტეტის მოხსნის შემდეგ კი ხალხის რჩეულები თითქმის იმავე დღეში აღმოჩნდებიან, როგორშიც - ამომრჩევლები. "თითქმის" იმიტომ, რომ როგორც ამბობენ, განზრახული აქვთ, იმუნიტეტის არა მთლიანად მოხსნა, არამედ ნაწილობრივ შეზღუდვა. აქამდე პროკურატურას დეპუტატის წინააღმდეგ საქმის აღძვრის და ძიების დაწყების უფლება არ ჰქონდა, იმუნიტეტის მოხსნის შემდეგ საქმეს აღძრავენ, ოღონდ დეპუტატს ვერ დააპატიმრებენ პარლამენტის თანხმობის გარეშე.

ამჟამინდელ პარლამენტში ცოტა ხნის წინ უკვე დადგა ეს საკითხი კონსტიტუციის ცვლილებასთან ერთად, მაგრამ ჩავარდა. ვერ მოგროვდა 157 დეპუტატი, რომელსაც არ შეეშინდებოდა წარსული ან მომავალი ქმედებების. დღევანდელი ნორმის მიხედვით "პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს." ჩვენი ინფორმაციით, პრეზიდენტი აპირებს დაახლოებით იგივე რედაქციის შემოტანას, ოღონდ ამოღებული იქნება ფრაზა – "...სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა". უნდა ითქვას ისიც, რომ როგორც პირადი საუბრებიდან ჩანს, მომავალი პარლამენტარები საკმაოდ მშვიდად ხვდებიან იმუნიტეტის შეზღუდვას, უფრო მეტიც, ბევრი მათგანი იმუნიტეტის საერთოდ მოხსნასაც კი უჭერს მხარს. ნიშანდობლივია, რომ რამდენიმემ იმუნიტეტზე მსჯელობაზე გაცილებით მნიშვნელოვნად მიიჩნია და არ შეწყვიტა კამათი იმის შესახებ, არის თუ არა სიცოცხლე მარსზე.

თვალსაზრისი

# შეხვედრა წარსულთან

## ერთი საგანმანათლებლო ნოვაციისა გამო

ალექსანდრე მუჭირი

ბოლო დღეები იმდენად გადატვირთული იყო მძაფრი პოლიტიკური მოვლენებით, რომ თითქმის არავის მიუქცევია ყურადღება ერთი "უწყინარი" ინფორმაციისთვის. საქმე ეხება ყოველ ორშაბათს, სახელმწიფო სკოლებში დროშის აღმართვის საზეიმო ცერემონიას. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ეს ინფორმაცია აბსოლუტურად ნეიტრალურ, უმეტეს შემთხვევაში კი, პოზიტიურ კონტექსტში გახლდათ მოწოდებული; თითქოს ინერგება რაღაც სასიკეთო, თანაც ეროვნულ-პატრიოტული ნოვაცია, რომელსაც ყველა მხარს უჭერს: დაწყებული ლიბერალ-რეფორმატორებიდან და დამთავრებული "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირით".

ძალიან მოკლედ თავად ცერემონიაზე: ყოველი სასწავლო კვირის დასაწყისს, ანუ ყოველ ორშაბათს, გაკვეთილების დაწყებამდე თხუთმეტი წუთით ადრე სკოლის ეზოში აღიმართება სახელმწიფო დროშა. ამ საპატიო მისიას ასრულებს სკოლის ორი საუკეთესო მოსწავლე - ბიჭი და გოგო. იმავდროულად შესრულდება სახელმწიფო ჰიმნი, რომელიც მოსწავლეებმა უნდა იმღერონ ფონოგრამის თანხლებით. როგორც ნოვატორები გვარწმუნებენ, ამ ცერემონიის მთავარი მიზანია მოსწავლეებში "სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთების აღზრდა" და სახელმწიფო სიმბოლიკისადმი პატივისცემის განმტკიცება.

მერედა რა არის ამაში ცუდიო, იკითხავს რომელიმე გულუბრყვილო ობივატელი, რომელსაც ალბათ, დაახლოებით, ასეთი სურათი წარმოუდგენია: სკოლის ეზოში, "ლინეიკაზე" დაწყობილი, სახეგაბრწყინებული ბავშვები შთაგონებით მღერიან სახელმწიფო ჰიმნს, ამ დროს კი ჩინებულთა შორის რჩეული წყვილი მოწიწებით აღმართავს ხუთჯვრიან ალამს.

არადა რეალობა სულ სხვაა და ნაკლებად რომანტიული. ჯერ ერთი, ადამიანს ყველაზე საყვარელი სიმღერაც კი შეჯავრდება, თუკი დაავალდებულებ, რომ კვირაში ერთხელ, დილის ცხრის ნახევარზე უნდა იმღეროს. ამ ელემენტარულ ბანალობას ნებისმიერი ფსიქოლოგი დაადასტურებს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ რა გახარებულები გაეშურებიან ბავშვები ორშაბათობით სკოლაში ნახევარი საათით ადრე, ემანდ დროშის აღმართვაზე არ დაგვაგვიანდესო. ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რომ კოკისპირულად წვიმს, ან ქარბუქია (ასეთი რამეებიც ხდება ბუნებაში, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში კი არცთუ იშვიათად) და მთელი რომანტიკა თვალსა და ხელს შუა შემოგვეფანტება. დარჩება მხოლოდ რუტინა, სისტემატურად განმეორებადი ფორმალობა, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუღვივებს ბავშვებს ვერც პატრიოტულ გრძნობებს და ვერც სახელმწიფო ატრიბუტიკისადმი პატივისცემას. პირიქით, გამოიწვევს ამ ღირებულებების გარდუვალ გაუფასურებას და დისკრედიტაციას..

თუნდაც მარტო ამიტომ, ყოველკვირეული "ლინეიკების" მოწყობა სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა, მაგრამ აქ არის კიდევ ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი: **განათლების სისტემის თანამედროვე პრინციპებიდან გამომდინარე, კატეგორიულად დაუშვებელია ნებისმიერი ფორმით "სკოლის ორი საუკეთესო მოსწავლის" აფიშირება**. იმის საჯაროდ გამოცხადება, რომ ვიღაცა საუკეთესო მოსწავლეა, ავტომატურად გულისხმობს, რომ სხვები მასზე უარესები არიან. "ვინ გვარცხვენს - ვინ გვასახელებს" ტიპური საბჭოთა მეთოდია, რომელიც დღეს არც ერთ განვითარებულ და წარმატებულ ქვეყანაში არ გამოიყენება. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა არაჯანსაღი (რბილად რომ ვთქვათ) კონკურენცია იქნება ამ ყოველკვირეულ ნომინაციაზე და რა ტიპის "შაყირი" და "ღადაობა" გაჩაღდება თავად ბავშვებს შორის; ვისაც ეეჭვება, ერთი წუთით მაინც გაიხსენოს ის დრო, როცა თვითონ სწავლობდა სკოლაში.

რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, თუკი ბავშვი სკოლის მერხიდანვე მიეჩვევა სახელმწიფო სიმბოლიკის პატივისცემას, მაგრამ ამას ყოველკვირეული "ლინეიკებით" ნამდვილად ვერ მივაღწევთ. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება დროშის აღმართვის ცერემონია ყოველი მეოთხედის დასაწყისს და საზეიმო დღეებში მოეწყოს (ოღონდ აუცილებლად "საუკეთესო მოსწავლეების" გარეშე!). სხვა შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ **ასეთი** ნოვაცია არათუ - არ არის კარგი, არამედ ელემენტარული მავნებლობაა. თუკი ვინმე მიზნად დაისახავდა მოსწავლეებში ნიჰილისტური სულისკვეთების ჩანერგვას და სახელმწიფო სიმბოლიკისადმი აგდებული დამოკიდებულების დამკვიდრებას, უკეთეს ხერხს ძნელად თუ მოიფიქრებდა.

დაბოლოს: მე არ მიკვირს, რომ "სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთების" ამდაგვარი აღზრდა მშობელთა გარკვეულ ნაწილს მოსწონს. კომუნისტური სამოთხის ნოსტალგია ჯერ კიდევ ცოცხლობს, ამ ნოვაციაში კი აშკარად არის რაღაც სიყრმიდან ჩვეული, რაღაც პიონერულ-კომკავშირული. საინტერესოა მხოლოდ, როგორ ვაპირებთ ასეთი ნოვაციის შეთავსებას სასკოლო (და არა მარტო სასკოლო) განათლების სისტემის ძირეულ რეფორმირებასთან?

როდესაც საბჭოთა კავშირში სტალინის ძეგლების ნგრევა დაიწყეს, ცნობილმა ისლანდიელმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ჰალდორ ლაქსნესმა ირონიულად შენიშნა: ძეგლები


ბესო გულაშვილის ფოტო

ანგრიეთ, მაგრამ კვარცხლბეკები დატოვეთ, გამოგადგებათო. განათლების რეფორმა არა მარტო არაერთი "ძეგლის," არამედ მათი კვარცხლბეკების დანგრევასაც გულისხმობს, ანუ იმ კლიშე-სტერეოტიპების უარყოფას, რომლებიც ფორმით ეროვნულ-პატრიოტულია, შინაარსით კი ტოტალიტარულ-საბჭოური.

დღევანდელი განათლების სისტემა საქართველოში სწორედ ამგვარ "კვარცხლბეკებზე" დგას და მათთან ოდნავი შეხებაც უმძაფრეს რეაქციას იწვევს საზოგადოების სხვადასხვა წრეებში, იქნება ეს ე. წ. "განათლების მუშაკები," ტოტალიტარიზმით დაშტამპული პროფესორ-მასწავლებლები თუ ეკლესიური ფუნდამენტალისტები. და თუ ვინმეს ჰგონია, რომ მათი მოსალოდნელი აგრესია დროშის ყოველკვირეული აფრიალებით განელდება, ძალიანაც ცდება. დროშა დროშად დარჩება და თუკი გაბედავ იმის თქმას, რომ ქართული აგიოგრაფიის შედევრები მერვე კლასში არ უნდა ისწავლებოდეს (არადა, ნამდვილად არ უნდა ისწავლებოდეს!), ფუნდამენტალისტებს ვინღა ჩივის, ფიქრია ჩიხრაძის რისხვასაც ვერ გადაურჩები. ამის სიმპტომები უკვე არის, ხსენებული გვარის პოლიტიკოსებისა და "მართლმადიდებელი მშობლების" უაზრო გამოხტომებს თუ გავითვალისწინებთ.

ან იქნებ, ზედმეტად რომ არ ავიტკიოთ თავი, არც არაფრის ძირეულად შეცვლა არ გვინდა და მხოლოდ ისეთ ცვლილებებს გავახორციელებთ, რომლებიც ამ ხალხთან იქნება შეთანხმებული? შესაძლოა დღეს ამას არც არავინ ფიქრობს, მაგრამ როცა სკოლებში ოფიციალურად მკვიდრდება საბჭოურ-ტოტალიტარული ტიპის ღონისძიება, რა გარანტიაა, რომ ხვალაც იგივე არ განმეორდება? ძველი კვარცხლბეკები კი ბლომად გვაქვს.

P. S. არის ინფორმაცია, რომ მზადდება კიდევ ერთი ნოვაცია: ყველა სკოლაში (იგულისხმება ისევ და ისევ სახელმწიფო სკოლები) უნდა მოეწყოს ჟიული შარტავას კუთხე. ეს ჯერ ოფიციალურად არ გამოცხადებულა, მაგრამ თუკი დროშის რიტუალი ასე უკრიტიკოდ იქნა მიღებული, ჟიული შარტავას კუთხეზე უარის თქმა ხომ მისი ხსოვნის შეურაცხყოფად იქნება კვალიფიცირებული? ამ შემთხვევაში, მე ერთი კითხვა მაწუხებს: რატომ არ უნდა მოეწყოს საქართველოს ყველა სკოლაში ისეთი მოღვაწეების კუთხე, როგორებიც იყვნენ (ჩამოვთვლი ქრონოლოგიის მიხედვით): ფარნავაზი, წმინდა ნინო, ვახტანგ გორგასალი, გიორგი მთაწმინდელი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთველი, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი? ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, არასრულია და მისი საგრძნობი გაზრდა სხვა სახელოვანი მამულიშვილების ხარჯზე თავისუფლად შეიძლება... ახლა, ზვიად გამსახურდია? მერაბ კოსტავა? რა, ერთი პატარა კუთხეც აღარ ეკუთვნით? რა თქმა უნდა, ეკუთვნით, მითუმეტეს, რომ კვარცხლბეკების ნაკლებობას არ ვუჩივით. თუმცა, ასე თუ გავაგრძელებთ, შეიძლება დეფიციტამდეც კი მივიდეთ...



www.24hours.ge
24
B

შაბათის სტუმარი

# იდეალურები არ ვართ

## მაგრამ ძირითადი ხაზი სწორია

პირველი გვერდიდან

*ნინო ბურჯანაძე, ამ ბოლო ხანს, აქტიურად აღარ ჩანდა, რაც მრავალი ჭორის საფუძველი გახდა. საინტერესოა, რას ფიქრობს პარლამენტის თავმჯდომარე, როცა ძველი პარლამენტი დათხოვილია და ახალი ჯერ არ არჩეულა; როცა ხელისუფლება ზოგჯერ შეცდომებით, მაგრამ რადიკალურად ცდილობს ახალი ცხოვრების დაწყებას.*

**- ბათუმის მოლაპარაკებებს თუ არ ჩავთვლით, საპრეზიდენტო არჩევნების მერე პოლიტიკურად არც ისე აქტიურობთ, რატომ?**

- ქვეყნის შიდა არენაზე მართლაც ნაკლებად ვჩანდი. პირველ რიგში, ალბათ, იმიტომ, რომ პარლამენტის სხდომები აღარ არის. არ იდგა კონკრეტულად ის საკითხები, რომლის გამოც ჩემი გამოჩენა და კომენტარები საჭირო იყო. გარდა ამისა, რამდენიმე სერიოზული ევროპული ვიზიტი მქონდა. აი, ეს იყო მიზეზი, მე კი ეკრანებზე გამოჩენა და აუცილებელი კომენტარები თვითმიზნად არ დამისახავს.

**- უკვე მერამდენედ გიხდებათ მოლაპარაკებლის როლში ყოფნა, თავს როგორ გრძნობთ ამ ამპლუაში?**

- პოლიტიკა სწორედ ეს არის - არსებული პრობლემების დიალოგის გზით გადაწყვეტას უნდა შეეცადო. მოხარული ვიქნებოდი, ნაკლებად მტკივნეული საკითხების გადაჭრა რომ მიწევდეს. ჩვენი ქვეყანა თანდათან უნდა დალაგდეს და ისეთ კალაპოტში ჩადგეს, რომ დაძაბული დღეები ნაკლები იყოს.

**- რთულია ასლან აბაშიძესთან საუბარი?**

- რთულია. კარგად მოგეხსენებათ, პრობლემები ცენტრსა და რეგიონს შორის წლების განმავლობაში გროვდებოდა. ორივე მხრიდან ბევრი პრეტენზიაა დაგროვილი. როცა ვითარება კრიზისულია, ამ პრეტენზიებზე პასუხის გაცემა რთულდება. ამ ურთიერთობებში ნდობის ფაქტორის დეფიციტია და ვფიქრობ, ახლა მთავარია, ახალმა ხელისუფლებამ არა მარტო აჭარასთან, არამედ ყველა რეგიონთან ურთიერთნდობის საფუძველზე ააგოს ურთიერთობები.

**- რამდენად რეალურად გესახებათ ცენტრის ახალ და რეგიონის ძველ ხელისუფლებას შორის ურთიერთობების ნდობაზე აგება?**

- ძალიან მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტისა და ასლან აბაშიძის შეხვედრა. ინაუგურაციის გარდა პრეზიდენტს აჭარის ხელმძღვანელთან შეხვედრის შესაძლებლობა არ ჰქონია და მათ შორის არც ცენტრსა და რეგიონს შორის დაგროვილი პრობლემები განხილულა. მოგეხსენებათ, მიხეილ სააკაშვილი პირდაპირი ადამიანია და დარწმუნებული ვარ, პირდაპირ დაასახელებდა იმ პრობლემებს, რომელსაც ის არ შეეგუებოდა. პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ პრეზიდენტი არ შეეგუება იმას, რომ მას არ შეეძლოს თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილება, რასაც აბსოლუტურად ვეთანხმები. წარმოუდგენელი ნონსენსია, რომ დღის და ღამის ნებისმიერ დროს პრეზიდენტს თავისი სურვილის მიხედვით არ შეეძლოს გადაადგილება და ამის თაობაზე მას ვინმესთან, თუნდაც რეგიონის ხელმძღვანელთან ჭირდებოდეს შეთანხმება. პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ პრეზიდენტი და ცენტრალური ხელისუფლება არ შეეგუებოდა არჩევნების არადემოკრატიულად ჩატარებას, წინასაარჩევნო კამპანიის შეზღუდვას, ადამიანის უფლებების უგულებელყოფას. არ შეეგუებოდა იმას, რომ არ იყოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი საბაჟოზე, პორტზე - ყველა ეს მოთხოვნა სამართლიანია. ჩემთან საუბრის დროსაც და, რაც მთავარია, პრეზიდენტთან საუბრის დროს აჭარის ხელმძღვანელი დაეთანხმა ამ მოთხოვნებს. ჩემი აზრით, ეს თანამშრომლობის გარკვეულ წინაპირობებს ნამდვილად ქმნის.

**- როგორც ცესკოს თავმჯდომარემ განაცხადა, აჭარაში საკმაოდ დიდი დარღვევებია და არჩევნების ჩატარების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. როგორ განვითარდება მოვლენები?**

- არავინ ელის იმას, რომ აჭარაში იდეალური არჩევნები ჩატარდება. იდეალური არჩევნები, შეიძლება, ვერც სხვაგან ჩატარდეს, მაგრამ ნებისმიერ რეგიონში დემოკრატიული არჩევნების ელემენტარული პირობები დაცული უნდა იყოს.

ვიცი, რომ სიებთან დაკავშირებული პრობლემები არსებობს, მაგრამ სურვილის შემთხვევაში, ამ ერთი კვირის გამოყენებაც შეიძლება იმისთვის, რომ სიები ობიექტურ რეალობას დაუახლოვდეს. იმედი მაქვს, რომ აჭარის ხელმძღვანელის პირობა შესრულდება და არჩევნებამდე დარჩენილ რამდენიმე დღეში თავისუფალი საარჩევნო კამპანია ჩატარდება. ხელისუფლების მონდომების შემთხვევაში, იქ ნორმალური არჩევნების ჩატარების საშუალება არის.

**- კრიზისის დღეებში აბაშიძემ რუსეთისგან მხარდაჭერა ვერ მიიღო. იმოქმედა თუ არა ამან მოლაპარაკებათა პროცესზე?**

- ალბათ, ძალიან ბევრმა ფაქტორმა იმოქმედა და მათ შორის, რუსეთის პრეზიდენტის განცხადებამაც. მისასალმებელია, რომ რუსეთის პრეზიდენტის დონეზე გაკეთდა განცხადება, რომ ის საქართველოს საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდა. ცხადია, ასეთივე დიდი ყურადღება გამოიჩინეს ევროპულმა სტრუქტურებმა. ამ ყველაფერმა პოზიტიურად იმოქმედა კონფლიქტის დარეგულირებაზე, მაგრამ გადამწყვეტი მაინც ის იყო, რომ ცენტრისა და რეგიონის ხელმძღვანელებს ეყოთ გონიერება და ვითარების ესკალაცია არ მოხდა. ეს ფაქტია და ამის არდანახვა სწორი არ იქნებოდა. ორივე მხარემ ერთმანეთისკენ შემხვედრი ნაბიჯები გადადგა და ეს არ იყო გარიგება. ეს იყო ნაბიჯები ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების სასარგებლოდ.

**- თქვენი აზრით, როდემდე შეძლებს ასლან აბაშიძე ამ პოზიციის შენარჩუნებას და რას ეყრდნობა ის?**

- ოპოზიციის მხრიდან გაისმა გამონათქვამები, თითქოს, ეს პრობლემა არ გადაწყვეტილა და კვლავ არსებობს. რა თქმა უნდა, პრობლემა არსებობს და არც პრეზიდენტს, არც მე და არც ასლან აბაშიძეს არ უთქვამს, რომ პრობლემა ამოიწურა. არავის აქვს ილუზია, რომ შეხვედრა ყველა პრობლემას მოხსნის. წინა ხელისუფლებამ ისეთი სიღრმის პრობლემები დაგვიტოვა, რომ ამის მოხსნა ერთი ხელის დაკვრით ნამდვილად შეუძლებელია. ჩვენ ვთქვით, რომ ახლა კრიზისი დაძლეულია. ხოლო იმისთვის, რომ პრობლემები აღარ შეიქმნას, ცენტრალური და რეგიონის ხელისუფლების მხრიდან მოლაპარაკებებით მიღწეული პირობების შესრულებაა საჭირო.

კონსტიტუციური ცვლილებები უნდა მოიცავდეს ტერიტორიული მოწყობისა და აუცილებლად - ცენტრსა და რეგიონს შორის კონსტიტუციური უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხებს. ამის შესახებ ბატონ ასლან აბაშიძესთან წინა ჩასვლის დროსაც ვისაუბრე. მერწმუნეთ, ასეთ შემთხვევაში ბევრი საკითხი კანონისა და კონსტიტუციის ჭრილში გადავა.

გასაკეთებელი ნამდვილად ძალიან ბევრია და პრეზიდენტის განწყობაც ვიცი - თუ აჭარის ხელმძღვანელობა გადადგამს იმ ნაბიჯს, რასაც ქვეყნის კონსტიტუციურ სივრცეში აჭარის სრული ინტეგრაცია, თავისუფალი არჩევნები, ადამიანის უფლებების პატივისცემა, საბიუჯეტო წესრიგის დამყარება ჰქვია - პრობლემები მოგვარდება.

**- გჯერათ, რომ ასლან აბაშიძე ამას შეასრულებს?**

- ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ საკითხებში მან თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოაცხადა.

**- ავტონომიის მეთაური საკმაოდ ცივად შეხვდა თქვენთან ერთად ჩასულ საქართველოს უშიშროების მინისტრს. შეეხო თუ არა საუბარი აჭარაში ამ სტრუქტურის გაუქმებას?**

- მაინცდამაინც თბილი შეხვედრების დრო არ იყო, ხომ მართალია? ვითარება ძალიან დაძაბული იყო და თან ბატონი ასლანი ზურაბ ადეიშვილს არ იცნობდა. მათ საუბრის დროს ერთმანეთის მიმართ საკმაოდ ნორმალური დამოკიდებულება გაუჩნდათ და ერთმანეთთან ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე საუბრობდნენ.

ცხადია, შეეხნენ აჭარის უშიშროების სამინისტროს გაუქმების საკითხსაც. ბატონმა ასლანმა თავიდანვე დააზუსტა რამდენიმე საკითხი, რაზეც ბატონმა ზურაბმა სრულიად გულწრფელად უპასუხა, რომ ეს მისგან არ მოდიოდა და ამგვარი განცხადება მას არ გაუკეთებია.

**- ბატონი ასლანი რაიმე ინფორმაციას ამოწმებდა?**

- დიახ, არასწორ ინფორმაციას ეხებოდა. აჭარის უშიშროების სამინისტროსთან დაკავშირებულ შეკითხვაზე ბატონ ზურაბს თავისი პოზიცია არ დაუმალავს და პირდაპირ უპასუხა, რომ ის ასე თვლიდა საჭიროდ.

ზურაბ ადეიშვილმა ძალიან პოზიტიური როლი ითამაშა. მოხარული ვარ, რომ ის ამ შეხვედრას ჩემი თხოვნით და ინიციატივით ესწრებოდა. ვიცოდი, რომ აუცილებელი გახდებოდა კონკრეტულ საკითხებზე კვალიფიციური პასუხის გაცემა. შუა საუბრის დროს ბატონ ასლანს მიაწოდეს ინფორმაცია. ჩემი თხოვნით, ბატონმა ზურაბმა ოპერატიულად გადაამოწმა ეს ინფორმაცია, რომელმაც რეგიონის ხელმძღვანელობის გარკვეული გაღიზიანება გამოიწვია, არ დადასტურდა.

**- ხომ ვერ იტყვით, რას ეხებოდა ეს საკითხი?**

- ეს იყო ინფორმაცია ჯარის გადაადგილების შესახებ. ბატონმა ასლანმა შეხვედრის დასაწყისშივე გადმოგვცა დოკუმენტი, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ იარაღის შესყიდვას ეხებოდა...

**- შეეხო თუ არა თქვენი საუბარი ბათუმში რუსი გენერლების ვიზიტს?**

- ეს თემა დეტალურად არ განგვიხილავს. ბატონმა ასლანმა ახსენა, თუმცა, მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს ალქსნისთან და მის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან.

**- გავრცელდა ინფორმაცია, რომ არჩევნებამდე დაიდება ხელშეკრულება იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე. რატომ ასე წინასწარ, ხომ არ არის საშიშროება, რომ დეპუტატებს პარლამენტში მოხვედრის შემდეგ, გასაგები მიზეზების გამო, აღარ მოუნდებათ იმუნიტეტთან განშორება?**

- ეს გარკვეული ჟესტია. ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი, კარგა ხანია, ითხოვს დეპუტატებისთვის იმუნიტეტის შეზღუდვას და მეც ყოველთვის ამის მომხრე ვიყავი. რამდენიმე ხნის წინ ხელი მოვაწერე ინიციატივას იმუნიტეტის გაუქმების შესახებ, რადგან არ შეიძლება, ადამიანი პარლამენტში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის თავის ასარიდებლად მიდიოდეს. არადა, 1995, 1999 წლის და ახლად არჩეული პარლამენტის არჩევნების დროსაც კი აშკარად იყვნენ ადამიანები, რომლებიც კენჭს სწორედ ამიტომ იყრიდნენ, ეს კატეგორიულად მიუღებელია და ვფიქრობ, რომ დეპუტატობის კანდიდატების მხრიდან იმუნიტეტის ამ ნაწილზე უარის თქმა ძალიან მნიშვნელოვანი ჟესტი იქნება.



დღეს ოპოზიციას ძლიერი სიტყვის თქმა გაუჭირდება იმიტომ, რომ დღევანდელი ოპოზიციის ერთმა ნაწილმა რევოლუციის დროს დიდი შეცდომა დაუშვა და მაყურებლის როლში დარჩა.

თუ აჭარის ხელმძღვანელობა გადადგამს იმ ნაბიჯს, რასაც ქვეყნის კონსტიტუციურ სივრცეში აჭარის სრული ინტეგრაცია, თავისუფალი არჩევნები, ადამიანის უფლებების პატივისცემა, საბიუჯეტო წესრიგის დამყარება ჰქვია - პრობლემები მოგვარდება.

ძალიან ვამაყობ იმით, რომ ბადრი ბიწაძეზე ვერავინ ვერსად დაწერა, რომ არაპროფესიონალი ან კორუმპირებულია. მთავარ პრეტენზიად ყველგან ერთს უყენებენ - რომ ის ნინო ბურჭანაძის ქმარია.



როგორ უნდა მოენდომებინა შევარდნაძეს, როგორ უნდა დაემხო ქვეყანა საკუთარ და ჩვენს თავზე, რომ ნინო ბურჭანაძე მიტინგებზე მეგაფონით ხელში გამოსულიყო... ამისთვის უდიდესი მონდომება იყო საჭირო.

რა თქმა უნდა, დეპუტატი ხელშეუხებელი უნდა იყოს პოლიტიკური ცხოვრების, აზრის თავისუფლად გამოთქმის საკითხში და ამას არავინ ეხება.

**- ბადრი ბიწაძის გენერალური პროკურორის მოადგილედ დანიშვნამ თავის დროზე დიდი ხმაური გამოიწვია. ამასწინანდელ გადაადგილებას ხმაური არ მოჰყოლია, რატომ?**

- თქვენს ადგილზე ასე დავსვამდი კითხვას - მაშინ რატომ ატყდა ხმაური? ეს მოულოდნელი იყო ჩემთვისაც და ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანებისთვისაც. ბადრი ნულიდან არ გამხდარა გენერალური პროკურორის მოადგილე, მისი გადაადგილება ვერტიკალში მოხდა, თუმცა ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ მის დანიშვნას რეაგირება არ მოჰყვა და, ალბათ, ეს უფრო სწორია. ცოტა უხერხულია საკუთარ ქმარზე ლაპარაკი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის კარგი იურისტია, იცის და უყვარს თავისი საქმე. ძალიან ვამაყობ იმით, რომ ბადრი ბიწაძეზე ვერავინ ვერსად დაწერა, რომ არაპროფესიონალი, ან კორუმპირებულია. მთავარ პრეტენზიად ყველგან ერთს უყენებენ - ის ნინო ბურჯანაძის ქმარია. რამდენად შეიძლება ეს ნაკლად ჩაითვალოს, ვერ გეტყვით... სულ მიმაჩნია, რომ ჩემი ქმარი იმის გამო იჩაგრება, რომ ჩემი ქმარია, სხვა შემთხვევაში ეს კითხვები არ დაისმებოდა.

**- ისტორიისთვის ისეთი შემთხვევებიც არის ცნობილი, როდესაც ოჯახში მაღალი თანამდებობრივი პოზიციები ერთ-ერთმა უნდა დათმოს...**

- ამგვარი პრობლემები სახლში ნამდვილად არ გვაქვს. როცა მისი გენერალური პროკურორის მოადგილედ დანიშვნის დროს ვითარება გართულდა, მან ერთმნიშვნელოვნად თქვა, რომ მზად იყო თანამდებობიდან და საერთოდ, სახელმწიფო სტრუქტურებიდან წასასვლელად, რადგან მას ქვეყნისთვის უფრო საჭიროდ და მნიშვნელოვნად ჩემი საქმე მიაჩნდა.

მეორე მხრივ, წარმომიდგენია, როგორი აჟიოტაჟი მოჰყვებოდა მის ბიზნესში გადასვლას. რაც გინდა ლეგალური ბიზნესი დაეწყო ნულიდან, ამაზეც ასეთივე აჟიოტაჟი ატყდებოდა... უკაცრავად და, ქმართან გაყრას ნამდვილად არანაირი თანამდებობების გამო არ ვაპირებ.

**- 2002 წელს განაცხადეთ, რომ უახლოეს 10 წელიწადში პრეზიდენტობაზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას არ აპირებთ, რომ ჯერ არ ხართ მზად ამ პასუხისმგებლობის ასაღებად. ამ მცირე ხანში რთული გზა გამოიარეთ და გარკვეული გამოცდილება შეიძინეთ. რა მოგცათ ამ პერიოდმა და რა წაგართვათ?**

- როგორც მინიმუმ, სიცოცხლის რამდენიმე წელი წამართვა, რადგან მართლა ძალიან მძიმე დღეები იყო, ყოველივე დიდი ნერვების, ფიზიკური და სულიერი ენერგიის ხარჯზე მოხდა.

ამ დღეებმა დიდი გამოცდილებაც შემძინა და კიდევ ერთხელ, საფუძვლიანად დამარწმუნა იმაში, რომ საქართველოს მსგავსი ქვეყნის პრეზიდენტობა არ უნდა გინდოდეს. ამგვარი სულიერი და ფიზიკური დაძაბულობა ერთი ადამიანისთვის უმძიმესი ტვირთია.

მიხეილ სააკაშვილს გულწრფელად მინდა, ვუსურვო, რომ არა მხოლოდ ეს ვადა ამოწუროს წარმატებულად, არამედ ძალიან წარმატებულად იყოს არჩეული მეორე ვადითაც. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის კეთილდღეობისა და წინსვლისთვის მიცემული ბევრი პირობა შესრულებული იქნება. ყველანაირ თანამდებობაზე უფრო ძვირად ნამდვილად მიღირს ჩემი ქვეყნის კეთილდღეობა და განვითარება...

**- მომავალი ათი წლის შესახებ განცხადება ძალაში რჩება?**

- ჩემი პოლიტიკური კარიერა ისეთი მოულოდნელობებით იყო სავსე, რომ ველარ ვამბობ, რა როგორ განვითარდება. შეიძლება საერთოდ წავიდე პოლიტიკიდან, ან დავრჩე პოლიტიკაში... დღეს ძალიან რთულია იმის თქმა, თუ რა იქნება 10 წლის მერე. უახლოეს ხანებში კი სავსებით მისაღებად მიმაჩნია ის ადგილი და თანამდებობა, სადაც ვარ. თანამდებობა გადამწყვეტი არ არის, მთავარია, აკეთო საქმე, რომელიც შეგიძლია და ქვეყანას წაადგება. დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

**- ახლა რევოლუციამდელ შეკითხვებს დაგისვამთ. სააკაშვილი მიტინგებზე თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში, თქვენ შესახებ ამას ნამდვილად ვერ იტყოდი. ღამით ხალხში გადიოდით ხოლმე, ადამიანები გამხნევებდნენ და ამით, სხვათა შორის, უდიდეს ტვირთს გკიდებდნენ. რა მოგცათ ხალხთან ახლო კონტაქტმა?**

- მართლაც საოცარი სითბო იგრძნობოდა ხალხის მხრიდან და აქედან გამომდინარე, მართლაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იყო. რაც უფრო თბილად გხვდება ხალხი და რაც უფრო იმედის თვალით გიყურებს, უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ და ეს ჩემთვის მძიმე იყო. ვხედავდი, რომ ხალხი ჩემგან, ჩვენგან კონკრეტულ ნაბიჯებს და შედეგებს ელოდა. არც ტრაგიკული მოვლენებისგან და სისხლისღვრისგან ვიყავით დაზღვეულნი.

ჩემთვის მიტინგზე ყოფნა ნამდვილად არ იყო ჩვეული გარემო. მიშა რევოლუციის უდავო ლიდერი იყო და მართლაც ძალიან თავისუფლად გრძნობდა თავს. მაინცდამაინც მშიშარა არ ვარ, მაგრამ როდესაც ხალხის ასეთი რაოდენობა იკრიბება, ყოველთვის მაქვს გარკვეული შეშფოთების და შიშის გრძნობა. სიფრთხილით ვეკიდებოდი ხალხის გადაადგილებას აქედან კანცელარიამდე, მერიამდე... ჩემი გამოსვლები არ არის მიტინგების სტილი. ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ მეგაფონით ხელში თუკი შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა მომიწევდა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. როგორ უნდა მოენდომებინა შევარდნაძეს, როგორ უნდა დაემხო ქვეყანა საკუთარ და ჩვენს თავზე, რომ ნინო ბურჯანაძე მიტინგებზე მეგაფონით ხელში გამოსულიყო.... ამისთვის უდიდესი მონდომება იყო საჭირო.

**- ბოლოს, ალბათ, გაითავისეთ ეს ვითარება...**

- რომ არ გამეთავისებინა, იქ არც ვიდგებოდი. ეს იყო ერთადერთი ფორმა, რომლითაც იმ პერიოდში სამართლიანობის აღდგენა იყო შესაძლებელი. ცხადია, ჩემთვის უფრო მისაღები ფორმა პარლამენტის დარბაზში გამართული დებატებია... მიტინგი პროტესტის უკიდურესი ფორმაა.

**- თქვენგან განსხვავებით თქვენმა მეგობრებმა - ზურაბ ჟვანიამ, გია ბარამიძემ, ვასიკო მაღლაფერიძემ აქამდე იცოდნენ, რა არის მიტინგი, შიმშილობის აქცია. თქვენ ყოველთვის მშობლების დამჯერე შვილი იყავით...**

- გინდათ თქვათ, რომ ისინი მშობლებს არ უჯერებდნენ?!

**- არა, მინდა, ვიკითხო ბავშვობიდან პირველ პროტესტს, პირველ დაუმორჩილებლობას ხომ ვერ გაიხსენებდით?**

- სულ პირველი პროტესტი, ცხადია, არ მახსოვს, მაგრამ შემიძლია, პირველი პოლიტიკური პროტესტი გავიხსენო. ეს იყო 1978 წელს, როდესაც საბჭოთა ჯარები ავღანეთში შევიდნენ. ვერაფრით გავიგე, რა ხდებოდა. იმ პერიოდში პოლიტიკით ვიყავი დაინტერესებული და პატარაობიდან ვკითხულობდი პოლიტიკურ ლიტერატურას, საერთაშორისო ურთიერთობებს. ჩუმ-ჩუმად "ამერიკის ხმას" და "ბი-ბი-სი"- ს ვუსმენდი. საშინელი აღშფოთება გამოიწვია და ჩემთვის აბსოლუტურად ნათელი იყო, რომ არანაირი ინტერნაციონალური მისიით არ უნდა შესულიყო საბჭოთა ჯარი. მამასთან პირველი კამათი ამის გამო მომივიდა. ძალიან ხმამაღლა ვკამათობდით. მამაჩემმა ვერაფრით დამარწმუნა, რომ ეს სწორი ნაბიჯი იყო. საოცრად დამწყდა გული, რომ მამა ჩემს პოზიციას არ იზიარებდა. ძალიან დავმშვიდდი, როდესაც სრულიად შემთხვევით, მშობლების საუბარი მოვისმინე. დედა ეუბნებოდა - კი მაგრამ, შენც ხომ ძალიან აღშფოთებული ხარ და ბავშვს ამდენი რატომ ეკამათეო? მამამ უპასუხა - ბავშვია, სადმე იტყვის და ეს პრობლემებს გამოიწვევს. ჯობია, ჰქონდეს ეჭვი, რომ ის შეიძლება ამ წუთს სწორი არ არის. გაიზრდება, მიხვდება, რომ მისი პოზიცია სწორია და მერე გავარკვევთო... ეს ჩემთვის გარკვეული კომპენსაცია იყო.

**- შეიცვალა თუ არა თქვენი დამოკიდებულება თქვენი შვილების მიერ გამოხატულ პროტესტებზე?**

- სხვადასხვაგვარად აღვიქვამ ჩემი შვილების პროტესტს. რეზიკომ ნოემბრის წინასაარჩევნო დღეებში კარებზე დამახვედრა წერილი, რომელსაც დაახლოებით ასეთი შინაარსი ჰქონდა: "კმარა, ნინო, კმარა... ვის გაუგია ისეთი დედა, ერთ თვეს რომ შვილს არ შეხვდებაო..." და ა.შ. *(სხვათა შორის, ეს ბარათი დედამ ჩარჩოში ჩასვა და პარლამენტში, თავის სამუშაო კაბინეტში ინახავს.)*. მაგრამ, რევოლუციისგან განსხვავებით, კმარას ეს ოჯახური რგოლი ეფექტური არ გამოდგა...

ანზორიკოსთან ცოტა სხვაგვარად არის. რა თქმა უნდა, 16 წლის ასაკში მაქსიმალისტი უნდა იყო და ასეც არის. ამ თაობის წარმომადგენლები დღეს ძალიან პრაგმატულები არიან. ამ ასაკში ასეთი პრაგმატული არ ვიყავი. ჩემი შვილი, ზოგჯერ, მაკრიტიკებს და თავის აზრს გამოთქვამს, მე ეს მიკვირს იმიტომ, რომ, პრინციპში, სწორს ამბობს. უფრო მომგებიან ნაბიჯს მთავაზობს, მაგრამ მე ვბრაზობ, როდესაც ამას 16 წლის ვაჟი მეუბნება; როცა ის მეუბნება - შენ თუ პოლიტიკაში გინდა ყოფნა, ეს უნდა გააკეთო, ამას უნდა მიეჩვიოო... მე ჩემი შეხედულება მაქვს, მაგრამ ის კაცია და ამიტომაც ამბობს ასე.

**- ერთ ხანს ხელისუფლებაში იყავით და ოპოზიციონერობასაც ახერხებდით. როდის ჩამოყალიბდება ახალი, ძლიერი ოპოზიცია?**

- ახალი, ძლიერი და ნამდვილი ოპოზიციის ჩამოყალიბებას პირობები სჭირდება. მომხრე ვარ, რომ ქვეყანაში კონსტრუქციული და ძლიერი ოპოზიცია არსებობდეს. გულწრფელად გეტყვით, თუ ჩვენ ძალიან სერიოზულ შეცდომებს არ დავუშვებთ, ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბება გაჭირდება. თუმცა, გულახდილად რომ გითხრათ, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პირობაა, ძლიერი ოპოზიციის არსებობით ბედნიერი არ ვიქნები. რადგან ეს ნიშნავს, რომ ჩვენ სერიოზულ შეცდომებს ვუშვებთ.

ქვეყანა ისეთ მდგომარეობაშია, რომ იდეალურ ნაბიჯებს ვერ გადადგამ. პოლიტიკოსებს სხვადასხვაგვარი ხედვა აქვთ. რა თქმა უნდა, დღეს ოპოზიციას ძლიერი სიტყვის თქმა გაუჭირდება იმიტომ, რომ დღევანდელი ოპოზიციის ერთმა ნაწილმა რევოლუციის დროს დიდი შეცდომა დაუშვა და მაყურებლის როლში დარჩა. როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას და ქვეყნის ბედი წყდება, არ შეიძლება, გარედან უყურო მოვლენებს, ეს ხალხს არ ავიწყდება. უფრო მესმის იმ ადამიანებისა, ვინც ბოლომდე იდგა შევარდნაძის მხარეს...

**- შეგვახსენეთ ეს ადამიანები, თუ შეიძლება...**

- ...მაინცდამაინც, ვერც მე ვიხსენებ. ოპოზიციას დღეს ძალის მოკრება სჭირდება, იმიტომ, რომ ხალხს ახსოვს - როცა მთელი საქართველო ერთ მუჭად იყო შეკრული, ეს პოლიტიკოსები ხალხის გვერდით არ იდგნენ...

**- სახელისუფლებო გაერთიანების გარდა, თქვენი აზრით, რა ძალებს ვიხილავთ პარლამენტში?**

- ერთპარტიული პარლამენტის ხილვა არც მიხეილ სააკაშვილს უნდა და არც მე. მინდა, რომ პარლამენტში იყოს ჯანსაღი ადამიანების ჯგუფი, ვინც კონსტრუქციულად, კრიტიკულად შეაფასებს ჩვენი, ხელისუფლების ნაბიჯებს.

**- ხედავთ ამ ძალას?**

- რთული სათქმელია. კონსტრუქციულ ოპოზიციას, ჯერჯერობით, ვერ ვხედავ.

**- ამ სიღრმით ელოდით თუ არა პოსტრევოლუციურ გართულებებს? როგორ შეაფასებდით ძირითად ტენდენციებს? ეს ანტიკრიმინალური ოპერაციების ფორმებსაც ეხება.**

- ჩვენი ამ რეჟიმში ყოფნა, ალბათ, არ არის გასაკვირი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქვეყანამ, "ვარდების" ერქვა თუ არა, მართლაც რევოლუცია გადაიტანა. ქვეყანაში უზარმაზარი რყევები იყო და პოსტრევოლუციური სინდრომებიც მოსალოდნელი იყო. მეშინოდა, კიდევ უფრო ღრმად არ წასულიყო ეს პროცესები, მაგრამ ამის თავიდან აცილება მოვახერხეთ. გაიხსენეთ, რევოლუციის შემდგომ კვირებში იგივე ჩვენი აქტივისტები, ჩვენგან შეუთანხმებლად, ზოგი საკრებულოში შევარდა და ადგილები დაიკავა, ზოგი - გამგეობებში.... მეც და მიხეილ სააკაშვილმაც მაშინვე ძალზე მკვეთრი, რადიკალური განცხადებები გავაკეთეთ და ვთქვით, რომ ამის ჩამდენი ჩვენი რიგებიდან გაირიცხებოდა. ამით ვითარება მოვთოკეთ.

უცნაური ხალხი ვართ ქართველები - ჯერ სულ ვამბობდით, რომ ხელისუფლება არავის იჭერს. ახლა, როცა დაჭერები დაიწყო - მაშინვე 37 წელი გაიხსენეს... ჩვენი ქვეყანა კორუფციამ დააქცია და ამ სენის დონე უკვე ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრებოდა. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რომ ამ მეთოდებმა ჩემთვის მისაღები ფორმა მიიღო, ტელევიზორში ამის ყურება არ მინდა, მაგრამ, მეორე მხრივ, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რა ხდება.

მგონია, მეთოდებიც, სტილიც და გადაწყვეტილებებიც თანდათან დაიხვეწება.

არც მე და არც მიხეილ სააკაშვილი არ ვთვლით, რომ შეცდომებს არ ვუშვებთ და იდეალურები ვართ. ცხადია, არის რაღაც გადაცდომები, მაგრამ ძირითადი ხაზი სწორია.



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
"90-იანი... ადამიანის ხმა"
ავტორი და რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"ვოდევილი"
რეჟისორი: გ. თოდაძე
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
ჰაროლდ პინტერი
"ღალატი"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

რუსთაველი
"მიწებებულები"
დას: 12:00 სთ.

"28 დღის შემდეგ"
14:30 სთ.

"ბლუბერი"
დას: 17:00; 19:30; 22:00 სთ.

**ახმეტელი**
"ბლუბერი"
დას: 12:00; 14:15 სთ.

"მიწებებულები"
დას: 17:00 სთ.

"28 დღის შემდეგ"
19:15; 21:30 სთ.

## გამოფენა

**New Art**
"ნიუ არტისა" და კოდაკ "ფოტოსამყაროს" ფოტოსკოლის კურსდამთავრებულების ნამუშევართა ერთობლივი გამოფენა

**"ქარვასლა"**
ალექსანდრე როინიშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
საქართველოს მხატვართა ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება)

**"ჰობი"**
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების (ფერწერა, გრაფიკა) გამოფენა

## ცირკი

მოსკოვის საცირკო დასის წარმოდგენები
დას: 12:00; 15:00 სთ.

## კლუბები

**"აჭარა მიუზიკ ჰოლი"**
ტომ პუკსი
კლუბის გახსნა: 22 საათზე
ფასი: 25 ლარი

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**შაბათს, 20 მარტს,** 17 საათზე – პაატა ამონაშვილის "სხივთა კონა" (პრეზენტაცია).

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

ჰიმნი

# ჰიმნი, რომელიც დაიცავს ერის პრესტიჟს

### არჩევანი გაკეთებულია. ჯერი ახალ პარლამენტზეა

ვერა ნეფარიძე

*საქართველოს სიმბოლიკის განახლების პროცესი დასასრულს უახლოვდება. გუშინ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა საზოგადოებას დროში ყველაზე გაწელილი, სიმბოლიკის მესამე კომპონენტის – ჰიმნის პროექტი წარუდგინა. საქართველოს პრეზიდენტის მოწონებული, პროფესიონალთა რჩეული და კონკურსში გამარჯვებული ფალიაშვილის ჰიმნი "თავისუფლება" სამინისტროში გამართულ პრეზენტაციაზე ჟურნალისტებმა მოისმინეს. ორშაბათიდან გოკა გაბაშვილის სამინისტრო ჰიმნისთვის ტექსტებს მიიღებს. მინისტრს იმედი აქვს, რომ ახალი პარლამენტი პირველივე სხდომაზე გადაწყვეტს შერჩეული ჰიმნის პროექტის ბედს.*



ჰიმნი ჯერ მხოლოდ მაგნიტოფონიდან ისმის

არც საბჭოთა და არც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი არ ყოფილა მასებში ისეთი პოპულარული, როგორც სახელმწიფო სიმბოლიკას შეეფერება; ყველას უნახავს, როგორ ასრულებენ სხვადასხვა საერთაშორისო დიპლომატიურ თუ სპორტულ ღონისძიება-შეხვედრებზე საკუთარ ჰიმნებს ამერიკელები, ფრანგები, ინგლისელები... დარწმუნებული ვარ, ჩემსავით ბევრს შეშურებია მათი. არა იმის გამო, რომ ევროპელებმა ზეპირად იცოდნენ სახელმწიფო სიმბოლიკის ტექსტი და მელოდია; ალბათ, უფრო იმის გამო, რომ მათ ამ ჰიმნის შესრულება ყოველთვის ამაყად შეეძლოთ. უფრო მეტიც, ჩვენგან განსხვავებით ისინი თამამად უწევენ საკუთარ ჰიმნს პოპულარიზაციას; ჩვენ კი, მსგავსი სურვილი, მგონი, არც კი გაგვჩენია (ყოველ შემთხვევაში, რაც თავი მახსოვს, ასეა და ამას ნურც ჩვენს წარუმატებელ დიპლომატიურ და სპორტულ მოღვაწეობას დავაბრალებთ მხოლოდ). ახლაც ვერ ვხვდები, რისი ბრალი იყო სახელმწიფო სიმბოლიკისადმი ჩვენი არასერიოზული, არაპატრიოტული დამოკიდებულება. ახლა ვხედავ იმას, რომ განახლებულ ქვეყანაში სახელმწიფო სიმბოლიკის შეცვლის სურვილი მხოლოდ ფორმალური არ არის. ფაქტია, რომ გვაქვს უკეთესი დროშა (რომლის ყოველ დანახვაზეც გაუცნობიერებელ სიხარულში გამოიჭერ ხოლმე საკუთარ თავს), გერბი და როგორც გუშინ დავრწმუნდი, ჰიმნიც უკეთესი გვექნება (რა თქმა უნდა, თუკი მას ახლად არჩეული პარლამენტი დაამტკიცებს).

"ჩვენ ვეყრდნობით იმ კონკურსს, რომელიც გაიმართა ოთხ ტურად და რომლის ჟიურიშიც, მართლაც, ძალიან ბევრი პროფესიონალი იყო", - განაცხადა გუშინ მინისტრმა გოკა გაბაშვილმა ჰიმნის პროექტის შესახებ. მინისტრმა გუშინ საზოგადოებას ჰიმნის სწორედ ის პროექტი წარუდგინა, რომლის პოპულარიზაციაზეც საქართველოს პრეზიდენტმა ფოთში ყოფნისას, სხვადასხვა სკოლებში სახელმწიფო დროშის აღმართვის საზეიმო ცერემონიალებზე იზრუნა. საუბარია, გამოჩენილი კომპოზიტორის იოსებ კეჭაყმაძის მიერ ფალიაშვილის ოპერების ცნობილი ნაწყვეტებისგან დამუშავებულ ვერსიაზე, რომელსაც ფალიაშვილის ჰიმნი "თავისუფლება" ჰქვია. სწორედ ეს ვერსია, კეჭაყმაძისვე მეორე, ორიგინალურ მუსიკაზე შექმნილ ნაწარმოებთან ერთად, გავიდა 1998 წელს ჰიმნის შესარჩევად გამართულ კონკურსზე. მაშინაც კონკურსის ორგანიზება პრეზიდენტისგან კულტურის სამინისტროს (მაშინ მინისტრი ვალერი ასათიანი იყო) ჰქონდა დავალებული. საამისოდ შექმნილი იყო სპეციალური ჟიური.

"დაცული იყო ყველა ფორმალური მხარე, რის შესახებაც არსებობს შესაბამისი ოქმები, განკარგულებები", - იხსენებს ჰიმნის შესარჩევი ჟიურის პასუხისმგებელი მდივანი, კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს მრჩეველი ლიკა კოპალეიშვილი. ამ ოქმების მიხედვით ირკვევა, რომ გაიმართა დებულებით გათვალისწინებული ოთხი ტური. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული მეოთხე ტურის (რომელსაც ესწრებოდნენ: საქართველოს პრეზიდენტი, კათოლიკოს-პატრიარქი, კულტურის მინისტრი, სახელმწიფო სიმბოლიკის კომისიისა და პარლამენტის წევრები) შემდეგ, არჩევანი სახელმწიფო კომისიას უნდა გაეკეთებინა. ანუ, მას უნდა ამოერჩია მეოთხე ტურში გასული ორი ვარიანტიდან ერთ-ერთი. აქ კი, ჰიმნის შერჩევა შეწყდა. მოგვიანებით, როდესაც მეოთხე ტურში გასული ორივე ვარიანტი მოისმინეს პროფესიონალებმა, გადაწყვიტეს, რომ სახელმწიფო ჰიმნად ჯობს ცნობილი კლასიკოსის ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა შეირჩეს. ამ მოსაზრებას თავიდანვე იზიარებდა კომპილაციის ავტორი იოსებ კეჭაყმაძეც. სხვათა შორის, ასეთ გადაწყვეტილებას ზურგს საკმაოდ მრავალი არგუმენტი უმაგრებს. არსებობს უამრავი ანალოგია, როდესაც ფუძემდებელ-კლასიკოსთა მუსიკა ცოცხლობს მრავალი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნში. მაგალითად შეიძლება დასახელდეს გერმანიის, ინგლისის, თურქეთის ან ფინეთის სახელმწიფო ჰიმნები.

რაც შეეხება ჰიმნის ტექსტს, მასზე კონკურსი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გუშინ გამოაცხადა. "ცნობილია, რომ ტექსტზე ძალიან ბევრი სახელოვანი პოეტი მუშაობს. მაგრამ გარწმუნებთ, ეს კომისიის მუშაობის ობიექტურობაზე ვერ იმოქმედებს, რადგან ტექსტების მიღებისას ჩვენთვის არ იქნება ცნობილი ცალკეული ლექსის ავტორი. ავტორები გაირკვევა მხოლოდ ლექსების განხილვის შემდეგ", - თქვა გოკა გაბაშვილმა. არასწორად გავრცელებული ინფორმაციის გამო (თითქოს, კონკურსი რამდენიმე დღის წინათ გამოცხადდა), სამინისტროში ჰიმნისთვის დაწერილი საკმაოდ ბევრი ტექსტი დაგროვდა. როგორც გუშინ მინისტრმა გაბაშვილმა თქვა, მათი უმრავლესობა ვერ მიიღებს გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობას იმ მიზეზის გამო, რომ ისინი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს (ბუნებრივია, რადგანაც კონკურსის პირობები გუშინ გახმაურდა). კონკურსის აუცილებელი პირობაა, ფალიაშვილის მუსიკაზე შექმნილი ჰიმნის აგებულებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ლექსი იყოს ორსტროფიანი (სტროფში სტრიქონების რაოდენობა უნდა იყოს – 4; სტრიქონში მარცვლების რაოდენობა კი - 8). "ლექსი უნდა გამოხატავდეს საქართველოს ხალხის პატრიოტიზმს, მის სწრაფვას ერთობისა და თავისუფლებისაკენ", - წერია კონკურსის პირობებში. სამინისტროში ვერსიებს 5 აპრილამდე მიიღებენ. რაც შეეხება ჟიურის, გაბაშვილის ვარაუდით, ჰიმნისთვის ტექსტს 5-6 კაციანი კომპეტენტური, პროფესიონალთაგან შედგენილი ჯგუფი გამოავლენს. "კომისიაში არ შევლენ ჩინოვნიკები", - გვარწმუნებდა გუშინ მინისტრი. "გამარჯვებული ტექსტის ავტორისთვის ფულადი პრემია გათვალისწინებული არ გვაქვს. თუმცა, ვფიქრობთ ამ საკითხზე. ეს კონკურსის პირობებში ჩადებული არ არის. უბრალოდ, თუ ექნება სახელმწიფოს საშუალება, ალბათ, ტექსტის ავტორის პრემირება უნდა მოხდეს", - ფიქრობს გოკა გაბაშვილი. მისივე თხოვნაა, ჰიმნის პროექტის პოპულარიზაცია სატელევიზიო და რადიოეთერით დაიწყოს.

## მიმართვა

მხარს ვუჭერთ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინადადებას საქართველოს სახელმწიფო ჰიმნად გამოცხადდეს 1998 წლის კონკურსში გამარჯვებული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებლის, ქართული მუსიკის დიდი კლასიკოსის ზაქარია ფალიაშვილის ჰიმნი "თავისუფლება".

ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი მუსიკა (ფრაგმენტი "თავისუფლება ოპერა "დაისის" მეორე მოქმედების ფინალიდან, რომელსაც ორგანულად ერწყმის საზეიმო ფანფარები "აბესალომ და ეთერის" მეორე მოქმედებიდან") ჰიმნად ოსტატურად არის გადააზრებული გამოჩენილი კომპოზიტორის იოსებ კეჭაყმაძის მიერ.

ეს არჩევანი გამართლებულია ისტორიული ანალოგიებითაც. ფუძემდებელ-კლასიკოსთა მუსიკა გამოყენებულია მრავალი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნებში.

ზაქარია ფალიაშვილის ჰიმნი განეკუთვნება ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშებს. მონოლითურია და ეროვნული, ახასიათებს მელოდიური სისადავე და სახოვანება, ოპტიმიზმი და ამაღლებული საზეიმო განწყობილება. იგი აღძრავს პატრიოტული მღელვარებისა და ეროვნული სიამაყის გრძნობებს.

ზაქარია ფალიაშვილის ჰიმნი ღირსეულად დაიცავს ჩვენი ქვეყნის პრესტიჟს.

*ვაჟა აზარაშვილი, ზაზა აზმაიფარაშვილი, მედეა ამირანაშვილი, მანანა ახმეტელი გურამ ბზვანელი, მერი დავითაშვილი, მანანა დოიჯაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, ანა კალანდაძე, ბიძინა კვერნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, ჯუნა მიქატაძე, გივი მუნჯიშვილი, რევაზ ტაკიძე, ოთარ ჩუბინიშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე.*

# "ვენერა და ადონისი" ქართულად

ნინო ჭორჭაძე

დღეს შედგა შექსპირის პოემის "ვენერა და ადონისის" პირველი ქართული თარგმანის პრეზენტაცია, რომლის ავტორი მედეა ზაალიშვილია. 21-ე საუკუნეში ეს პირველი გამოცემაა (გამომცემლობა "ლიტერა"), რომელიც შექსპირის აქამდე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებს აცნობს მკითხველს.

პრეზენტაცია "წიგნის სახლში" შედგა, სადაც შეკრებილი საზოგადოების ძირითად ნაწილს საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მხცოვანი ლექტორები შეადგენდნენ, რომელთაც თავიანთი კოლეგისა და საღამოს მასპინძლის - ქალბატონ მედეასადმი ქება არ დაუშურებიათ. გარდა იმისა, რომ თარგმანი ორიგინალის ადეკვატურია, გრძნობებს არანაკლები სიძლიერით და სინატიფით გადმოგვცემს. "მედეა იმ დიდ საქმეს აგრძელებს, რაც მაჩაბელმა დაიწყო," – ამბობდნენ პრეზენტაციაზე შეკრებილი ინგლისური ენის სპეციალისტები.

როგორც ჩანს, აქ შეკრებილი, ქალბატონი მედეას კოლეგები და მეგობრები აქტიურად არიან ჩართულნი კამათში სკოლებში სექსოლოგიის სახელმძღვანელოს შემოღებასთან დაკავშირებით და ნახევრად ხუმრობით წამოაყენეს იდეა: თუ მაინცდამაინც უნდა გავანათლოთ ბავშვები ამ მხრივ, ნუ იქნება ეს სექსოლოგიის სახელმძღვანელო, მივაწოდოთ ბავშვებს შექსპირი, პეტრარკა და რენესანსისდროინდელ სხვა ავტორთა ეროტიზმით და მგზნებარებით აღსავსე ნაწარმოებები. რაც შეეხება თარგმანს, მედეა ზაალიშვილს შესანიშნავად აქვს ორიგინალიდან გადმოტანილი იმ ეპოქის გმირთა განცდები და სიყვარულის გამოხატულებები, რომლებსაც თურმე ისინი სექსოლოგიის სახელმძღვანელოდან კი არ სწავლობდნენ, არამედ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში.

მოკლედ, მკითხველს შესაძლებლობა აქვს, უკვე ქართულად წაიკითხოს შექსპირის "ვენერა და ადონისი", რომლის ფასი სულ 5 ლარია, ლიტერატურული ღირებულება კი თავად მკითხველს შეუძლია განსაზღვროს.

# კიდევ ერთხელ ფრანკოფონიაზე...

ნათია ვადაჭკორია

საფრანგეთის საელჩომ საქართველოში, ტრადიციულად, წელსაც აღნიშნა ფრანკოფონიის კვირა, რომელიც 11 მარტს დაიწყო და დღეს სრულდება. სხვადასხვა ადგილას (დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი, ეროვნული ბიბლიოთეკა, რუსთაველის კინოთეატრი, დასავლურ ენათა და კულტურათა უნივერსიტეტი, კინოს სახლი და სხვა) ჩატარებულ მრავალრიცხოვან ღონისძიებათა შორის – იქნებოდა ეს პოეზიის საღამო, წლის ლიტერატურული შეხვედრები, კინოჩვენება, წერის სიბერმარათონი სტუდენტებისთვის, სწავლა საფრანგეთში, საერთაშორისო ფრანკოფონული კონფერენციის წარმოდგენა თუ სხვა რამ - ყველგან ფრანგული ენა დომინირებდა.

მართალი გითხრათ, მსოფლიოში არ მეგულება არც ერთი სხვა ქვეყანა, საფრანგეთის გარდა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ზეიმობდეს საკუთარი ენის პატივსაცემად დაწესებულ დღეს – 20 მარტს. თუმცა, ფრანკოფონიის დღე მხოლოდ ფრანგებისთვის არ არის მნიშვნელოვანი. მას მსოფლიოს ყველა ფრანკოფონულ ქვეყანაში ზეიმობენ, მათ შორის - საქართველოშიც.

გუშინ საღამოს დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში კიდევ ერთი ღონისძიება მოეწყო, სახელწოდებით – "შვეიცარია წარმოგიდგენთ..." შვეიცარიის საელჩომ ფრანგული კულტურის ცენტრის მედიათეკას უსასყიდლოდ გადასცა ფრანგულენოვანი წიგნები, რომელთა პრეზენტაციაც იქვე მოეწყო და ამიერიდან მედიათეკის მკითხველს მათი წაკითხვაც შეეძლება.



ფრანკოფონიის კვირეული დასასრულს მიუახლოვდა

ფრანკოფონიის კვირა დღეს სრულდება ფრანგული კულტურის ცენტრში ჩატარებული ფრანგული ენის უფასო გაკვეთილით და ფრანკოფონიის ღამით, რომელიც დისკოთეკით აღინიშნება.

ამ მანიფესტაციის უშუალო ორგანიზატორს, საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშეს ვთხოვეთ, ორიოდე სიტყვით საკუთარი აზრი გამოეთქვა: "მხოლოდ საფრანგეთის საელჩო ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებდა, რომ არა ჩვენი ქართველი პარტნიორები. წელს ფრანკოფონიის დღეები ყველა ასპექტით იყო წარმოდგენილი – კინო, ლიტერატურა და ა.შ. გარდა ამისა, უკვე მეორე წელია, შვეიცარიის საელჩოს სახით, პარტნიორი შევიძინეთ და ერთი დღეც მთლიანად შვეიცარიას მიეძღვნა. ამ აზრს ჩვენი შვეიცარიელი მეგობარი კრისტიან ზენდერი განავითარებს". კრისტიან ზენდერი: "მხოლოდ იმას დავამატებ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის პარიზში ყოფნის დროს იგი შეხვდა ფრანკოფონიის გენერალურ დირექტორს – ბატონ დიუპს და სწორედ მათი გულთბილი შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ საქართველო გახდება ფრანკოფონიის წევრი დამკვირვებლის სტატუსით, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ფრანკოფონულ სივრცეში".

დღეს კი ქართველ ფრანკოფონებს შეუძლიათ დისკოთეკას ესტუმრონ და ცეკვით აღნიშნონ ეს დღესასწაული.

# ევროპა მატარებლით

თამარ ბაბუაძე


"ევროსტარის" მატარებლები ევროპას კომფორტულად შემოგატარებთ

"...სარკინიგზო პროგრამა ერთგვარ ნარკოტიკად მექცა. ბავშვობაში მათემატიკის გაკვეთილზე მერხქვეშ ატლასი მქონდა გადაშლილი და წარმოსახვაში თავგადასავლებით სავსე აღმოჩენების სურათებს ვხატავდი. მსგავსად ამისა, ახლაც მთელი დღეები ვუზივარ კომპიუტერს, ვნადირობ ჯადოსნურ სიზმრებზე – თვალმოუშორებლად ვაკვირდები სქემებს და მარშრუტებს. თუ სწორედ ეს არის "ვირტუალური რეალობა", მის არსებობაში ეჭვის შეტანა უაზრობაა..." – ეს სიტყვები უმბერტო ეკოს ეკუთვნის, მაგრამ იმდენად მიამიტურად და გულწრფელად ჟღერს, რომ ოდნავი სახეცვლით ნებისმიერ უბრალო მოკვდავს შეეძლო ეთქვა - თუნდაც, მე ან თქვენ.

ატლასში კირკიტი, ქალაქებისა და ტბების სახელების ამოკითხვა, მათი ფანტაზიაში გაცოცხლება, ვირტუალური მოგზაურობების მოწყობა ყველაზე უტოპიურ ადგილებშიც კი – ეს პერიოდი ხომ, ალბათ, ყველას გაუვლია; ზოგს კი, ეკოს მსგავსად, რუკაში კირკიტის ჰობი ბავშვობიდან ზრდასრულ ასაკშიც გადაჰყოლია და დღემდე დიდ სიამოვნებას იღებს ამისგან.

ეკოსთვის-მეთქი ვერ დავიჩემებ, მაგრამ სწორედ მის კვალზე წასულთათვის დღეს ერთგვარ გზამკვლევს შევადგენთ. ამაში "დეილი ტელეგრაფის" მოგზაურობის განყოფილება და რამდენიმე მეტად საჭირო მისამართი დაგვეხმარება (eurostar.com, raileurope.com, bahn.de, interrailnet.com).

მაინცდამაინც ახლა ცნება "მოგზაურობის" გაგონებაზე დიდი რაოდენობით ადრენალინის გამოყოფას, ალბათ, გაზაფხულის მოსვლას უნდა ვუმადლოდეთ. რაც უფრო თბება, მით უფრო იზრდება თავგადასავლების ჟინი, რომელსაც რამდენიმე გარემოება ამძაფრებს:

პირველი – ევროკავშირის ისტორიული გაფართოებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

როგორც მოგეხსენებათ, 1 მაისს ევროკავშირი ერთდროულად ათ ახალ წევრ ქვეყანას შეიძენს. ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა კი რამდენიმე მისამართზე გავრცობილი საინტერესო კულტურული ღონისძიებებით აღინიშნება. 2 მაისს შოტლანდია ახალ წევრებს პომპეზურ გალა-საღამოს მოუწყობს. ედინბურგში დაგეგმილი შოუ ევროპულ ოჯახში ოფიციალურად გაწევრიანებული ახალი სახელმწიფოების პოეზიით, ქორეოგრაფიით, კინემატოგრაფითა და მუსიკით იქნება სავსე. ადგილობრივი, მაგრამ არანაკლებ მხიარული ზეიმები იგეგმება ახალ წევრ ქვეყნებშიც – სლოვაკეთსა და ჩეხეთს უკვე კონკრეტული გრაფიკი აქვთ შემუშავებული; მაისისთვის ემზადებიან ბალტიისპირეთშიც, მალტაშიც, პოლონეთსა და სლოვენიაშიც.

სხვათა შორის, ტურისტები შეიძლება ირლანდიაში ვოიაჟის იდეითაც ცდუნდნენ – მიუხედავად იმისა, რომ წმინდა პატრიკის დღესასწაული უკვე ჩავლილია: ირლანდია წელს, ევროკავშირის პრეზიდენტობის როტაციის პრინციპით ცვალებად პოსტს ფლობს და ამ საპატიო ამბავს დუბლინსა და კიდევ ცხრა სხვა ქალაქში დაგეგმილი ფოიერვერკებით, როკ-კონცერტებითა და ღია ცის ქვეშ მოწყობილი ატრაქციონებით აღნიშნავს.

ასე რომ, ვისაც საერთო ევროპულ ზეიმში სურს მონაწილეობა, სასურველია, მოგზაურობა სწორედ 1 მაისისთვის დაიწყოს და 9 მაისის ჩათვლით მოილხინოს – როცა კიდევ ერთ დიდ დღესასწაულს აღვნიშნავთ – ევროპის დღეს.

თუმცა, ჯობს, ევროკავშირის თემატიკაზე აგებულ ვოიაჟებს რამდენიმე კვირაში მივუბრუნდეთ, მანამდე კი "სამოგზაურო ადრენალინის" გამოყოფის მეორე ფაქტორზე გავამახვილოთ ყურადღება – მატარებლით მგზავრობაზე.

ევროპა დიდი ტერიტორიაა და მის დაფარვას მრავალი პრესტიჟული თუ წვრილ-წვრილი სააგენტო იღებს საკუთარ თავზე. ისინი ევროპულ ქვეყნებს რამდენიმე ზონად ყოფენ და ყიდიან რამდენიმეგვარ ბილეთს. მათგან ყველაზე პოპულარულია მრავალჯერადი გამოყენების მოწმობა, რომლის საშუალებითაც სარკინიგზო რელსებით დაქსელილი ევროპის მონახულება სახმელეთო კრუიზის პრინციპით შეგიძლიათ.

მაგალითად, ავიღოთ "ინტერ რეილის" ბილეთები. წინათ ის მხოლოდ 21 წლამდე ახალგაზრდებზე იყო გათვლილი, მაგრამ ახლა ცალ-ცალკე პაკეტებს სთავაზობს როგორც 21 წლამდე თინეიჯერებს, ისე 26 წლამდე და 26 წლის ზევით ტურისტებს.

1 აპრილიდან "ინტერ რეილს" ფასდაკლებებიც აქვს: ერთზონიანი და 16-დღიანი ბილეთი 26 წლამდე ტურისტებისთვის 159 გირვანქა სტერლინგი ღირს და 223 დოლარი – უფრო დიდებისთვის. აპრილიდან 22-დღიანი ბილეთიც უკვე ორ ევროპულ ზონაზეა გათვლილი.

"ინტერ რეილის" ბილეთის ფლობა ნიშნავს სპეციალურ ფასდაკლებებსაც "ევროსტარის" მატარებლებზე. მაგალითად, ორზონიანი ტური: E და F ზონები აერთიანებს შეუზღუდავ სარკინიგზო მოგზაურობას ბელგიაში, საფრანგეთში, ლუქსემბურგში, ჰოლანდიაში, ესპანეთში, პორტუგალიასა და მაროკოში.

თანაც, ეს მრავალჯერადი შესვლის ბილეთები განსაკუთრებით კომფორტული სწორედ ევროპაშია – უმრავლეს ქვეყანაში ხომ რკინიგზის სადგურები ქალაქების ცენტრშია განთავსებული და თქვენც ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას პირდაპირ შუაგულიდან იწყებთ. მაგალითად, გავიხსენოთ იგივე კიოლნის რკინიგზა – თავისი გოთური ტაძრით, ანდა ციურიხი – მიმდებარე მუზეუმებით.

ძალიან იოლია მატარებლით ბერლინის მონახულებაც – გერმანიის პარლამენტი უკვე განთავსდა გადაკეთებულ რაიხსტაგში და აღმოსავლეთ ბერლინიც სულ უფრო მოდური თავშესაყრელი ადგილი ხდება – თავისი კლუბებითა და რესტორნებით.

როცა ბერლინი მოგბეზრდებათ, იქედან შეგიძლიათ პირდაპირ ვარშავისკენ აიღოთ გეზი, ანდა პრაღის, ვენის, ბრნოს, ბუდაპეშტისა და დრეზდენის მიმართულებით. აი, ბუდაპეშტიდან კიდევ უფრო აღმოსავლეთითაც შეგიძლიათ გაჭრა – ბუქარესტში და სნაგოვში (თუ, რა თქმა უნდა, დრაკულას ლეგენდის გამო, მოსვენება გაქვთ დაკარგული).

ევროპული ტურები მატარებელში ხანგრძლივად ყურყუტს გულისხმობს (თუმცა, სწორედ ეს ყურყუტი მატარებლის ესთეტიკისა და ფილოსოფიის ჩამოყალიბებისკენ უბიძგებს მრავალ მოაზროვნეს). ამიტომ, აუცილებლად ფანჯარასთან მოკალათდით, რათა მშვენიერი ხედებით დატკბეთ:

თუ ოფენბურგიდან კონსტანცასკენ მიდიხართ, შავ ტყეში გავლა მოგიწევთ; ინსბრუკიდან ზალცბურგისკენ გზა ავსტრიულ მთებსა და ხეობებს გადაგაკვეთინებთ; მარშრუტი ბუდაპეშტი-ეშტერგომი (უნგრეთის ძველი დედაქალაქი) დუნაის სანაპიროთი ტკბობას გულისხმობს, პორტ ბოუ-პერპინიანის სარკინიგზო გზაც, ასევე, უმშვენიერეს სანაპიროს გადაგიშლით თვალწინ.

გარდა მშვენიერი ბუნებისა, ევროპაში თემატური მოგზაურობების მოწყობაც შეიძლება. თქვენი ვოიაჟი ნებისმიერი რეფრენით შეგიძლიათ დაგეგმოთ – ევროპის დედაქალაქები, ხელოვნების გალერეები, ისტორიული ციხე-სიმაგრეები, გასტრონომიული ტურები, ღვინის ტურები...

ერთი სიტყვით, ვისაც ევროპაში მატარებლით ერთხელ მაინც გიმოგზაურიათ, დამეთანხმებით, რომ ეს უდიდესი სიამოვნებაა. ამიტომ, ბოლოს ისევ უმბერტო ეკოს დავუბრუნდეთ. ის თავის წერილს "სარკინიგზო მოგზაურობა ინტერნეტში" ასე ასრულებს: "ღამეები რომ ვათიო ეკრანსმიშტერებულმა, ბლომბლომად უნდა გამოვიყოლო სხვადასხვაგვარი სასმელი იმ ადგილებიდან, რომლებიც მოვინახულე; უნდა მოვიმარაგო ყალიონები, ქურქები, სათბურები. და თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, უეჭველია, არ ამცდება მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში.

და ხომ შეიძლება, სადღაც სადგურსა და სადგურს შორის მოვიპოვო საძილე ვაგონთა ქალბატონი - სახეგათეთრებული და მთრთოლავნესტოებიანი, სისხლიანი ჭრილობისფერი ტუჩებით წვრილად ნახვევ რუსულ პაპიროსს მიბნედილი რომ ექაჩება?" – ესეც მშვენიერი ფანტაზიაა – მატარებლებისა და მოგზაურობის ესთეტიკაზე აგებული; მე კი, დასასრულს, ისღა დამრჩენია, მოგიწოდოთ, აჰყევით-მეთქი უმბერტო ეკოს და გაზაფხულის მოსვლას; გადააკეთეთ მისი წარმოსახვები თქვენივე გემოვნებით და იმოგზაურეთ – რუკაზე, ინტერნეტში ან კიდევ უკეთესი – რეალობაში.

ჩვენ კი აქვე, ოცნების სახით, ერთსაც დავსძენდით: იმედია, ორიათას-რომელიღაც-არც-თუ-ისე-შორეულ-წელს ევროპის სარკინიგზო მაგისტრალს, რომელიც სადღაც თურქეთსა და რუსეთში წყდება, საქართველოც შეუერთდება. პატრიოტიზმთან შეზავებული "სამოგზაურო ადრენალინის" ჩუხჩუხი თქვენ მერე ნახეთ...

# სიმპათიური დედოფლის ქალაქი

## კოპენჰაგენი

ანა კორძაია-სამადაშვილი


ზღვის ქალწულის ქალაქი

დანიური სიტყვა Hygge, პრაქტიკულად, არ ითარგმნება. ის ერთდროულად მყუდროს, კარგს და თბილს ნიშნავს. სწორედ ასეთია სკანდინავიის უდიდესი ქალაქი კოპენჰაგენი - მრავალი პარკითა და ფეხით მოსიარულეთა უბნებით, სადაც ყველაფერი სისუფთავით ბრწყინავს, სადაც ყოველთვის მშვიდად იგრძნობთ თავს. თქვენც იცნობთ ამ ქალაქს, ბავშვობა მაინც აქ გაქვთ გატარებული. ამ ქალაქში ცხოვრობდნენ ისინი, ვინც მთელი ბავშვობა გვიყვარდა - კაი და გერდა. ჯადოსნური ვარდები მის ვიწრო ქუჩებში, მაღალი და ვიწრო სახლების სახურავზე ყვაოდა.

დანიის დღევანდელი დედოფლის, უაღრესად სასიამოვნო და გამომწვევად მწეველი მარგარეტე II-ის წინაპრები თავიანთი მეფობის უკანასკნელი 600 წლის განმავლობაში გამუდმებით ზრუნავდნენ იმაზე, რომ ქალაქს დიდებული ბაღები, სასახლეები და მუზეუმები ჰქონოდა, რომ მათ სატახტო ქალაქში მცხოვრებლებს ამაყად შეძლებოდათ იმის განცხადება, რომ კოპენჰაგენელები არიან. დედოფალი წინაპრების ტრადიციას არ ღალატობს – ოდესღაც "ჭუჭყიანი" უბნები რესტავრირებულია, ნავსაყუდელთან უძვირფასესი ბარები, რესტორნები და სავაჭრო ცენტრებია წამოჭიმული. კუნძული სიელანდი, რომელზეც კოპენჰაგენია აშენებული, ყოველი მხრიდან ზღვითაა გარშემორტყმული, სადაც ბანაობაც შეიძლება, ყვინთვაც და თევზაობაც. კონტინენტი სულ ახლოსაა, მაგრამ კოპენჰაგენი მაინც ცალკე კუნძულია, და ამიტომ, მისი მცხროვრებლები თავს არც სამყაროსგან მოწყვეტილად გრძნობენ და არც იმას ივიწყებენ, რომ განსაკუთრებულები არიან.

სასახლის მოედნის ცენტრში ცხენზე მჯდომი ფრედერიკ V-ის ძეგლია აღმართული. 1749 წელს სწორედ მისი ნებით აშენდა ის ოთხი ერთნაირი როკოკოს სტილის სასახლე, რომლებიც მოედნის ირგვლივაა წამოჭიმული და რომლებშიც ყველაზე მნიშვნელოვანი დიდგვაროვნები ცხოვრობდნენ. 1794 წელს, ქრისტიანსბორგის სასახლის ხანძრის შემდეგ სასახლე სამეფო რეზიდენციად აქციეს. დღეს აქ დედოფალი მარგარეტე და მისი მეუღლე პრინცი ჰენდრიკი ცხოვრობენ თავიანთ ვაჟთან, უფლისწულ ფრედერიკთან ერთად – ეს უკანასკნელი მრავალი წლის განმავლობაში ტახტის მემკვიდრისთვის საკადრისი საქმეების კეთებას როკის მომღერალ გოგონებთან ერთად ვნებიან ღამეებს ამჯობინებდა, მაგრამ, ამის გამო, ერს არ უდარდია – არც დედოფალია "სწორი გოგო", მაგრამ ხალხს ის ძალიან უყვარს.

სასახლის ცალკეულ ნაწილებში შესვლის უფლება ჩვეულებრივ მოკვდავებსაც აქვთ, თუმცა ყველაზე კარგი სანახავები აქ მაინც ყარაულები არიან – მხიარული ქუდებით შემკული მცველები ყოველდღიურად, 12 საათზე იცვლებიან და თუკი ამ წარმოდგენას სამეფო გვარის რომელიმე წარმომადგენელიც ესწრება, ორკესტრი განსაკუთრებული მონდომებით უკრავს. მცველები წარბშეუხრელად ხვდებიან ფოტოგრაფებსაც და ცნობისმოყვარეებსაც – ხმას არ იღებენ, ამაყად ასრულებენ თავიანთ ვალს.

დანიელები თავიანთ მონარქებს ტყუილად როდი სცემენ პატივს. ისინი მათთვის ყოველთვის ზრუნავდნენ, და ამ ორმხრივი სიყვარულის შედეგად შეიქმნა 1748 წელს დიდებული სამეფო თეატრიც. მისი შენობა ახალი სამეფო ბაზრის მიდამოში, უზარმაზარ მოედანზე დგას. ახალრენესანსულ შენობას წარწერა ამშვენებს: "არა მარტო სიამოვნებისთვის". ის საბალეტო და თეატრალური დადგმების სანახავად და საუკეთესო საოპერო შემსრულებლების მოსასმენად გვეპატიჟება. ჰოდა, თუკი კოპენჰაგენში ჩაბრძანდით და კულტურული საღამოს გატარება განიზრახეთ, დანიის სამეფო ბალეტის წარმოდგენაზე წასვლას გირჩევდით. თუმცა, თუ ამის დრო და საშუალება არ გექნათ, მხოლოდ შენობის დათვალიერებაც ერთ რამედ ღირს – კვირაობით, 11 საათიდან ის დამთვალიერებლებისთვის ღიაა.

მათთვის, ვისაც ხელოვნება უყვარს ან ამას იბრალებს მაინც, კოპენჰაგენის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში სტუმრობაც დიდი სიამოვნება იქნება. თავად შენობა 1896 წელსაა აგებული და რომანტიკულ ადგილას დგას - პარკთან. მუზეუმის კლასიკურ კოლექციაში იტალიელი და ნიდერლანდელი ოსტატების ტილოებია დაცული. განსაკუთრებით მდიდარი ტიციანის, ტინტორეტოს, რუბენსისა და რემბრანდტის დარბაზებია.

მთელი ამ დიდებულების ნახვის შემდეგ შეიძლება ჩათვალოთ, რომ ყოფილ სტუდენტურ უბანში აღარაფერი გესაქმებათ. მაგრამ, ეს ასე არაა - აუცილებლად გაიარეთ, ძალიან ისიამოვნებთ. პატარა კოშკურის ორგვლივ იქ ზამთარშიც შეიძლება ჩამოჯდომა და ყავის თუ ლუდის დალევა – იქაურობა საგანგებო "ქოლგებით" თბება; დანიელები ამტკიცებენ, - პორტუგალიიდან ჩრდილოეთით ყველა ქვეყანამ უნდა მოგვბაძოს, რომ ქუჩაში ცხოვრების გემო გაიგონო.

ხოლო როცა ხელოვნება და პომპეზური ნაგებობები თავს შეგაწყენთ, როცა ქუჩა-ქუჩა სიარული, სანაპიროზე კოტრიალი და ტალღების სმენა მოგბეზრდებათ, ქალაქის ბოტანიკურ ბაღში გაიარეთ. კოპენჰაგენელები მისით ძალიან ამაყობენ და - სავსებით სამართლიანად – 130 წლის ბაღში ათასგვარ საოცრებას გადააწყდებით. ალპურ ბაღში დანიისთვის უჩვეულო მთის ჰაერს შეისუნთქავთ, იქვე ცხელი ქვეყნების მცენარეების ცქერითაც დატკბებით. მინის სასახლეში არნახული პალმები და კაქტუსები იზრდება. ამ შენობაში უამრავ წყვილს შეხვდებით – რომანტიკულ ახალგაზრდა შეყვარებულებსაც და ხელიხელჩაკიდებულ ხანშიშესულ ცოლ-ქმარსაც. როგორც ჩანს, ბოტანიკურ ბაღში, უცხო მიწების სურნელში გიგანტურ კაქტუსს ამოფარებული კოცნა ბევრად უფრო შთამბეჭდავი უნდა იყოს.

მხოლოდ პატარა ზღვის ასული, თევზისკუდიანი გოგონა ზის მარტოდ და სიყვარულის მოლოდინში ზღვას გასცქერის. მას უამრავი სტუმარი ჰყავს – ტურისტებით სავსე ავტობუსები ყოველდღე მიემართება სანაპიროსკენ შეუძლებელი სიყვარულით დადარდიანებული გოგონას სანახავად. ჰანს ქრისტიან ანდერსენის გმირის ქანდაკების ავტორი ედვარდ ერიქსენია; ძეგლის შესახებ მოყოლის დროს აუცილებლად გეტყვიან, რომ მის შესაქმნელად აუცილებელი თანხა ლუდის მაგნატმა და მეცენატმა კარლ იაკობსენმა გაიღო.

ზღვის ქალწულს მრავალჯერ აწყენინეს – ხან თავი მოახერხეს, ხან მკლავი მოსტეხეს, ხან გაკოჭეს, ხან საღებავი მიასხეს... კოპენჰაგენელები აღფშოთებისგან ცუდად ხდებიან და ერთხმად ამტკიცებენ, - ეს ნამდვილად გიჟების ნახელავია, ჩვენ ჩვენს ზღვის ასულს არასოდეს არაფერს ვატკენდითო.

## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ალექსანდრე რონდელი | "პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში" | "მეცნიერება" | 2.8 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2 |
| მადონა | "ინგლისის ვარდები" | "არტეჯე" | 2 |
| - | [illegible] | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |
| გურამ დოჩანაშვილი | "სამოსელი პირველი" | [illegible] | 1.6 |
| აკა მორჩილაძე | [illegible] | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.2 |
| მარიო პუზო | "ნათლიმამა" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |
| [illegible] | [illegible] | "არტეჯე" | 1.2 |
| ჭაბუა ამირეჯიბი | "დათა თუთაშხია" | - | 1.2 |



### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "ქრისტეს ვნება" | მელ გიბსონი | ჯეიმს კევიზელი, მონიკა ბელუჩი, მაია მორგენშტერნი | 32,130,978 | 264,510,209 |
| "საიდუმლო ფანჯარა" | დევიდ კოეპი | ჯონი დეპი, მარია ბელო | 18,237,568 | 18,237,568 |
| "სტარსკი და ჰაჩი" | ტოდ ფილიპსი | ბენ სტილერი, ოუენ უილსონი, სნუპ დოგი, კარმენ ელექტრა, ჯულიეტ ლუისი | 16,018,291 | 51,500,921 |
| "ჰიდალგო" | ჯო ჯონსტონი | ვიგო მორტენსენი, ომარ შარიფი | 11,861,620 | 35,635,388 |
| [illegible] | კევინ ალენი | ფრენკი მუნიზი, ენტონი ანდერსონი | 8,014,005 | 8,014,005 |
| [illegible] | პიტერ სიგალი | დრიუ ბერიმორი, ადამ სენდლერი | 5,425,736 | 106,701,379 |
| Twisted | ფილიპ კაუფმანი | ეშლი ჯადი, სემუელ ლ. ჯექსონი, ენდი გარსია | 3,081,612 | 21,134,984 |
| [illegible] | სარა შუგარმანი | ლინდსი ლოჰანი, ელისონ პილი, ადამ გარსია | 2,472,097 | 24,942,380 |
| "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება" | პიტერ ჯექსონი | [illegible] | 2,021,501 | 371,147,794 |
| [illegible] | დევიდ მამეტი | ვალ კილმერი | 2,011,435 | 2,011,435 |



### დიდი ბრიტანეთის საუკეთესო ალბომების ათეული

| შემსრულებელი | ალბომის სათაური | წინა კვირის პოზიცია |
|---|---|---|
| შემსრულებელი | ალბომის სათაური | წინა კვირის პოზიცია |
| ქეთი მელუა | Call Off The Search | 1 |
| ნორა ჯონსი | Feels Like Home | 2 |
| დენიელ ო'დონელი | The Jukebox Years | - |
| ჯეიმი ქალამი | Twentysomething | 5 |
| ლიონელ რიჩი | Just For You | - |
| ჰარი კონიკ ჯუნიორი | Only You | - |
| ენგელბერტ ჰამპერდინკი | His Greatest Love Songs | - |
| ჯემელია | Thank You | 4 |
| ზერო 7 | When It Falls | 3 |

## ქომაგის ტრიბუნა



სანდრო ნასარიძე

### ქართულ სპორტს...

მე მიყვარს ჩემი საქართველო.
მე მიყვარს დედა.
მე მიყვარს მამა.
მე მიყვარს ჩემი დები და ძმები.
მე მიყვარს ჩემი მეგობრები.
მე ჩემი გოგოც მიყვარს.
მე მიყვარს ქართველები და...
...და ეს ასეც უნდა იყოს. აბა სხვანაირად ვის გაუგია?1
მაგრამ მე ქართული სპორტიც მიყვარს.

დედა, მამა, და-ძმა და მეგობრები უნდა გიყვარდეს, აბა რა, მაგრამ არ არის აუცილებელი, ყველაფერი ქართული, გიყვარდეს.

ბევრი ადამიანი ვიცი, ვისაც სპორტი უყვარს, მაგრამ ქართული - არა. რატ-ომ? იმიტომ რომ არ შეიძლება გიყვარდეს ის, რაც ნერვებს გიწეწავს.

მე მახსოვს 1981 წლის 13 მაისი, როდესაც თბილისის "დინამომ" თავისი ყიფიანებით, დარასელიებით, ჩივაძეებით და გაბელიებით ევროპის თასების თასი მოიპოვა. დიახ, მახსოვს. მართალია, მე 1981 წლის 3 დეკემბერს დავიბადე, მაგრამ 13 მაისი მაინც მახსოვს და არასოდეს დამავიწყდება. ის დღე ხომ მთელი საქართველოსთვის უსაყვარლეს და დაუვიწყარ დღედ იქცა! თქვენ გგონიათ, ვხუმრობ? გინდათ, ყველაფერი დაწვრილებით გავიხსენო? გაგახსენოთ კოტე მახარაძის მოზღვავებული ემოცია? გაგახსენოთ თბილისის აეროპორტი, როდესაც თბილისის "დინამო" სპეცრეისით დაეშვა მშობლიურ მიწაზე? გინდათ, გაგახსენოთ, აეროპორტში რამდენი ადამიანი მივიდა მათ დასახვედრად? ვფიქრობ, ამ ყველაფრის გახსენება არ გჭირდებათ, უჩემოდაც კარგად იცით. როცა იმ დღეს იხსენებთ, რაღაც სევდაც გეუფლებათ. რა, არა? ნუ მომატყუებთ, არ თქვათ, რომ კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით არ განიცდიდით ისეთ სიხარულს, არ თქვათ-მეთქი, მე თქვენ გეუბნებით!

მე 1962 წლის ივნისიც მახსოვს, როდესაც ქართველმა კალათბურთელებმა მადრიდის "რეალი" დაამარცხეს - 90:87. დიახ, მახსოვს. კიდევ ბევრი რამ მახსოვს, მაგრამ ახლა ამისთვის ნამდვილად არ მცხელა. ეს ყველაფერი მახსოვს და არც არასოდეს დამავიწყდება. საქმე ეს არ არის. საქმე ის არის, რომ გასახსენებელი არ მემატება. არც მე და არც სხვას. არა, არა, შემეშალა, გასახსენებლის მეტი რა არის, მაგრამ ცუდის გახსენება რა ჯანდაბაა?! კარგის გახსენება მინდა, კარგის და, თანაც, სულ ახალ-ახლის, ცინცხალის გახსენება მინდა.

სულ ცოტა ხნის წინ ჩემს კოლეგას მორაგბეების ცუდ თამაშზე ისე აეშალა ნერვები, რომ გადაწყვიტა, დაეწერა წერილი "კმარა" და დაწერა კიდეც. აქამდე მიგვიყვანა ქართულმა სპორტმა. უსულო ობიექტებზე ნეკროლოგების წერა რომ შეიძლებოდეს, უფრო სწორად, მიზანშეწონილი რომ იყოს, ქართული სპორტის ნეკროლოგი კარგა ხნის დაწერილი იქნებოდა.

რა გჭირთ ხალხო, სპორტსმენებო?! ნუთუ არ გინდათ, რაღაც მოიგოთ, რაიმე ტურნირი, თუნდაც, დაბალი დონის, მაგრამ მაინც ტურნირი? არ გინდათ-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ამას მონდომება სჭირდება, სულისა და გულის ჩადება სჭირდება, რაც, ალბათ, გეზარებათ. გაიქნიეთ რა ხელ-ფეხი უფრო ძლიერად და მონდომებით. არ შეგიძლიათ? როგორ არ შეგიძლიათ, ნამდვილად შეგიძლიათ და ქენით რამე ისეთი, რითიც გაგვახარებთ. **OK?**

თავში ვთქვი, დედა მიყვარს, მამა მიყვარს, კიდევ ბევრი ვინმე მიყვარს-მეთქი. ისინი მართლა ძალიან მიყვარს. რაც უნდა მავნონ, მაინც მეყვარებიან. ჩემები არიან და იმიტომ. მაგრამ ამას ვერ ვიტყვი ქართულ სპორტზე. თუ ქართულმა სპორტმა ჩვენი, ქომაგების სიყვარული არ შეინარჩუნა, მაშინ დაკარგავს ყველა გულშემატკივარსა და ქომაგს. აი, მერე კი რად გინდა თავი, თუ ბიჭი დაგვეჩაგრა? ეს ციტატა ნოდარ დუმბაძეს "მოვპარე". რაღად გინდათ წარმატება, თუ თქვენს გარდა არავის გაუხარდება? ამიტომაც გირჩევთ, მოინდომოთ და რაცხა პატარა წარმატებით მაინც გაგვახაროთ.

ბოულინგი

## ბოულინგი - ოჯახური გართობის საშუალება



ბოულინგის მოყვარულთა რიცხვი დღითი დღე იზრდება

დღეს სადავო აღარ არის, რომ ბოულინგი ოჯახური გართობისა და სპორტის სახეობაა. ამას დიდად შეუწყო ხელი თამაშის წესების დახვეწამ და ქულათა დათვლის სისტემის ავტომატიზაციამ. ბურთების ხარისხობრივი გაუმჯობესება და მათი "კაუჩუკური" ბუნების რეკლამირებამ წარმატებული ძვრები მოახდინა ბოულინგის პოპულარიზაციაში. ამასთან, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ბურთების დამაბრუნებელი მექანიზმის ავტომატური მოწყობილობის შექმნით. ბოულინგის ინდუსტრიაში ასეთი ტექნიკური პროგრესის წყალობით მოსახერხებელი გახდა მისდამი საყოველთაო ინტერესის გაღვივება. პოპულარიზაციის პროცესს დიდად შეუწყო ხელი სპეციალურმა ტელეგადაცემებმა ბოულინგის შესახებ.

ჯერ კიდევ 50-იან წლებში იყო პირველი მცდელობა ბოულინგის თამაშების სატრანსლაციოდ. ამ გარემოებამ სასიკეთოდ იმოქმედა ბოულინგის მასობრივ განვითარებაზე. NBC იყო პირველი ტელეარხი, რომლის ეთერითაც გადაიცა ბოულინგის ჩემპიონატი. ამის შემდეგ ეთერში გავიდა ტელეშოუ "გააკეთე ეს სფეარი", აგრეთვე, "პოპულარული ბოულინგი" და "ბოულინგი დოლარებად". 1961 წელს ABC-მ დაიწყო პროფესიონალ ბოულერთა ასოციაციის მიერ მოწყობილ შეჯიბრებათა გაშუქება. მისი ფუძემდებელი იყო იღბლიანი პრომოუტერი, მეწარმე და აგენტი ედი ელიასი. მის მიერ ჩამოყალიბებული შეჯიბრებათა სერია – PRO BOWLERS TOUR იყო პოპულარულ სპორტულ გადაცემათა ციკლი, რომელსაც დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს არა მარტო ამერიკაში, არამედ სხვა კონტინენტებზეც.

ამჟამად ბოულინგს მსოფლიოს 120 ქვეყანაში 100 მლნ-ზე მეტი ადამიანი თამაშობს. უდიდესი ბოულინგცენტრი, რომელსაც ჯერჯერობით ანალოგი არა აქვს, იაპონიაშია და იგი შედგება 141 ბილიკისგან. ასე რომ, ამერიკაში განვითარებული სპორტის ეს სახეობა თანდათან იპყრობს მთელ აზიასა და აფრიკის ქვეყნებსაც.

სპორტულ ინტერესს ისიც აღვივებს, რომ 2004 წლიდან ბოულინგი, როგორც სადემონსტრაციო სახეობა, შეტანილია ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. ბოულინგის საერთაშორისო ფედერაცია ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ ბოულინგმა ოლიმპიური სახეობის სტატუსი მოიპოვოს.

ბოულინგის ფედერაციის ეგიდით გრძელდება საერთაშორისო ტურნირები და ჩემპიონატები, როგორც სარეიტინგო, ისე კომერციული ხასიათის, რათა პროფესიონალ ბოულერებს შეეძლოთ დიდი ასპარეზობისთვის მზადება. იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართველი მოყვარული ბოულერებიც მალე პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბდებიან და თავიანთ სიტყვას იტყვიან ამ სარბიელზე.

მანამდე კი ესტუმრეთ თბილისის ბოულინგცენტრს, გაიკაჟეთ სხეული და გაიუმჯობესეთ სპორტული მაჩვენებელი.

**ბოულინგცენტრი გაცნობებთ, რომ დაარსებიდან 5 წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო ღონისძიების გასამართავად მიმდინარეობს მოყვარულ მოთამაშეთა მომზადება ტურნირში მონაწილეობისთვის.**

ფეხბურთი

## მსაჯი N1

### კოლინას ერა დასასრულს უახლოვდება

აკა ტონია

*წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი უკანასკნელი დიდი ტურნირი იქნება მის კარიერაში. მომავალ წელს 44 წლის პიერლუიჯი კოლინა თავის საერთაშორისო სამსაჯო კარიერას დაასრულებს. რას იზამ, ასაკობრივი ცენზი კოლინასაც ეხება. უკვე რამდენი წელია, რაც ის მსაჯთა სამყაროს ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად იქცა. კოლინა ერთმანეთის მიყოლებით მოიპოვებს ტიტულებს და სარეკლამო კონტრაქტებს. კარგა ხანია, რაც თავისი პოპულარობის წყალობით მილიონერად იქცა.*



კოლინა ბერდება

საინტერესო ამბავი მოხდა იტალიის ქალაქ ფოჯაში, როდესაც ადგილობრივი კლუბი "ბარის" ხვდებოდა. პირველ ტაიმში სტუმართა კარი იმ მხარეს იყო, სადაც "ბარის" გულშემატკივრები ისხდნენ. ასე რომ, ფოჯელები "ბარის" მეკარეს ვერ წვდებოდნენ. სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდა მეორე ტაიმის დაწყებას - შესვენების შემდეგ კარები შეიცვლებოდა და მათაც საშუალება მიეცემოდათ, სტუმარი გუნდის მეკარეს "მისალმებოდნენ". მაშხალები და ათასგვარი შეიარაღება უკვე მომზადებული ჰქონდათ, რომ "ბარის" მეკარისთვის შავი დღე დაეწიათ.

შესვენებისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა. გუნდები მოედანზე ბრუნდებიან. თუმცა... კარები არ იცვლება. "ფოჯას" ქომაგები განცვიფრებული არიან. მათ წინ, ისევე როგორც პირველ ტაიმში, ისევ მათი გუნდის მეკარემ დაიკავა ადგილი. რაშია საქმე? - მხარეები არ იცვლება. მსაჯმა ასე გადაწყვიტა.

მაგრამ ეს ხომ წესის დარღვევაა? - ცხადია. ყოველივე ამას სკანდალი არ მოყვება? - არა. ვისაც ჰგონია, რომ ფიფა-სა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მკაცრი კანონები ამ მატჩის მსაჯს დასჯიან, ძალიან ცდება. ამ მსაჯს მხოლოდ შეაქებენ, დასჯისა კი რა მოგახსენოთ...

მსაჯი, რომელმაც საკუთარი შეხედულებისამებრ, მატჩის მსვლელობისას შეხლა-შემოხლის თავიდან აცილების მიზნით ფეხბურთის ძირძველი კანონი დაარღვია, პიერლუიჯი კოლინა გახლდათ. სწორედ ის, მელოტი, გადმოკარკლული ცისფერი თვალებით. სწორედ ის, ვინც საფეხბურთო მოედანზე თავად არის კანონი...

სწორედ ასეთი ამბების გამო იქცა კოლინა იმად, რასაც ახლა წარმოადგენს. საკულტო ფიგურა, სუპერ-ვარსკვლავი, მოკლედ რომ ვთქვათ, კაცობრიობის უპირველესი მსაჯი. კოლინა ზედიზედ ექვსჯერ აღიარეს პლანეტის საუკეთესო მსაჯად. აბსოლუტური რეკორდია!

ამ კაცს ინტერნეტში საკუთარი ვებ-გვერდი აქვს (www.pierluigicollina.it), მის მიერ დაწერილი წიგნი "თამაშის ჩემეული წესები" ფინურ ენაზეც კი ითარგმნა და გამოიცა. ის კარგა ხნის წინათ მიიწვია თავისთან რომის პაპმა. ის რეგულარულად მონაწილეობს სარეკლმაო რგოლებში ბექჰემთან, რაულთან და ზიდანთან ერთად. მხოლოდ სარეკლამო საქმიანობიდან ყოველწლიურად 500 000 ევროს გამოიმუშავებს.

კოლინას გამოსახულებიან უზარმაზარ სარეკლამო პლაკატებს იაპონიაშიც კი შეხვდებით. იქ ის თევზეულს უწევს რეკლამას. საათების მწარმოებელმა ერთ-ერთმა კომპანიამ კი ტოპ-მოდელ ლეტიცია კასტას სამსახურზე თქვა უარი და, ამ ულამაზესი ქალის ნაცვლად, მის საათებს ახლა კოლინა უკეთებს რეკლამას. ცხოვრებაში ის ისეთივე თავდაჯერებულია, როგორც საფეხბურთო მოედანზე. მუდამ ცნობილი დიზაინერების ძვირფას ტანსაცმელშია გამოწყობილი და ფუფუნებას არასოდეს იკლებს.

ყველაფერი კი ერთ მშვენიერ შაბათ დღეს დაიწყო. 1960 წლის 13 თებერვალს, ბოლონიაში, სახელმწიფო მოხელე ელიას და სკოლის მასწავლებელ ლუსიანას პირველი და ერთადერთი შვილი შეეძინათ.

ბავშვობაში ფეხბურთს თამაშობდა და ფრანც ბეკენბაუერით იყო მოხიბლული. საყვარელი გუნდი არასოდეს ჰყოლია, ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთში. ბოლონიის "ფორტიტუდოს" კალათბურთელებს კი, მართლაც, გულშემატკივრობდა.

17 წლის იყო, როდესაც სკოლის მეგობარმა ფაუსტომ ურჩია, მსაჯის კურსებზე ევლო. სასტვენი არცთუ მთლად უცხო იყო მისთვის. ერთხელ, ბავშვობაში, როდესაც ტრავმა ჰქონდა, თავის კლუბ "პალავიჩინის" ვარჯიშზე იმსაჯა. კოლინა ფაუსტოს დათანხმდა და მსაჯის კურსებზე გაყვა. მაშინ საერთოდ არ უფიქრია, რომ ამ გზით ზღაპრულ კარიერას გაიკეთებდა. თავად ფაუსტო მსაჯის კურსებზე დაიწუნეს, რადგან მხედველობის პრობლემა აღმოაჩნდა, კოლინა კი დაიტოვეს.

მსაჯობამ პიერლუიჯი გაიტაცა, თუმცა, პირველ საქმედ მაინც "სერიოზული" სპეციალობა ამჯობინა და ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩააბარა. ის დღესაც ფინანსური მრჩეველია ვარეჯიოში, ტოსკანაში მდებარე ერთ-ერთ კურორტზე. აქვე მდებარეობს კოლინას მეუღლის, ჯანას კუთვნილი ძვირფასეულობის მაღაზია. პიერლუიჯი და ჯანა თავიანთ ქალიშვილებთან - ფრანჩესკა რომანასთან და კაროლინასთან ერთად ვარეჯიოში ცხოვრობენ.

თავიდან მსაჯობა მისთვის მხოლოდ გართობა იყო, თუმცა, ტალანტი და ამბიცია მაინც თავისას შვრებოდა. ნელ-ნელა კოლინა ზემოთ მიიწევდა და ბოლოს თავი ამოყო სერია A-ში, სადაც 1991 წელს თავისი დებიუტი იზეიმა. 1995 წელს კოლინა FIFA-ს მსაჯი ხდება. ერთი წლის შემდეგ თავის პირველ საერთაშორისო მატჩს მსაჯობს როტერდამში (ჰოლანდია-გერმანია). ამ შეხვედრის წინ მეტად საინტერესო ამბავი მოხდა: გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა დებიუტანტ მსაჯს თმის საშრობი უსახსოვრეს.

კარგი მსაჯისთვის აუცილებელი თვისება მაქსიმალურად ნაკლები შეცდომის დაშვებაა, თუმცა, უშეცდომო არც თვით კოლინაა. "შეცდომას ყველა უშვებს", - ამბობს კოლინა და იქვე იმასაც ამატებს, რომ ცხოვრებაში მსაჯის მიერ უდროო დროს მიცემულ სასტვენზე უფრო მძიმე შეცდომებიც არსებობს.

ერთხელ კოლინას უთქვამს, რომ სტადიონზე ბუზად ქცევას ნატრობს: "ადამიანის მხედველობა შეზღუდულია, ბუზს კი ყველა მიმართულებით შეუძლია ყურება - უკან, გვერდზე... ყველაფერს ერთბაშად აკონტროლებს. ბუზი რომ ვიყო, არაფერი გამომეპარებოდა".

სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად არის. კოლინაც უშვებს შეცდომებს, თუმცა, მისი გენიალობა სწორედ ის არის, რომ შეცდომებს იშვიათად უშვებს. და კიდევ მისი ისტორიები, იმის მსგავსი, დასაწყისში რომ გიამბეთ. გაიხსენთ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. მატჩის დამთავრებისთანავე კოლინა ოლივერ კანთან მივიდა და დამშვიდება დაუწყო, როდესაც კანი კარის ძელზე იყო მიყრდნობილი და ტიროდა. "მე ვიცი, რა მარტო იყო ის იმ მომენტში. მეკარეები და მსაჯები ერთ დღეში ვართ: თუ შენს საქმეს კარგად აკეთებ, ეს ნორმალურია, ხოლო როდესაც შეცდომა მოგივა, იდიოტი ხარ", - ამბობს კოლინა.

იდიოტი კი კოლინა ნამდვილად არ არის. ამიტომ არასოდეს დაუშვებს, რომ ვინმემ თავისი აზრი მოახვიოს თავს. მოედანზე ის თვით კანონია.

კიდევ ერთი ფაქტი: ერთ-ერთი მატჩის დროს კოლინას პიერლუიჯი კაზირაგი დაეჯახა. მსაჯმა თამაში გააჩერა და კაზირაგი დააჯარიმა. იტალიის ნაკრებისა და რომის "ლაციოს" თავდამსხმელი კოლინას გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და მას კედელივით აღუდგა წინ. კაზირაგი და კოლინა გამხეცებულები უყურებდნენ ერთმანეთს და ბოლო ხმაზე ყვიროდნენ. ამ ინციდენტის ამსახველი ფოტოები იტალიის ყველა გაზეთმა დაბეჭდა. "ხანდახან, როცა ჩემს თავს ვხედავ, მე თვითონაც მეშინია", - აღიარებს კოლინა. რას იზამ, ასეთია მსოფლიოს საუკეთესო მსაჯი, იმპულსური, ზოგჯერ არტისტულიც, მაგრამ ყოველთვის კორექტული. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ იმ შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ თავის საფოსტო ყუთში კოლინამ ასეთი შინაარსის წერილი აღმოაჩინა: "რაც უნდა მოხდეს, ჩემი შენდამი პატივისცემა და სიმპათია არასოდეს შეიცვლება. კაზირაგი".

კალათბურთი

## რეგულარული გაღმა გადის

სანდრო ნავერიანი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება და პლეიოფის დრო დგება. სეზონის ეს პერიოდი ბევრ კითხვაზე იძლევა პასუხს. თუ ესა თუ ის გუნდი სეზონის დასაწყისში ფავორიტი ან აუტსაიდერი გვეგონა, ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. რა თქმა უნდა, არა ყველა შემთხვევაში.

იმის მოყოლას არ დავიწყებ, ვინ არის ახალი ფავორიტი და ვინ – ძველი. მარტო იმას გეტყვით, რომ ყველაფერი, თავდაყირა თუ არა, არც ისეა, როგორც სპეციალისტებმა სეზონის დასაწყისში ივარაუდეს.

გუშინ, დილით (თბილისის დროით), ოკეანის გაღმა გაიმართა რეგულარული ჩემპიონატის სამი შეხვედრა, რომელთაგან ორი ცენტრალურ მატჩად იყო მონათლული.

პირველი ისტ რაზერში, "ნიუ-ჯერსი ნეთსის" საშინაო მოედანზე, "კონტინენტალ ეირლაინს არენაზე" გაიმართა. ადგილობრივმა ქსელებმა დეტროიტელი პისტონები მიიღეს. ორივე გუნდი დაცვით კალათბურთს თამაშობდა, რამაც შეხვედრა ნაკლებად სანახაობრივი გახადა. ასქულიანი ბარიერი არც ერთ გუნდს არ გადაულახავს. შარშანდელი ფინალისტი, "ნიუ-ჯერსი ნეთსი" არ იყო ოპტიმალურ ფორმაში და ეს პრივილეგია დეტროიტელმა პისტონებმა ასი პროცენტით გამოიყენეს. მათ შეხვედრა 89:71 მოიგეს. ბილაფსმა და კომპანიამ საკმარისი ძალა დახარჯეს იმისთვის, რომ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი დაემარცხებინათ. ნიუჯერსელთა შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო რიჩარდ ჯეფერსონი, რომელმაც 19 ქულა მოაგროვა. ქსელების ლიდერმა ჯეისონ კიდმა კი 10 ქულა და 5 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. დეტროიტელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი ჩონსი ბილაფსი იყო. მან 20 ქულა და 8 შედეგიანი გადაცემა გააკეთა, რიჩარდ ჰამილტონმა კი - 15 ქულა და 9 მოხსნა.




კევინ გარნეტი

მეორე ცენტრალური შეხვედრა სან-ანტონიოში, "ესბისი" ცენტრში, ადგილობრივ ჩლიქებსა და "მინესოტა თიმბერვულვზს" შორის გაიმართა. ამ მატჩში, "ნეთსი"-"პისტონზისგან" განსხვავებით, ფავორიტმა გაიმარჯვა. დალასელებმა დამაჯერებლად მოიგეს. მათ არავითარი შანსი არ დაუტოვეს მინეაპოლისელ მგლებს და 20 ქულის სხვაობით - 106:86 გაანადგურეს. დალასელთა შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო ტიმ დანკანი, რომელმაც 26 წუთი დაყო მოედანზე და 22 ქულისა და 10 მოხსნის გაკეთება შეძლო. დანკანის შემდეგ ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა ფრანგმა ლეგიონერმა, ტონი პარკერმა. მან 16 ქულა და 7 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. მინეაპოლისელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი, რაღა თქმა უნდა, ქეი ჯი (კევინ გარნეტის მეტსახელი.-რედ.) იყო. მან 28 ქულა და 12 მოხსნა გააკეთა. სემ კასელმა მის მიერ მოგროვებულ 21 ქულას 2 შედეგიანი გადაცემა და 3 მოხსნაც მიამატა.

მესამე, ნაკლებად საინტერესო შეხვედრა, მემფისში, "პირამიდის" პარკეტზე გაიმართა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ადგილობრივი გრიზლები და "სიეტლ სუპერსონიქსი". სიეტლელები უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ და მეტოქე 3 ქულის სხვაობით - 97:94 დაამარცხეს. გამარჯვებული გუნდის რიგებში ყველაზე შედეგიანი რეი ალენი და ვლადიმირ რადმანოვიჩი იყვნენ. მათ თავიანთ გუნდს 19-19 ქულა მოუტანეს. მასპინძელთა შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო ესპანელი ლეგიონერი პოუ გაზოლი, რომელმაც 21 ქულა შესძინა საკუთარ გუნდს.

| | |
|---|---|
| **ნიუ-ჯერსი – დეტროიტი** | **89:71** |
| **სან-ანტონიო – მინესოტა** | **106:86** |
| **მემფისი – სიეტლი** | **94:97** |

ძიუდო

# თბილისური ტატამი გიხმობთ

გიგა გურასაშვილი

*მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია ქვეყნები, რომლებსაც ძიუდოში ისეთი გრანდიოზული ტურნირების მასპინძლობის უფლება აქვთ, როგორიც A და სუპერ A კატეგორიის საერთაშორისო სალიცენზიო ასპარეზობებია. მათ შორისაა თბილისის A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც წლეულს 32-ედ მოეწყობა და, წინამორბედებისგან განსხვავებით, ბევრად წარმომადგენლობითი იქნება. მასპინძლები თბილისურ ტატამზე 35-40 ქვეყნის 300-მდე ძიუდოისტს ელიან.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*თბილისურ ტურნირზე ასეთებს წელსაც ნახავთ*

საქართველოს სპორტულ სამყაროს ერთ ღონისძიებაზე ასეთი რაოდენობის სტუმარი არასდროს ჰყოლია. თბილისურ ტატამზე მრავლად იქნებიან ისეთი ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ამინდს ქმნიან ძიუდოს სამყაროში. თბილისურ ტატამზე შეგიძლიათ ნახოთ ევროპული ძიუდოს ყველა მოწინავე სკოლა: საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, რუსეთი, იტალია... ერთადერთი, რაც ასპარეზობას გარკვეულწილად ხიბლს მოაკლებს, ძიუდოს ფუძემდებლების, იაპონელების არყოფნაა. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებს ძალიან კი უნდოდათ, თბილისური გამოწვევა მიეღოთ, მაგრამ იმ დროს იაპონელებს საკუთარი ჩემპიონატი აქვთ. უფრო სწორად, გასარკვევი აქვთ, თუ ვინ იასპარეზებს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე, ერთი სიტყვით, გუნდი აქვთ დასაკომპლექტებელი. დანარჩენები კი, თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, 3-4 აპრილს თბილისში, სპორტის სასახლეში მოიყრიან თავს. ტურნირს მოემსახურება უცხოელ მსაჯთა სოლიდური კორპუსი. და კიდევ...

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თბილისის საერთაშორისო ტურნირი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მოსახვედრ საგზურებს გაათამაშებს. თბილისური ასპარეზობა სალიცენზიოა, თანაც, ანალოგიურ ტურნირებს შორის იგი დასკვნითი, შემაჯამებელია, რაც შეჯიბრებისადმი ინტერესს აორმაგებს, არადა...

შარშან ასეთივე ტურნირს 1-2 თებერვალს ვუმასპინძლეთ. წლეულს თარიღის გადაწევაზე საქართველოში ბოლო დროს მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა იქონია გავლენა. იმის გამო, რომ იანვარში საპრეზიდენტო არჩევნები იყო, ევროპის ძიუდოს დირექტორთა საბჭოში გადაწყვიტეს, ტურნირი აპრილში დაენიშნათ. ასე რომ, 3-4 აპრილს ძიუდოს გულშემატკივრებს შეუძლიათ, დიდი სანახაობით იჯერონ გული.

როგორც სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი მეძმარიაშვილმა გვითხრა, სპორტის სასახლეში ასპარეზობებზე დასწრება უფასო იქნება. თუმცა, მანამდე ფინანსური პრობლემებია მოსაგვარებელი. მეძმარიაშვილთან შეხვედრა, რომელსაც ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელობა, ძეგლთა დაცვის, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თავმჯდომარის მოადგილე (სპორტის დარგში) თამაზ თევზაძე ესწრებოდნენ, სწორედ ამ საკითხზე მსჯელობასა და ტურნირის საორგანიზაციო მხარის მოგვარებას დაეთმო. დღემდე არ არის გამოყოფილი თანხა, დაახლოებით 250 ათასი ლარი, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირს ღირსეულად ვუმასპინძლოთ. შეჯიბრებამდე კი ორი კვირაღაა დარჩენილი. უცხოურ დელეგაციებს უკვე დაჯავშნილი აქვთ ბილეთები. მოსაგვარებელია მათი დაბინავების საკითხი. თუ თანხა დროულად არ გამოიყოფა, მკაცრ ფინანსურ სანქციებს ვერ გავექცევით, ძიუდოს ევროპული ოჯახიდან გაგვრიცხავენ და, რაც მთავარია, A კატეგორიის ტურნირის ჩატარების უფლებას ჩამოგვართმევენ. პრობლემები კი, მართლაც, თავსაყრელია. თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ დღემდე არაა მზად პრიზიორთათვის განკუთვნილი მედლები. დასამზადებელია თუ შესაძენია მონაწილე ქვეყანათა დროშები.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, მას, როგორც შეჯიბრების მასპინძელს, ოთხი ნაკრების გამოყვანის უფლება აქვს. აქედან გამომდინარე, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე 28 ძიუდოისტით წარვდგებით. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, შოთა ხაბარელის თქმით, ნაკრები ქვეყნის ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით დაკომპლექტდება. იჭიდავებს პირველი ოთხეული. რაკი საქართველოს ნაკრებს 6 ლიცენზია უკვე მოპოვებული აქვს, ხაბარელმა განიზრახა, რამდენიმე ლიცენზიის მქონე მოჭიდავე დაასვენოს. ასე რომ, ნაკრებში გარკვეული კორექტივები იქნება.

ფორმულა 1

# თუ ასე გააგრძელებს, გზიდან გადავაგდებ!

## რალფ შუმახერი ხუან პაბლო მონტოიას ომს უცხადებს

ნინო პირველი



*რალფ შუმახერი: "მონტოიას გზიდან გადავაგდებ"*

ისინი 2004 წლის ოქტომბრამდე კოლეგები არიან და ერთი გუნდის ინტერესებს იცავენ, მაგრამ იმდენად ცუდი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, რომ მათი მეგობრობა სრულიად გამორიცხულია. "უილიამსის" ამბიციურ პილოტებს, რალფ შუმახერსა და ხუან პაბლო მონტოიას სულ უფრო მეტად უჭირთ თავის შეკავება და სეზონის ბოლომდე ერთმანეთის ატანა. ავსტრალიის რბოლა ლამის განხეთქილების მიზეზად იქცა. მას შემდეგ, რაც რბოლის სტარტზევე "რენოს" ესპანელმა პილოტმა ფერნანდო ალონსომ მოულოდნელი მანევრით გაუსწრო მონტოიას და იგი გზიდან გაზონზე გადააგდო, კოლუმბიელი ისე გააცოფა პოზიციისა და დროის დაკარგვამ, რომ აღარაფერს მოერიდა და ჯიუტად მოინდომა, წინ მიმავალი რალფ შუმახერისთვის გაესწრო. რალფმა თანაგუნდელი არ გაატარა და კინაღამ ორივე გზიდან გადავარდა. ამ ინციდენტმა კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია. მონტოია და უმცროსი შუმახერი უკვე საჯაროდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. "როცა ჩემთან იწყებს ბრძოლას, რალფი უფრო მეტი ყურადღებით უნდა იყოს. ჩვენ ისე განვსხვავდებით ერთმანეთისგან, როგორც დღე და ღამე. აქვე შემიძლია განვაცხადო, რომ მე დღე ვარ", - უცნაური რამ თქვა მონტოიამ, რამაც რალფი საბოლოოდ გამოიყვანა მოთმინებიდან. "მაინც რა უნდა ჩემგან? ვერ გამიგია, რას მედავება. თუ ასე გააგრძელებს, შემდეგ რბოლაზე გზიდან გადავაგდებ! მელბურნში საშინელი პრობლემები შემიქმნა, ჩემი თავიდან მოშორება უნდოდა. როცა მოსახვევში გიჟივით შევარდები იმ იმედით, რომ შენს წინ მიმავალი პილოტი ან გზას დაგითმობს, ან შენთან ერთად გადავარდება ტრასიდან, ეს აშკარად მცდარი მეთოდია გამარჯვებისთვის ბრძოლაში", - გაბრაზდა უმცროსი "შუმი". მისმა აგრესიულმა შეტევამ, მონტოიას გზიდან გადავაგდებო, "მაკლარენის" შოტლანდიელი პილოტი დევიდ კულჰარდი აღტაცებაში მოიყვანა: "ყოჩაღ, ძალიან მაგარია!", - შესძახა კულჰარდმა. მერე მიხვდა, რომ ასეთი რამ ხმამაღლა არ უნდა ეთქვა და მორცხვად მოიბოდიშა: "უკაცრავად, ამის თქმას არ ვაპირებდი, უბრალოდ, გავიფიქრე."

კულჰარდს თავისი ანგარიშები აქვს რალფ შუმახერთან. ის უკვე კარგა ხანია, რალფს ეჩიჩინება, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტე, მომავალ სეზონში რომელ გუნდში აპირებ გადასვლასო. საქმე ის არის, რომ რალფი ძალიან უშლის ხელს კულჰარდს მომავლის დაგეგმვაში. მომავალ წელს შოტლანდიელს "მაკლარენში" აღარ დაედგომება. 2005 წლიდან კიმი რაიკონენის მეწყვილე და მეორე "ვერცხლისფერი ისარი" ხუან პაბლო მონტოია გახდება. ამის გამო კულჰარდს აუცილებლად სჭირდება სხვა გუნდის მოძებნა. შოტლანდიელი სიამოვნებით გადავიდოდა იაპონურ "ტოიოტაში", ამ საჯინიბოსთან კონტექსტში რალფ შუმახერის გვარი რომ არ ფიგურირებდეს. როგორც გერმანული პრესა ირწმუნება, "ტოიოტა" რალფისთვის 19 მილიონი ევროსა და ორწლიანი კონტრაქტის შეთავაზებას აპირებს. თუ რალფი "ტოიოტაში" წავა, კულჰარდს ეს შესაძლებლობაც დაეკარგება და ისევ სხვა გუნდი გაუხდება საძებარი. სწორედ ამიტომ სურს შოტლანდიელს, ვითარებაში გაერკვეს, რასაც, რალფის გადამკიდე, ვერაფრით ვერ ელირსა. უმცროს "შუმის" წარმოდგენა არა აქვს, სად გააგრძელებს კარიერას მომავალში. მისი მენეჯერი ვილი ვებერი ცოტა ხნის წინ ამტკიცებდა, ჩემი კლიენტის გადაბირებით ფრანგული "რენო" დაინტერესდაო, რითაც შოკში ჩააგდო "რენოს" ორივე პილოტი. ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ იარნო ტრული და ფერნანდო ალონსო ერთგული ფინიებივით თვალებში შესციცინებდნენ ფლავიო ბრიატორეს და ცდილობდნენ, გაერკვიათ, მართლა აპირებდა თუ არა "რენოს" იტალიელი პლეი ბოი გუნდიდან მათ გაშვებას. ფლავიო ბრიატორეს, რომლის გვარიც არასოდეს ჩამოდის ყვითელი პრესის ფურცლებიდან, მთელი თავისი ბოჰემური ცხოვრებისა და ნაირ-ნაირ ქალებთან ფლირტის მიუხედავად, ბიზნესი მუდამ უმაღლეს დონეზე აქვს მოწესრიგებული. მან ყოველთვის ზუსტად იცის, როდის რა უნდა გააკეთოს. რალფ შუმახერის ჩემპიონად ქცევა ჯერჯერობით მის გეგმებში არ შედის. ვილი ვებერის სარეკლამო ტრიუკს, რომელიც ფრენკ უილიამსის დასაშინებლად იყო გამიზნული - აქაოდა, თუ რალფს 18 მილიონ ევროს არ გადაუხდი, "რენოში" წავაო, დიდი წარმატება არ მოჰყოლია. ბრიატორემ ამაყად აიჩეჩა მხრები და ცივად განაცხადა, რალფ შუმახერის დასაქმება არც მიფიქრიაო. ჟურნალისტებმა ბოლომდე არ დაუჯერეს "რენოს" ბოსს და არ გამორიცხეს რალფის "რენოში" გადასვლის შესაძლებლობა. ამგვარად, როცა უმცროსი "შუმის" მომავალ გუნდზე იწყებენ ლაპარაკს, "ტოიოტასთან" ერთად იქვე "რენოსაც" მოიხსენიებენ ხოლმე, თუმცა, არც იმის შესაძლებლობას გამორიცხავენ, რომ რალფი მომავალ წელსაც "უილიამსში" დარჩება. ყოველ შემთხვევაში, თავად ფრენკ უილიამსს ამის სურვილი ნამდვილად აქვს, ოღონდ რალფი ცოტა უფრო მოკრძალებულ ჰონორარს უნდა დასჯერდეს. "მე რალფს უკვე გავაცანი ჩვენი პირობები და მივეცი გუნდში დარჩენის წინადადება. თუ ჩვენგან არ წავა, მოუწევს, იმაზე ნაკლები ხელფასით დაკმაყოფილდეს, ვიდრე ახლა აქვს. თავად უნდა გადაწყვიტოს: ან "ტოიოტა" ან "უილიამსი", - აცხადებს ფრენკ უილიამსი.

ამასობაში კი მალაიზიის ტურნირიც მოახლოვდა - როგორც სპეციალისტები ამბობენ, ყველაზე ცხელი და ყველაზე რთული რბოლა მთელი სეზონის განმავლობაში. ვნახოთ, ამ აუტანელ სიცხეს ვინ უფრო გაუძლებს.

## საქართველოს ჩემპიონი



**ლადო გეგეშიძე**

წყალბურთი

რუბრიკას უძღვება
*ზვიად გიორგაძე*

| | |
|---|---|
| *დაბადების თარიღი:* | 1988 წლის 10 თებერვალი |
| *სიმაღლე:* | 187 სმ |
| *წონა:* | 84 კგ. |
| *ოჯახური მდგომარეობა:* | დედა, მამა, და, ძმა |
| *ტიტულები:* | ბავშვთა ოლიმპიური ჩემპიონი 2002 წელს) ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (2002 წელს) ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონი (2003 წელს) საქართველოს ჩემპიონი (2004 წელს) |
| **პირველი მწვრთნელი:** | ოთარ ტატიშვილი |
| **პირველი გამარჯვება:** | 1997 წელს თბილისის ღია ჩემპიონატზე, პირველი ადგილი |
| **ყველაზე დიდი მიღწევა:** | 2004 წელს საქართველოს ჩემპიონობა |
| **ბავშვობის ოცნება:** | 9 წლის ასაკში მინდოდა ფეხბურთელობა |
| **ყველაზე დიდი იმედგაცრუება:** | 2002 წელს, ევროპის ჩემპიონატის ფინალში 5:3 ვიგებდი და 8:9 დავმარცხდი |
| **უხერხული მოწინააღმდეგე:** | ბაკერი. თურქეთი |
| **საყვარელი ილეთი:** | ე.წ. "სვეჩკის" დარტყმა. |
| **თქვენი აზრი ქართული სპორტის შესახებ:** | სპორტსმენები ნიჭიერები არიან, მაგრამ მეტი მონდომებაა საჭირო |
| **რა გაღიზიანებთ, რა გახარებთ:** | მაღიზიანებს ტყუილი, მახარებს გამარჯვება |
| **კურიოზი:** | ნორვეგიაში, გამარჯვების შემდეგ, გახარებული, ვიღაც ნორვეგიელს გადავეხვიე და გადავკოცნე |
| **ჰობი:** | ნადირობა |
| **საყვარელი მსახიობი:** | რობერტ დე ნირო |
| **საყვარელი ფილმი:** | "ბრიგადა" |
| **საყვარელი მწერალი:** | ალექსანდრე ყაზბეგი |
| **საყვარელი წიგნი:** | "დათა თუთაშხია" |
| **საყვარელი მუსიკოსი:** | ბობ მარლი |
| **რომელ სამზარეულოს ანიჭებთ უპირატესობას:** | ქართულს |
| **საყვარელი კერძი:** | ქაბაბი |
| **საყვარელი სასმელი:** | კონიაკი, წითელი ღვინო |
| **ვისთან ერთად იქეიფებდით:** | "ქართულ ხმებთან" |
| **სად იცხოვრებდით საქართველოს გარდა:** | იტალიაში |
| **რომელ კურორტზე დაისვენებდით:** | ბარსელონაში |
| **რას მოისმენდით საკუთარ თავზე:** | პირველ რიგში, პატრიოტია |
| **მიზანი:** | ოლიმპიური ჩემპიონობა |
| **დევიზი:** | რასაც დათესავ, იმას მოიმკი |

TV-სპორტი

**შაბათი. 20 მარტი**

**НТВ+ ФУТБОЛ**

07:30 NBA TV – NBA შიგნიდან
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2003. ფინალი. "NEW JERSEY NETS" - "SAN ANTONIO SPURS". მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "რეალი" – "ბავარია". საპასუხო მატჩი
15:10 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
15:40 "დარტყმა გოლისთვის"
15:55 "ყველაზე სასაცილო ლიგა"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "მონაკო" – "ლოკომოტივი". საპასუხო მატჩი
18:20 სახვალიო ტელეპროგრამა
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:20 თავისუფალი დარტყმა
20:35 რუსეთის ჩემპიონატი. მინი-ფეხბურთი. "სპარტაკი" – "ნორილსკ ნიკელი"
21:30 ინგლისის ჩემპიონატი. "ნიუკასლი" – "ჩარლტონი". პირდაპირი ტრანსლაცია
23:25 იტალიის ჩემპიონატი. "ლაციო" – "რომა". პირდაპირი ტრანსლაცია
01:20 თავისუფალი დარტყმა
01:35 უკრაინის ჩემპიონატი. "დნეპრი" - შახტიორი"
03:20 03:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. ოვერტაიმი: ჰაკიმ ოლაჯუონი
04:30 NBA TV – NBA შიგნიდან
05:00 NBA TV. დღიური
05:30 NBA TV. "SAN ANTONIO SPURS" - "DENVER NUGGETS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

10:00 "ჰარმონიის ფორმულა"
11:00, 17:00, 21:30 პრესცენტრი
11:15, 21:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 ჩოგბურთი. "Masters Series" ინდიანა-უელსი (აშშ). მეოთხედფინალები. შესვენებისას (14:00) – პრესცენტრი
15:30 "ყინულის ხანა". გადაცემა ჰოკეიზე
16:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
17:15 "ფრისტაილი" ტელეჟურნალი
17:45 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
18:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
19:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "DETROIT PISTONS" - "DENVER NUGGETS"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "საუკეთესო არქივიდან". ბრძოლა K1-ის ვერსიით. საერთაშორისო ტურნირი. გრან-პრი. ფინალი
00:00 ჩოგბურთი. "Masters Series" ინდიანა-უელსი (აშშ). ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
13:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
14:30 შორტ ტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი შვედეთში
16:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი ბელგიაში
17:45 შორტ ტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი შვედეთში
19:30 სნუკერი. ევროპის ღია ჩემპიონატი
21:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
22:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო) იაპონიაში
23:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო) იაპონიაში
00:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
01:00 კიკბოქსინგი. საერთაშორისო შეჯიბრება
03:00 ახალი ამბები
03:15 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

# გულახდილად










უკვე ორი წელიწადი სრულდება, რაც მამაჩემი, მხატვარი კოკა იგნატოვი გარდაიცვალა. კოკა ხატვით ცხოვრობდა. ეს იყო მისი მუშაობაც, დასვენებაც და ჰობიც. ხატავდა, როდესაც ტელევიზორს უყურებდა, ტელეფონზე ლაპარაკობდა, სტუმრებს ღებულობდა. ხატავდა ტილოებზე, მუყაოზე, ქაღალდის დიდ ფურცლებზე და პატარა ნაგლეჯებზეც. ხატავდა ყველაფერზე და ყველაფრით, რაც ხელში მოხვდებოდა. თავისი პროფესია ძალიან, ალბათ, ყველაზე მეტად უყვარდა, მაგრამ არანაკლებად ნახატების ჩუქება სიამოვნებდა. არც ერთი მისი მეგობარი არ არსებობს, რომელსაც კოკას ნაჩუქარი ერთი ნახატი მაინც არ ექნება, არავინ მოსულა ჩვენთან, რომ თუნდაც სულ პატარა ჩანახატით არ წასულიყო. სწორედ ამიტომ, არც ისე ბევრი ფერწერული ტილო შემორჩა სახლში, სამაგიეროდ, უამრავი გრაფიკული ნახატები, სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოების ილუსტრაციები, ესკიზები. უმეტესობა არასდროს გამოქვეყნებულა, გამოფენილა და საზოგადოებას არ უნახავს. ჩემს თავს უფლებას ვაძლევ, მის მიერ შექმნილი ძველი ქართული ანბანის ესკიზების ნაწილი წარმოგიდგინოთ. ნუ გამკიცხავთ, რომ უპირატესობით ვსარგებლობ და გაზეთის საშუალებით მამაჩემის ერთ-ერთ ნამუშევარს გაცნობთ, რომლებიც მე, სუბიექტურად, მომწონს და იმედი მაქვს, რომ თქვენც დაგაინტერესებთ.








# მანქანა მოიპარეს!

ერთი-ორი წლის წინ, საღამოს 8 საათისთვის სახლთან ჩემი ძველი, 15 წლის მანქანა მოიპარეს. მანქანა იმდენად არ დამენანა, რამდენადაც საშინელი, უცნაური გრძნობა დამეუფლა. როდესაც გამოდიხარ და ადგილი, სადაც მანქანა დააყენე, ცარიელი გხვდება, წამების განმავლობაში გეჩვენება, თითქოს რაღაც შეგეშალა და სრულიად ალოგიკურ ადგილებში იწყებ მანქანის ძებნას. პირველი შოკის შემდეგ, როგორც წესი და რიგია, მილიციაში წავედით, მანქანის დაკარგვის შესახებ განვაცხადეთ და საქმიანი რჩევაც მივიღეთ. სამართალდამცველებმა გამათვითცნობიერეს, რომ ასეთ ძველ მანქანებს, უმეტესად, შლიან და ნაწილებად ყიდიან, იშვიათად ოსეთში გაყავთ და თუ მანქანის რეალურად პოვნა გვინდა, სასწრაფოდ კანონიერ ქურდებს უნდა მივმართოთ, რომლებიც, თვითკრიტიკით აღსავსე პოლიციელების თქმით, ბევრად უფრო ეფექტურად "მუშაობენ". რჩევა მივიღე და შევასრულე კიდეც. ჩემს სკოლაში ერთი სიმპათიური ბიჭი სწავლობდა, რომელიც შემდგომ კანონიერი ქურდი გახდა. ამ ბიჭის ძებნა დავიწყე. როგორც იქნა, მივაგენი და დახმარება ვთხოვე. ნახევარ საათში ჩემს მობილურზე ნომრის დაფიქსირების გარეშე ზარი შემოვიდა და იცით საიდან - ციხიდან! პატიმარი ქურდი განსაკუთრებული ზრდილობით ჩემი მანქანის მონაცემებს მეკითხებოდა და დიდი პატივისცემით შემპირდა - "ქალბატონო, ერთი საათის განმავლობაში ყველაფერს გაგირკვევთ და გადმოგირეკავთ". ასე ზუსტად, ოპერატიულად, ნეტა, რამე სხვა სისტემაც მუშაობდეს! ერთ საათში ციხიდან ისევ ზარი შემოვიდა და ჩემი გაუბედურებული მანქანის ასავალ-დასავალი, მდგომარეობა შევიტყვე. გამარკვიეს, სად უნდა მივსულიყავი, სად იდგა. ნახევარ საათში უკვე საჭესთან ვიჯექი. მთელ ამ ოპერაციას ორი საათიც არ დასჭირდა. მგონი, მართლაც, საკმაოდ ოპერატიულად იმუშავეს, თანაც ათასი ბოდიში მომიხადეს. ერთი კვირის შემდეგ მილიციიდან მოვიდნენ ამბის გასაგებად და მათი დროული რჩევის შედეგად, ფაქტობრივად, მათი დახმარებით, მანქანა დაბრუნებული რომ დახვდათ, მათ გულწრფელ სიხარულსა და სიამაყეს საზღვარი არ ჰქონდა.

რამდენიმე დღის წინ ჩემს ახლო ამხანაგს სახლთან მანქანა მოპარეს, თანაც, გაიგონა, დაინახა, როგორ იპარავდნენ. გაეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია. ბუნებრივია, პოლიციას მიმართეს და საკმაოდ მაღალჩინოსნებიც შეაწუხეს. ჯერჯერობით უშედეგოდ. პოლიცია ფასიან რჩევებს აღარ იძლევა, თვითონ კი ვერ პოულობს. ჰოდა, ჩემი ამხანაგი მანქანის გარეშე დარჩა და მანქანაზე მეტად ასე ოპერატიულად მომუშავე ქურდებს მისტირის, რომლებსაც დღეს მუშაობის საშუალება აღარ აქვთ. არ გეგონოთ, რომ ქურდების დამცველად გამოვდივარ, უბრალოდ, მინდა, რომ მანქანებს ან საერთოდ არ იპარავდნენ, ვერ შლიდნენ და ვერ გაყავდეთ, ან თუ მოგპარავენ, დამბრუნებლად ვინმე მაინც გეგულებოდეს. ეგება, ციხეში მყოფმა და ბევრი თავისუფალი დროის მქონე ქურდებმა ლექცია-კონსულტაციები ჩაუტარონ პოლიციელებს, თუნდაც ერთ მარტივ თემაზე - "როგორ ვიპოვოთ მოპარული მანქანა".

**P.S.** ვაშა! გუშინ მანქანა გორში მოიძებნა, თანაც პოლიციელების დახმარებით! ეტყობა, იმეცადინეს, თურმე შეძლებიათ. აი, რას ნიშნავს მონდომება! ერთადერთი, რაც მაინტერესებს - რატომ გორში? ვეჭვობ, რომ ცხინვალში მანქანების გადაყვანის გზა ჯერ ბოლომდე გადაკეტილი არ არის, რაც სასწრაფოდ ყურადღებამისაქცევია. ეს ჩემი რჩევაა, რომელსაც პოლიციას ჩემდამი თავის დროზე მოცემული რჩევის საპასუხოდ ვაძლევ. თუმცა, მგონია, რომ მათ ეს ჩემზე უკეთ იციან, ისევე, როგორც მე ორი წლის წინ მშვენივრად ვიცოდი, ვინ უფრო შედეგიანად მოძებნიდა ჩემს მანქანას.

# ქალსაც გაარჩნია








ბოლო ერთი კვირა მთელი საქართველო შეძრწუნებული, შეშფოთებული იჯდა ტელევიზორთან, ინფორმაციიდან ინფორმაციამდე ატარებდა დღეს, ნებისმიერ პოზიტიურ სიახლეს ელოდებოდა და იმედს არ კარგავდა. ჩოლოქის ორივე მხარეს, უბრალო მოსახლეობა, რიგითი ქართველები დაძაბულად ადევნებდნენ თვალყურს, როგორ წარიმართებოდა მოქმედებები. ხალხი კამათობდა, მსჯელობდა, ნერვიულობდა, არჩევდა და აანალიზებდა. ერთი რამ კი ყველამ იცოდა - კონფლიქტი ყოველგვარი ძალადობის, მით უმეტეს, სისხლისღვრის გარეშე უნდა მოგვარებულიყო. ყველა ღელავდა.

თბილისი-ბათუმის მოლაპარაკება შედგა. კონფლიქტი, ნაწილობრივ მაინც, აღმოიფხვრა. ქვეყანამ ამოისუნთქა. ამდენი პრობლემისგან საქართველო დაიღალა, სიმშვიდე უნდა და ისეთ დროს ნატრულობს, როდესაც პოლიტიკა აქტუალური აღარ იქნება, როდესაც ჩვენი თვალი და ყური ისეთი პოლიტიკოსებისგან დაისვენებს, რომლებიც მწვავე მომენტში ტურებივით ჩნდებიან, გაუთავებელი პროვოკაციებით კიდევ უფრო ართულებენ, ამწვავებენ სიტუაციას და ამას, არც მეტი - არც ნაკლები, პოლიტიკურ მოღვაწეობად, კურსად ასაღებენ. მაგრამ რამდენად საღდება, ეს უკვე საკითხავია! საზოგადოება მოგონილი პოლიტიკოსებისადმი უკიდურესად გაღიზიანებულია და მისთვის ჩვეულ ლოიალობასაც ვეღარ ინარჩუნებს. ყველაფერს საზღვარი აქვს, საზოგადოების მოთმინებასაც კი. ირინა სარიშვილის, გურამ შარაძის, შალვა ნათელაშვილის, თემურ ჟორჟოლიანისა და სხვების მოსმენა და, მით უმეტეს, ყურება, აღარ შეიძლება. იმის ფასი რა დავაშავეთ, რომ ამ "პოლიტიკოსების" ავანტიურიზმის მუდმივი მსხვერპლი უნდა ვიყოთ. საერთოდ, ვინ არიან და რატომ აშუქებს მასმედია ყოველ მათ სიტყვას? ნუთუ ვინმე ამას პოლიტიკურ მოღვაწეობად აღიქვამს? სარიშვილისეულ ხან ვისი და ხან რაში პერმანენტულ "მხილებას" რატომ უნდა გვასმენინებდეთ. ერთ გაუბედურებულ და შესაბამისად, გაბოროტებულ, პოლიტიკურ ავანტიურისტ ქალს ამდენი სიბინძურე, ტყუილი, შანტაჟი, პროვოკაცია როდემდე უნდა შერჩეს? მისი ამოუწურავი საიდუმლო ინფორმაციებით ხან ვიღაცა რაღაცის აგენტია, ვიღაცას ვიღაცის ლიკვიდაცია აქვს ჩაფიქრებული და ახლა, ბოლოს, ბათუმის შტურმი ყოფილა დაგეგმილი. თანაც, სარიშვილმა ყოველთვის ზუსტი გეგმა, დრო, საათი დანამდვილებით იცის. ძალიან მაინტერესებს, "პოლიტიკოსი" ამგვარ ამბებს სად იგებს? ჩემი აზრით, სარიშვილი საპარიკმახეროში ისეთი სიხშირითა და მონდომებით ივარცხნის თმებს, რომ ეტყობა, ამ ინფორმაციებსაც დალაქებისგან იღებს. აბა, ვინ რას მოუყვება, სერიოზულად ვინ დაელაპარაკება? უმჯობესი იქნება, ჟურნალისტები პირველწყაროს ესაუბრონ და პარიკმახერებს დაუსვან შეკითხვები, ეგება, უფრო კონსტრუქციული და რეალური ინფორმაცია მოგვაწოდონ, თორემ გამოდის, რომ გაფუჭებულ ტელეფონს გვეთამაშებიან.

"პოლიტიკოსმა" ბათუმის "შტურმის" შესახებ გაიგო თუ არა, თმა დაივარცხნა და საკუთარი ჰეროიზმის და თმის ვარცხნილობის დემონსტრირებისთვის აჭარაში მიმავალ გზას დაადგა. ბათუმში ტენიანი და, შესაბამისად, თმის ვარცხნილობისთვის არახელსაყრელი ჰავაა, მაგრამ საპარიკმახეროები იქაც არის, სადაც ასეთივე, ქვეყნის ამბების მცოდნე ოსტატები მუშაობენ. "პოლიტიკოსი" მივლინებაში დროს უქმად არ დაკარგავს და გალამაზებასთან ერთად, საჭირო ინფორმაციებსაც მოაგროვებს, რომლებსაც მოგვიანებით 50-100-კაციან მიტინგზე მიზანმიმართულად "გახეთქავს", ჩვენი მასმედია კი "სენსაციად" აღიქვამს. თუმცა, ირინა სარიშვილი, დიდი სურვილისა და მცდელობის მიუხედავად, ვერავის ვნებს და მხოლოდ საკუთარ "რენომეს" აბითურებს, ბრიფინგს ბრიფინგზე მართავს, ბომბს ბომბზე ხეთქავს, სულ უფრო და უფრო მარტო რჩება, ჟურნალისტებს ატყუებს, ჩვენ კი, ისედაც დაძაბულ პერიოდში, ფსიქოლოგიურ დივერსიას გვიწყობს. ვერაფერი გამიგია იმ პოლიტიკოსებისაც, რომლებიც მის გვერდზე დადგომას არ თაკილობენ. მათ რიგებში სარიშვილის გამოჩენა და დისკრედიტაცია ერთი რომ არის, ამას, წესით, ყველა უნდა გრძნობდეს. ქუჩის პოლიტიკოსს ირაკლი წერეთელს, შავსათვალეებიან მართლმადიდებლობის დამცველ შარაძეს, ფსიქიკურად არამდგრად, ერთ ადგილზე მოხტუნავე, კივანა ადა მარშანიას, გაუგებარ ჟორჟოლიანს, გასაგებ ნუგზარ მოლოდინაშვილს და სხვა, ამგვარ პოლიტ-პერსონაჟებსაც კი, სარიშვილის თანაგუნდელობა, მის გვერდზე დგომა არ უნდა აწყობდეთ, ვინაიდან მათ ისედაც საწყალ მიტინგზე ირინას გამოჩენა თავყრილობას კიდევ უფრო ასაწყლებს და აბითურებს, მისი უპრინციპობა მათ უპრინციპობასაც კი აღემატება.

სადაც სარიშვილია, იქ ყველაფერი წინასწარ ცნობილია. მის ბრიფინგზე წასვლა ზედმეტი დატვირთვაა და პრესკონფერენციების ტრანსლაცია კი ასეთი ღირებული საეთერო დროის ფუჭი ხარჯვა, მით უმეტეს, დღეს, როდესაც ქვეყანა, მართლაც, სერიოზული პრობლემების წინაშეა და პამპულობის არც დრო და არც ნერვები აღარავის აქვს.

# ძველი კართაგენიდან თანამედროვე ტუნისამდე

20 მარტი - ტუნისის ეროვნული დღესასწაულია

ეკა გვახარია



ახალი ტუნისი



ძველი ტუნისის ბაზარი



ქალაქის ცენტრში

**ტუნისი** – ქვეყანა ჩრდილო აფრიკაში.

**დედაქალაქი** - ტუნისი

**ფართობი** - 164 ათასი კვადრატული კმ.

**ოფიციალური ენა** - არაბული, ფრანგული.

**ფულის ერთეული** - ტუნისის დინარი (1 აშშ დოლარი – 1,42 ტუნისის დინარი).

**მოსახლეობა** - 9,6 მილიონი ადამიანი.

**ეთნიკური შემადგენლობა** - ტუნისელი არაბები – 98 %, ბერბერები – 1 %, ევროპელები – 1 %.

**სახელმწიფო რელიგია** - სუნიტური მიმართულების ისლამი.

**კლიმატი** - სუბტროპიკული, ტროპიკული.

**სახელმწიფო წყობა** - საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

**ეროვნული დღესასწაული** – 20 მარტი დამოუკიდებლობის დღე

იცხოვრო ისე, რომ არ ნახო ტუნისი, დიდი შეცდომაა. ეს ჩრდილო აფრიკული სახელმწიფო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ტუნისში არის ყველაფერი: სიძველის თაყვანისმცემლები აქ იხილავენ უძველესი ცივილიზაციის ძეგლებს, თანამედროვე ტურიზმის მოყვარულები ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე ფეშენებლურ სასტუმროებში დაისვენებენ, ხოლო თავგადასავალთა მაძიებლებს უდაბნო საჰარა ელოდებათ.

ქვეყნის უნიკალურმა მდებარეობამ სავაჭრო გზების გადაკვეთაზე, რომელიც აკავშირებს ახლო აღმოსავლეთს, ეგვიპტეს, ლიბიას, საბერძნეთს, იტალიას საფრანგეთსა და ესპანეთს, გამოიწვია ის, რომ, როგორც ამბობენ, ტუნისი არ დაუპყრია მხოლოდ ზარმაცებს.

ტუნისის ტერიტორიაზე ადამიანი უძველესი დროიდან სახლობდა. ძველი წელთაღრიცხვით მეცხრე საუკუნეში ფინიკიელებმა შექმნეს მონათმფლობელური ქალაქ-სახელმწიფო კართაგენი, რომელმაც ძველი წელთაღრიცხვით მეორე საუკუნემდე იარსება. კართაგენი რომის იმპერიას დიდ სირთულეებს უქმნიდა. ცნობილია, რომ ერთ-ერთი რომაელი პოლიტიკური მოღვაწე კატონ ცენზორი სენატში თავის გამოსვლებს ყოველთვის ამთავრებდა სიტყვებით: Delenda est Carthago, რაც ნიშნავს - "კართაგენი უნდა დაინგრეს". პუნიკური ომების შედეგად, იულიუს კეისრის მეთაურობით კართაგენი, მართლაც, დაინგრა. ახალი წელთაღრიცხვით მეხუთე საუკუნეში ქალაქი დალაშქრეს ვანდალებმა, შემდგომ ბიზანტიელებმა. მეშვიდე საუკუნის ბოლოს არაბები გამოჩნდნენ, რომლებმაც დანგრეული ქალაქ კართაგენის ქვები გამოიყენეს ქალაქ ტუნისის მშენებლობისათვის. არაბები შეცვალეს ოსმალებმა. ხოლო 1956 წლამდე ტუნისი ითვლებოდა საფრანგეთის პროტექტორატის შემადგენელ ნაწილად.

ტუნისი, ისევე როგორც დღეს, უძველეს დროშიც საკმაოდ პოპულარულ კურორტად ითვლებოდა. ასე იყო ფინიკიელების, ძველი ეგვიპტელებისა და რომის იმპერიის პერიოდში. მაგალითად, ცნობილია, რომ თვით იულიუს კეისარი სამკურნალოდ დადიოდა ტუნისში - თერმული წყლების აბაზანებს იღებდა.

დღევანდელი ტუნისი უძველესი ცივილიზაციებისა და თანამედროვეობის არჩეულებრივი შერწყმაა. აქ ნახავთ ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროს აგებულ ამფითეატრებს, ტრიუმფალურ თაღებს, თერმებს, ასევე - ბერბერების მიწისქვეშა გამოქვაბულებს, რომელთა სიღრმე ზოგჯერ 10 მეტრს აღწევს და აქ დღესაც ცხოვრობენ ადამიანები. ეს ადგილი, რომელიც ძალიან მოგვაგონებს მთვარის პეიზაჟს, ცნობილმა ამერიკელმა რეჟისორმა სტივენ სპილბერგმა გამოიყენა ცნობილი ფილმის "ვარსკვლავური ომების" გადაღებების დროს; მრავლადაა მუსულმანური მეჩეთები, რომელთა შორის გამოირჩევა მავრიტანულ სტილში აგებული ზიტუნისა და სიდი-ბუ-საიდის მეჩეთები. კუნძულ ჯერბაზე მდებარეობს 26 საუკუნის წინ აგებული ყველაზე ძველი სინაგოგა - გრიბა, სადაც ინახება უძველესი თორები.

ამ სიძველეების გვერდით არის ასობით უმაღლესი დონის სასტუმრო, კილომეტრებზე გადაჭიმული კეთილმოწყობილი პლაჟები. ქალაქი სუსი, რომელიც, ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, კართაგენზე უფრო ძველია და რომელზეც გი დე მოპასანი წერდა, რომ ეს არის ყველაზე ლამაზი და მშვიდობიანი ქალაქი მსოფლიოში, დღეს თანამედროვე გართობის ცენტრად ითვლება: ფეშენებლური ოტელებით, დისკოთეკებითა და გოლფკლუბებით.

უნიკალურია ტუნისის ბუნებაც. აქ შეხვდებით ულამაზეს ფინიკის პალმების, ლიმნის, ბროწეულის და ზეთისხილის ტყეებს. ნახავთ ატლასის მთებს, რომელიც მდიდარია ჩანჩქერებითა და თერმული წყლებით. ქალაქ დუზიდან, რომელსაც "საჰარის კარიბჭეს" უწოდებენ, ოაზისების გადაკვეთის შემდეგ იწყება შოტ ელ ჯერიდი - გიგანტური მარილიანი ტბა. მის ნაპირებზე ერთი მეტრის სიღრმეში შესაძლებელია აღმოაჩინოთ ე.წ "ქვიშის ვარდი", რომელიც გახლავთ ქვიშისა და მარილებისაგან წარმოქმნილი ულამაზესი კრისტალი. შოტ-ჯერიდი ცნობილია, ასევე, მირაჟებით, რომელსაც ფოტო კამერებიც აფიქსირებს. ტუნისში მოგზაურობისას ყველაზე შთამბეჭდავ სანახაობას წარმოადგენს დიდი უდაბნო საჰარა. ექსკურსიები ოაზისებსა და უდაბნოში მთელი ცხოვრების მანძილზე გემახსოვრებათ.

სხვა მუსულმანური ქვეყნებისგან განსხვავებით, ტუნისში შედარებით ნაკლები შეზღუდვებია ტურისტებისათვის. ალკოჰოლური სასმელები იყიდება სპეციალურ მაღაზიებში. ტუნისში აკრძალულია ჩადრიანი ქალების თვალიერება, ტუნისელების ნებართვის გარეშე, მათი ფოტოგრაფირება და ასევე - პრეზიდენტის სასახლის გადაღება.

საკმაოდ მრავალფეროვანია ტუნისური სამზარეულო, რომელიც მდიდარია სანელებლებით. ტრადიციულ სასმელებად ითვლება - მაგარი მწვანე ჩაი პიტნით და ყავა კარდამონით, რომლის მომზადება და დალევა გარკვეულ რიტუალად არის ქცეული.

დაბოლოს, თუკი ტუნისში იმოგზაურებთ, იცოდეთ, რომ სტუმართმოყვარე ტუნისელებისათვის თქვენ იქნებით არა მარტო სტუმარი, არამედ - ძვირფასი მეგობარი.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

20 მარტი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.30** სერიალი "სერიული მკვლელობები" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": "ტელექსელი". რეჟ. სიდნეი ლიუმეტი. **01.20** მხ. ფილმი "ოთხი ბუმბული". მთ. რ-ში: ჰიტ ლეჯერი, კეიტ ჰადსონი.

### TV 5

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა), **13.00,** 16.00(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 00.00,** 02.50(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00,** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.25** გურმანი. აფრკული სამზარეულო. **09.30** ტელედილა. **12.05** ტელეჟურნალი. კამბოჯა, ამერიკის შეერთებული შტატები, ჰაიტი. **13.15** კლიენტი გოგო. მხ. ფილმი. **21.25** კრიმინალი. მხ. ფილმი. **22.20** დ დიზაინი **01.25** ჯილდოების გადაცემა. ფინალი. ფრანკოფონიის კვირეული. ბერნარ პივოსთან ერთად. **03.50** ფრანკოფონული რეკლამის ღამე. **05.20** ტუნისი. ცეკვა და სიმღერა. დოკ. ფილმი.

### პირველი არხი

**08.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **08.15** დოკ. ფილმი "ჯუნგლის შვილები" **08.55** მხიარული კარუსელი **09.25** მოგზაურობა სასიტყვეთში **09.55** "ფორმულა-1". მალაიზიის დიდი პრიზი **12.05** თბილისი და თბილისელები **12.35** პოზიცია **13.20** კვალი **13.50** მღერის ეთერ კაკულია **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** პარლამენტის არჩევნები **16.50** რეალური სამყარო **17.00** საწინდარი **17.30** ასე ვცხოვრობთ **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.30** დოკ. სერიალი "მხატვრები" **20.35** ცაიტნოტი **21.45** ფორტუნა **22.25** პროფათეული **23.00** ამბობენ **23.50** მხ. ფილმი "ჰოროსკოპი" **01.15** ღამის ჯაზი

### პირველი სტერეო

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **15.20** ფილმი "ახალბედა". მთ.რ-ში დი ჯეი კუოლსი, ელაიზა დუშკუ. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "სპეცნაზი" მთ. რ-ში სამეულ ელ ჯექსონი. **01.50** "ღამურა" **03.45** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** მულტფილმი "გაქცევა საქათმიდან" **10.20** საბ. სერიალი "დრაკონის ბეჭედი" **11.30** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **12.00** საფეხბურთო მიმოხილვა **12.30** სერიალი "ფანტაზიების კუნძული" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00, 20.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი "მისტერ მკვლელობა" 1-ლი ს. **19.00** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. "არსენალი"-"ბოლტონი" **21.20** საფეხბურთო მიმოხილვა **21.50** მხ. ფილმი "განუყრელი დები" (სუზან სარანდონი) **23.10** მხ. ფილმი "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" (ჯეკ ნიკოლსონი)

### მეორე არხი

**19.10** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** გლობუსი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში - ედ ჰარისი **21.30** მუს. ოქტაგონი **22.00** მხ. ფილმი "წითელი სიცხე"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "სიძულვილის სიყვარული" **14.00** მხ. ფილმი "ყბები" **16.00** მხ.ფილმი "არმაგედონი" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "ვერტიკალური ზღვარი" **00.20** მხ. ფილმი "ტკბილი ნოემბერი"

### მეცხრე არხი

**08.25** მხ. ფილმი "დიდი გამყინვარება" **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "სამი ფერი-წითელი" **13.20** ცხელი ცხრიანი **14.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **14.50** მუსიკა **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ზურგის ქარი" **16.35** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **17.00** მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" **18.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** კონცერტი **20.00** "ტელემეტრი" **21.30** მხ. სერიალი "ქალბატონი გამომძიებელი" 1-ლი ს. **23.00** საუბრები სტუდიაში **23.50** სერიალი "რაც გინდა აკეთე" **01.00** მხ. ფილმი "კარლიტოს გზა" (ალ პაჩინო)

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **10.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **11.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **12.00** საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** "თემა" **15.15** ეროვ. საკალათ. ასოციაცია **17.05** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **17.55, 19.30, 01.20** იმედის მელოდიები **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.00, 22.00, 00.15** ქრონიკა **19.40** მხ. ფილმი "მონადირე" **21.30** მეორე ნახევარი **22.40** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.

### არხი

**08.00** ანონსი, დიალოგი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.00** ახალი ამბები **15.15** მხ. ფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **22.45** მხ. ფილმი **00.40** მხ. ფილმი

### არხი

**08.00** მუსიკა **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** სათავგადასავლო ფილმი "ალმაზის კუნძული" **11.00** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ.გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** "პოზიცია" **14.10** მხ. ფილმი "საძაგელი კოიოტი" **15.50, 17.30, 02.45** მუსიკა **16.20** მულტფილმი **17.50** "ჭიტა-ჭიტა" **18.30** თრილერი "ალისია" **20.10** "მსოფლიო ისტორიის ფურცლები" **20.40** კომედია "შენიღბვის ოსტატი" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** Слово **00.40** თრილერი "ჯაშუშური თამაშები" **03.20** ფილმი-კატასტროფა "გატაკა"

### ОРТ

**07.00** Новости **07.10** Сериал "Все путешествия команды Кусто" **08.00 Худ.фильм "Пан Володыевский". 1-я с. 09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря. **10.10** Здоровье. **11.00, 13.00, 19.00** Новости **11.10** "Смак" **11.30** "Возвращение домой. Ирина Апексимова. Одесса" **12.10** Дог-шоу **13.10** История с географией. "Падение "Гинденбурга" **14.10** Умницы и умники **15.00** Дисней-клуб: "Тимон и Пумба" **15.30** "Поговорим о странностях любви..." **16.30 Худ.фильм "Пираты XX века" 18.10** Премьера. "Ирак. Американская формула свободы". Док. фильм **18.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России **19.10** "Шутка за шуткой" **19.40** "Песня года. Весна" **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.20** "Розыгрыш" **23.55** "Золотой Граммофон" **00.55** Джулия Робертс в триллере **"Признания опасного человека" 03.00** Криминальная драма **"101-й километр" 05.00** Берт Рейнольдс в боевике **"Полицейский с половиной"**

### РТР

**06.50** Наталья Фатеева в муз. фильме "**ПЕСНИ МОРЯ**" **08.20** Сериал "**ДРАКОША И КОМПАНИЯ**" **08.45** Золотой ключ **09.05** Русское лото **09.45** "Большая перемена" **10.10** Утренняя почта **10.45** Сам себе режиссер **11.40** Звезды России в игре "Форт Боярд" **13.15** В поисках приключений **14.15** Клуб сенаторов **15.00, 21.00** Вести **15.20** Всеволод Санаев в детективе "**ВОЗВРАЩЕНИЕ СВЯТОГО ЛУКИ**". **17.00** Футбол. Чемпионат России. **"Динамо" (Москва) - ЦСКА**. Прямая трансляция со стадиона "Динамо" **19.00** "Кубок юмора-2003" **21.25** Зеркало **21.50** "Честный детектив" **22.20** Аншлаг **23.20** Сами Насери в фильме "**ТАКСИ-2**" **01.05** Мел Гибсон в фильме "**МЫ БЫЛИ СОЛДАТАМИ**" **03.40** Чемпионат мира по автогонкам в классе "Формула-1". Гран-при Малайзии. Квалификация. Трансляция из Куала-Лумпура. **05.20** Горячая десятка

### НТВ

**07.00** Роджер Мур в фильме "**ЖИВИ И ДАЙ УМЕРЕТЬ ДРУГИМ**" **09.00, 13.00, 17.00** Сегодня **09.20** "Улица Сезам" **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд **10.30** Обозреватель. **11.05** Кулинарный поединок: "Блестящие" - Степан Строев. **12.00** Квартирный вопрос: английская библиотека для русского хирурга. **13.20** "Дикий мир: неспящие в терновнике". Экспедиция Тимофея Баженова. **14.10** Вкусные истории. **14.25** Джэми Ли Кертис в комедии "**СВИРЕПЫЕ СОЗДАНИЯ**" **16.20** Криминальная Россия. **17.20** "Женский взгляд". Римма Маркова. **17.55** Сериал "**МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ**" **19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад" **21.00** Юрий Беляев в боевике "**ЛЬВИНАЯ ДОЛЯ**". **23.15** Даниэль Дарье в фильме "**8 ЖЕНЩИН**" **01.30** Богуслав Линда в фильме "**ПСЫ**" **03.35** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой. **04.15** Двое в городе.

# თავის მოსაკლავად ლას ვეგასში



ბრწყინვალე ქალაქი ნევადას უდაბნოში, სამორინეებით, უძვირფასესი სასტუმროებით და ალმგ ზნები სანახაობებით ცნობილი ლას ვეგასი უამრავ ადამიანს იზიდავს. მაგრამ, მრავალი იქ თანხის მოსაგებად როდი მიდის. ყოველთვიურად ლას ვეგასში ჩასული ერთი ტურისტი მაინც იკლავს თავს – ამას 1998 წლის შემდეგ წარმოებული სასამართლო-სამედიცინო მონაცემები მოწმობს.

რატომ მაინცდამაინც ლას ვეგასში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მკვლევარებმა რამდენიმე შემთხვევის განხილვა განიზრახეს.

"ლას ვეგასი მისი უსაყვარლესი ადგილი იყო," მოჰყვა ერთ-ერთი თვითმკვლელის ქვრივი. "მას ლას ვეგასი იმიტომ უყვარდა, რომ იქ მუდამ მეფურად ხვდებოდნენ". მისი მეუღლე კალიფორნიიდან ნევადაში გაემგზავრა და 11 მარტს, სასტუმრო "ფორ სიზონსის" ნომერში მოიკლა თავი. მისი ცხედარი და გამოსამშვიდობებელი წერილი დამლაგებელმა გოგონამ ხუთი დღის შემდეგ აღმოაჩინა.

სამორინეების სიუხვე თვითმკვლელობების სიუხვესთან კავშირში არაა. ასე, ნიუ ჯერსიში, ატლანტიკ სიტიში, სადაც ასევე მრავალი სამორინეა, თვითმკვლელთა რაოდენობა იმავე დროის მონაკვეთში შეუდარებლად მცირეა. იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ირჩევენ ხოლმე ლას ვეგასს უკანასკნელ სამყოფელად, ექსპერტებს უამრავი თეორია აქვთ - ქალაქის ანონიმურობით დაწყებული და წაგებული ფულის რაოდენობით დამთავრებული. მაგრამ ყოველი შემთხვევა სრულიად განსხვავებულია:

30 წლის ქალი სასტუმრო "ალადინის" მეცხრე სართულიდან გადახტა. პოლიციამ მის მანქანაში ბარათი აღმოაჩინა: "ეს ბოლო გაჩერებაა, მე წავედი". დედა დარწმუნებული იყო, რომ მისი ქალიშვილი ლას ვეგასში არდადეგების მხიარულად გატარებას აპირებდა. სტრიპტიზკლუბების მოვლის შემდეგ 29 წლის მსახიობმა მოტელ "ოაზისში" ჩამოიხრჩო თავი. კოლეგების თქმით, მას დეპრესია ჰქონდა. და საბოლოოდ, დღეს მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ლას ვეგასში ადამიანები თავს იკლავენ, ოღონდ რატომ - კაცმა არ იცის.

როგორც ჩანს, ეს ადამიანები ისეთ ადგილს ეძებენ, სადაც მათ არ იცნობენ, სადაც მათ "დაკარგვის" საშუალება ეძლევათ. ექსპერტები იმასაც ვარაუდობენ, რომ ისინი ხშირად უკანასკნელ "ნიშანსაც" ელიან იმისა, რომ თავის მოკვლა მაინც არ ღირს: ჯეკპოტს, ახალ სიყვარულს...

# კვლავ სასამართლოს წინაშე

ამერიკელი მომღერალი კორტნი ლავი პოლიციამ დააკავა. მისთვის წარდგენილი ბრალდება ასე ჟღერს: უპასუხისმგებლო ქმედება და მოქალაქის ფიზიკური შეურაცხყოფა.

ხუთშაბათს ნიუ იორკის ერთ ღამის კლუბში კორტნიმ 24 წლის მამაკაცს თავში მიკრიფონის სადგამი ჩაარტყა. დაშავებული საავადმყოფოში აღმოჩნდა.

ამ ინციდენტამდე რამდენიმე ხნით ადრე კორტნიმ დევიდ ლეტერმანის "ლეით შოუში" მთელი ქვეყნისთვის შიშველი მკერდის ჩვენება განიზრახა. პირველი მცდელობა მაშინ ჰქონდა, როცა სტუდიაში შეაბიჯა, შემდეგ კი წამყვანის მაგიდაზე ახტა, სიმღერა შემოსძახა და კვლავ გაიხადა. ოპერატორებმა ივაჟკაცეს და მომღერალი მხოლოდ ზურგიდან აჩვენეს.

მოკლედ, კორტნი ლავს გამჩენი არ ასვენებს. უკანასკნელად ის სასამართლოს წინაშე სამშაბათს იდგა და აი, კვლავ გაუგებრობაში ამოყო თავი.

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი
"რუსული კლუბი"

წარმოგიდგენთ

*ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს*

"ყვითელი ანგელოზი"

*22, 29 მარტი*
*5, 12,19, 26 აპრილი*
"თავისუფალი თეატრი"

*დასაწყისი 19.00 საათზე*
*ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21*



დეგაპრინტი



ციფრული ოფსეტური სტამბა
მცირე ტირაჟები
ბეჭდვის ყველაზე
თანამედროვე ტექნოლოგია
სისწრაფე – ნაბეჭდი პროდუქცია რამდენიმე წუთში. HP INDIGO არ საჭიროებს ფირებსა და ფორმებს.
ტირაჟი – ერთიდან ნებისმიერამდე.
ბეჭდვა მოთხოვნით
PRINT ON DEMAND
თბილისი, ვირსალაძის ქუჩა 8,
ტელ.: 995 007,998 843
ფაქსი: 995 681
E-mail:degaprint@yahoo.com

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24



პროსპეროს წიგნები
Prosperos' Books
ინგლისური წიგნებისა და ყავის სახლი
English Bookstore and Coffeehouse

„პროსპეროს წიგნები" - ინგლისური წიგნების მაღაზია და ყავის სახლი გთავაზობთ:

ახალი წიგნების ფართო არჩევანს, ისტორიულ, ბიოგრაფიულ და საბავშვო ლიტერატურას;
წიგნებს ხელოვნებასა და არქიტექტურაზე, მოგზაურობასა და კავკასიის ქვეყნების რეგიონალურ საკითხებზე, ასევე TOEFL-ის, GMAT-ისა და ინგლისური ენის სახელმძღვანელოებს ნებისმიერი დონისათვის;
მეორადი წიგნების ფართო არჩევანს, რომლებიც შეგიძლიათ გაცვალოთ მაღაზიის კრედიტზე;
ინგლისურენოვანი ვიდეოკასეტებისა და DVD -ების გაქირავებას.
„პროსპეროს წიგნები" ასევე გთავაზობთ: სათოსტო ბარათებს , კომპაქტ დისკებს "World Music"-ისა და ქართული ფოლკლორული მუსიკის კოლექციებიდან.
კალიბანის ყავისა და ჩაის ფართო არჩევანს

რუსთაველის გამზირი №34 (შიდა ეზო), 0108, თბილისი
ტელ./ფაქსი: (995 32) 923592. ელ-ფოსტა: prospero@access.sanet.ge




საოჯახო ტოტო
შეიძინეთ! გაერთეთ! მოიგეთ!
ყოველ შაბათს, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტოტალიზატორ "საოჯახო ტოტოს" გათამაშება.
დაწვრილებითი ინფორმაცია და კოეფიციენტების ცხრილი იხილეთ გაზეთ "24 საათში"

# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.